

# დასტურდასტურდა საქართველო



საქართველოს მხარეთა ეროვნული აკადემია \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

27 დეკემბერი, 2013 წ.

№76 (3686)


ბამონების 77-ე წელი

ფასი 1 ლარი

## 76 წლის ჯახაყა ამირიჯიბს 75 წლის მურმან ლიბანიძეს

დავბერდით, ჭაბუა,  
ვართ დაჩეხილ-დაკერებული,  
ვართ შავ დღეში და  
ვართ ნამდვილად დაბერებული,  
თეთრი დღეები  
გვაქვს კაი ხნის დამღერებული...

მთელი ცხოვრება  
ერთ ნაბიჯზე ფეხდაფეხ მოგდევ, -  
ძმობის, ერთობის  
სიყვარულის ქამანდი მოგდე -  
არ გაბედო,  
თუ ძმა ხარ, მოკვდე!



მოვხუცდით, ჭაბუა,  
ვართ დაჩეხილ-დაკერებული,  
ვართ ფაიზახად,  
ვართ ნამდვილად დაბერებული...  
მტრისთვის თვალი გვაქვს,  
მე თუ მკითხავ, დაყენებული!!!

1997

# ნაციონალური მოქრაობა უნდა გასაგარტოდეს

## მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო

(ნანყვეტი)

საკაპეილის ხელისუფლების სათავეში მოსაყვანად, ჯერ კიდევ უძველესი დირიჟორი ანარმოებდა განსაზღვრულ სამუშაოებს.

ამას წინათ, ვიღაც პოლიტოლოგი გაჰკიოდა ტელევიზორში: ერთი რამ ვერ გამიგია ვერაფრით, – ენერგორესურსებით სავსე საქართველოში რატომ იყო ჩაბნელებული ქვეყანაო.

ამგვარი ბლავილ-შეკითხვები და მიაბიტური აზრები, ვგონებ, სპეციალურად ვრცელდება, თორემ...

დირიჟორმა ყველაფერი ევროამერიკელთა (უფრო კი ამერიკელთა) მითითებით შეასრულა: დაბალი ხელფასები, ჩაბნელებული სოფლები თუ ქალაქები, პენსიონერების ტანჯვა-წამება, ანაბრების შეტყაპუნება-გაქრობა, მოსახლეობის გალატაკება და იქამდე მიყვანა, როცა ადამიანები ყველაფერს – უძრავ-მოძრავ ქონებას უთავბოლოდ ჰყიდიან, რათა ოჯახები შიმშილით არ ამოუნყდეთ. სინამდვილეში ყოველივე სპეციალურად გახლდათ მოწყობილი, რომ შემდგომ ამერიკულ თონეში ახლად გამოცხვარ პრეზიდენტს გაფუჭებულ, ჩაობრებულ საქმეთა გამოსწორების მიზეზები ჰქონოდა.

აბა, ნახეთ, როცა საქირია, უპირველესად, თვით სააკაშვილის მთავრობაში, პარლამენტში მოკალათებული თუ მისი უბრალო მომხრეთა პირიდან იფრქვევა: რას ერჩით ამ ახალგაზრდა პრეზიდენტს, ჩაბნელებული ქვეყანა გააჩირადლანა, სინათლე დღე და ღამ გვაქვს! გაზი გვაქვს! გზები კეთდება! პენსიები, მცირედ, მაგრამ გაიზარდა! საკვები პროდუქტებით სავსეა მაღაზიები! ფქვილი არის! ყაჩაღობა აღიკვეთა! ქურდობა მოისპო! ავტონისპექცია შეიბოჭა, პატრულმა შეცვალა! ავტომანქანების გადაფორმება გაიოლდა და ა.შ. უსასრულოდ!

არადა, დირიჟორმა ყოველივე ისე მოაწყო, რომ შემდგომ, ახალ პროექტს ანუ მიხეილ სააკაშვილს „გამოესწორებინა“, ანუ, რაც ბუნებრივად უნდა გვექონოდა და სპეციალურად წავგართვეს, ერთ მშვენიერ დღეს, სააკაშვილმა გვიბოძა!

ჯერ ის ეშმაკობა რად ღირს, რაც მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ პოლიტიკურ პარტიას უწოდა: ნაციონალური პარტია! როგორ უღერს, ბიჭებო და გოგონებო?

განა ქართულად უწოდეს ეროვნული პარტიაო, არამედ, ფრანგული, უცხოერი სიტყვა მოძებნეს, რათა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებასთან პირდაპირ არ ყოფილიყო გაიგივებული!

ირიბად, სწორედაც რომ სურდათ დამგვანებოდნენ, მაგრამ პირდაპირ არა! მინიშნებაში ხომ უამრავი ხრიკია ჩადებული და ასეც მოიქცნენ:

ნაციონალური პარტია შექმნეს, რომლის მეთაურად სააკაშვილი მოგვივლინეს!

ამ შემთხვევაში, დირიჟორმა სხვა რამეზე იზრუნა – ნაციონალური ჰგავდა ეროვნულს, მაგრამ მთლად ეროვნული არ იყო.

მთავარია, არავის ეფიქრა: ეროვნული ხელისუფლება თუ უნდოდათ, ზვიად გამსახურდია რაღად დაამხესო?

დაიხ, სიტყვა „ნაციონალური“, სინამდვილეში მხოლოდ „ეროვნულია“, მაგრამ უბრალო მოკვდავებს სად გააჩნიათ განმარტებით ლექსიკონებში კვლევა-ძიების ჩატარება?

თქვე მამაცხონებულეხო, ევროამერიკელებს ელეთ-მელეთი მოსდით, სიბრაზისგან კანკალებენ სიტყვა „ეროვნული“-ს გაგონებაზე და ამ საქართველოში რა ნაციონალური პარტიის დაარსება აუტყდათ?

ნაციონალური, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მწერლებს დაგვეტაკენ, სასახლე წავგართვეს და შიმშილის ბაგაზე დაგვაბეს!

2003 წლამდე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი რეფორმატორებად იხსენიებოდნენ, მწერლები, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის, ბატონი თამაზ წიგნიავის მეთაურობით, მსოფლიოს გასაგონად ამხელდნენ ამ დანყველილთა სექტას, მაგრამ... საზოგადოების უდიდესი ნაწილი ნეშომპალასავით გაიხრწნა და ყურიც არ შეიბერტყა!

რაც დაგვმართეს ამ ნაცებმა, დღეს სახეზეა და აქვეა – საყოველთაო ვაი-ვიში, მაგრამ გადაბრუნებულ ურემს წამოყენება სჭირდება! თავში კეტის ცემა და თმების წენვა თუ მოთქმა ვერაფერს გვიშველის!

მწერალი, მე რომ მკითხვით, ვალდებულია, წინასწარ გააანალიზოს ე. წ. პოლიტიკური მოვლენები და სავარაუდო დასკვნები გაცილებით ადრე მოახსენოს ხალხს, ვიდრე „შავ დღეში“ ჩავცივდებით!

შარშან „საერთო გაზეთი“ აქვეყნებდა ჩემს მიერ 2000-2010 წლებში დაწერილ დოკუმენტურ წიგნს „მწარე გაკვეთილები – ევროამერიკა, რუსეთი და საქართველო“, რომელმაც ყველა მკითხველამდე ვერ მიაღწია. ამავე დროს, შეუძლებელი იყო მთლიანად დაბეჭდვა. ვფიქრობ, აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს და თუ გადავხედავთ, არ იქნება ურიგო. მით უმეტეს, ნაციონალური პარტია ბოლომდე სამხილებელია!



უეჭველია, რომ ქართველთა დასაბნევადა, ქართველთა მოსატყუებლად მოიქცნენ ასე!

აი, ხედავთ, მოქალაქეთა კავშირი, ძველის-ძველი, ყოფილი კომუნისტური პარტიის ძველი მუშაკის მიერ შექმნილი, ეროვნული ანუ ნაციონალური პარტიით შეიცვალაო!

და ქართველობამ მიიღო ანუ „ჭამა“ ეს უდიდესი ტყუილი! სატყუარა გულში ჩაიხუტა მთელმა საქართველომ ზოგიერთის გამოკლებით ანუ 3-4 პროცენტი თუ უცქერდა ამ ნაცისტებს კრიტიკული თვალით!

მთელი მსოფლიო გაისუსა და ნაციონალური პარტიის ჩამოყალიბებას შეეგუა. არც კი გააპროტესტა. თუმცა, ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოში, ქვეყნის სათავეში რომ ნაციონალური პარტია მოვიდეს, წამსვე ჰიტლერის, ნაცისტების არდელი მოელანდებათ! ისეთი ნივლიკივილი ატყდება, მხოლოდ მისი ექო გააქრობს, ჩაკლავს მის შემქმნელსაც და მიმდევარსაც!

უბერებელი დირიჟორის ჩანაფიქრი აღსრულდა: საქართველოში მოახდინეს „ვარდების“ უსისხლო რევოლუცია ანუ შევარდნაძე გაუშვეს დამსახურებულ პენსიაზე. დანარჩენი კი გახლდათ მხოლოდ სპექტაკლი! სხვათა შორის, ძალიან უნიჭოდ და თავხედურად დადგმული, რომელმაც მაინც მოატყუა მრავალი ჩვენი მოქალაქე!

ყველაფერი სპეციალურად დაამთხვიეს 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულს და, რაღა თქმა უნდა, სააკაშვილის „მობრძანებაში“ ლეთიური ძალის დახმარებაც „დაინახეს“.

2003 წლის 23 ნოემბერს მწარედ მოტყუებული და გაბრუნებული ქართველობა უსასრულო სიხარულს და ქეიფს მიეცა! მან ჩათვალა, რომ „ვარდების რევოლუცია“ მისი, საკუთარი დამსახურება იყო! იგი ამაყობდა, რომ იდგა მთავრობის სასახლესთან და შევარდნაძის ჩამოგდებაში მონაწილეობდა.

უნდა ვთქვა, რომ ჩემმა მეგობრებმა, როცა სუფრა გამალეს, დამირეკეს და მითხრეს: კაცო, რა გემართება, მთელი

სიცოცხლე კომპარტიას ებრძვი, ძლივს მოვიშორეთ და ჩვენთან რატომ არ ხარო?

ლანძღვა-გინებით ვუბასუხე და იმ წამსვე შეშლილად, შურით შეპყრობილ კაცად მომნათლეს. რამდენიმე დღეში კიდევ შემხვდნენ და მაგალითი მომიტანეს: მთავრობის სასახლესთან ახალგაზრდა კოლ-ქმარმა თოთო ბავშვიც კი მოიყვანეს მიტინგზე. აბა, შენი საქციელი რას ჰგავს, რა გგონია, ზვიადის მეტი ამ ქვეყანაზე აღარავინ დაიბადება, მოეშვი იმ კაცს, ახალი დრო მოვიდაო!

დღეს, 2010 წლის გადასახედიდან რომ შევცქერი მოვლენებს, ის პაწაწა ბაღლიც მებრალევა, მისი მშობლებიც, ჩემი მეგობრებიც და მთელი ხალხი, 2003 წლის 23 ნოემბერს რომ ცეკვავდა!

არ გაგვიმართლაო, – დღეს უკვე თავჩაღუნულები, მორცხვად მეუბნებიან და სააკაშვილის საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგებზე დაიარებიან!

ვის აღარ ნახავთ ხსენებულ მანიფესტაციებზე. თითქმის ყველა პოლიტიკოსი, ვინც მიხეილ სააკაშვილს უდგა გვერდით, ვინც იგი მოაძლიერა და მოამაგრა, დღეს გულში მჯილს ირტყამს და ისევ ახალი რევოლუციისთვის ემზადება.

თავს ერთით იმართლებენ: მიხეილ სააკაშვილმა მათ არ გაუმართლა! თურმე, მათთვის რომ დაეჯერებინა, საქართველო დღეს უბედნიერესი ქვეყანა იქნებოდა!

კვლავ ატყუებენ მოსახლეობას! თვითონ ხომ „გადაადგო“ მიშამ, ახლა ათასი დასახელების პარტია შექმნეს, ძველი გვარდია ამოიყენეს გვერდით და ბარიკადებზე დადგნენ!

რომელ გვარდიაზეა საუბარი? ოო! ეს გვარდია ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მომარო ხალხითაა სავსე!

ისევ ძველი სახეები! ისევ შემცდარები! ისევ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი!

ოცდამეერთე საუკუნეში მათი „ღვანელი“ საქართველოს ორი უღამაზესი კუთხე მოსწყდა დედასხეულს, მათ სინდისი კი არ ქენჯნით, არამედ ახალი რევოლუციისთვის იწყებენ ბრძოლას!

## ჯემალ დავლიანიძე

გუშინ დაამხეს, დღეს აირჩიეს?! ისევ დაამხოვენ, ისევ აირჩევენ! აფხაზეთი და სამაჩაბლო მონყვიტეს ქვეყანას?

მერე და რა მედგრად დგანან! მიტინგებზე ბლავიან, წივიან, კივიან და აიმედებენ ამომრჩეველს, რომ დაიბრუნებენ.

აუცილებლად დავიბრუნებთო! უფრო მეტიც: აჭარა თურმე დაიბრუნეს.

ლაზეთი და სამხრეთ საქართველოც დაუბრუნებიათ! როგორ?

როგორ და, მოგზაურობენ თურქეთში, ჟურნალისტები წერენ ნარკვევებს, ძველ ტაძრებს უღებენ კინოფილმებს, დარდობენ, მღერაინ! ამღერებენ ლაზებს ლაზურ სიმღერებს!

აგერ ეკრანზე – ლაზური ანსამბლები, ხალხური მუსიკა! გათურქებული ბიზნესმენები და...

ბიჭოს, დაბრუნებულია ძირძველი მიწები, აბა, მამ მეტი რაღაა საქირო?

დირიჟორის ჩანაფიქრი კი... კავკასიაში ფეხის მოსაკიდებლად საქიროა საქართველოს ათვისება!

საჭიროა კავკასიის მოსახლეობას მიეცეს მაგალითი, რომ რუსეთისგან გამოყოფის შემდგომ, ისინიც საქართველოს მსგავს დემოკრატიაში გაეხვევიან!

მათაც, მიუხედავად იმისა, რომ მიუნგრ-მოუნგრევენ მრენველობას, სოფლის მეურნეობას, მაინც უსასრულოდ დაეხმარებიან! ევროკავშირისკენ გაუხსნიან გზას და მილიონობით კრედიტებს მისცემენ!

საქართველო მაგალითია! საქართველო (სხვების დასანახად!) ევროპული სახელმწიფოა!

ამიტომ და თურმე თვალი უნდა გაახილოს მთელმა ჩრდილო კავკასიამ და ეროვნული მოძრაობა გამოაღვიძონ! უნდა მოითხოვონ დემოკრატია და რუსეთის წინააღმდეგ წამოიბართონ!

დამოუკიდებლობისკენ – წინ! ევროამერიკისკენ – წინ!

თავისუფლებისკენ – წინ! საამისოდ, მთავარია, აუჯანყდნენ რუსეთს და ჩამოსცილდნენ. უნდა იბრძოლონ უსასრულოდ და დაამყარონ დემოკრატიული წყობა!

და, ჯამში... იქნებიან ზუსტად იმ დღეში, რომელშიც დღეს საქართველოა!

უჰ! აქ კი უნდა შეგჩერდეთ! სული უნდა მოვითქვათ და კიდევ ერთხელ გავარკვიოთ, – რა დღეშია ნაციონალური საქართველო?

უპირველესად, სურათი ასეთია: გრძელდება საქართველოში წამოწყებული, ტვირდატაკი ვაიშემოქმედების მიერ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში შეთითხნილი ე. წ. კინოფილმების ჩვენება!

ანტიადამიანურ სერიალებს დღესაც კი არ უჩინათ დასასრული. სწორედ ამ სიბინძურით შეძლო დირიჟორმა შემოჭრილიყო ქართულ ოჯახებში და დასახლისები ტელევიზორებთან მოაკრუხა, რომ ეცქირათ, რომ შეესრუტათ ამ აგენტ ფილმებში აღწერილი სიმახინჯეები.

რას არ ნახავდით ამ სანახევლაზე, რომელიც ოჯახში გარყვნილების შემოტანას, ადათ-წესების წგრევეს, მორალის თუ ზნეობის ჩანახლევა-ჩაკვლას უწყობს ხელს!

სპეციალურად შექმნილ, მართვად წყვიდადში, რომელიც დირიჟორმა დაამკვიდრა, ერთ-ერთ ნათელ წერტილად ეს გათახსირებული ნაწარმოებები იქცა.

საჭმელი არ არის? სერიალი ხომ არის?

ფული არ არის? სერიალი ხომ არის?

წყალი არ არის? სერიალია სამაგიეროდ!

მკვლელობებია? ▶▶

სერიალიც რომ არის? საქართველოს მინა-წყალს ჰყიდია?

სერიალი გვიშველის! ძარცვა-ყაჩაღობა? სერიალია მთავარი! პროდუქტი ძვირია? სერიალი აგერ არ არის? უხსენებელი დირიჟორის მიერ გამოცემული ინტელიგენციის ნაწილმა, თავისი სიბეცით, თავფეკილობით ხომ დაღუპა საქართველოს დამოუკიდებლობა...

საკაპულია, უკვე კარგად ნახმარი, თითქმის ტუალეტში ქაღალდად გამოყენებული იგივე ინტელიგენცია, უმოკლეს დროში საუნიტაზე წყლის შხეფით ჩარეცხა...

არა, არა!

ჯერ ცეცხლი ნაუკიდა, როგორც უკვე გამოყენებულ ქაღალდს, შემდეგ კი ფერფლი წყალს გაატანა!

მიუხედავად, განა ვერ მიუხვდნენ, მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი.

იკბინეს, თითების გარდა, კინალამ ბარძაყების მიდამოები ამოიჭამეს, მაგრამ ვედარაფერი უშველეს საკუთარ რეპუტაციას. ამიტომ უცბად, ყველა უკლებლივ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ.

მათი საოცარი გარდაქმნა მოხდა!

რისთვისაც ზვიად გამსახურდიას დროინდელ ეროვნულ ხელისუფლებას ებრძოდნენ, სწორედ იმის დაცვას მიჰყევს ხელი და 15-20 წლის შემდგომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წამოწყება სცადეს..

თავზე ლაფდასხმულები, ნირნამხდარები ცდილობდნენ შეკრებას და ეროვნული ფასეულობების, ზნეობის, სინდისიერების, ადამ-წესების გადარჩენას, მაგრამ სააკაშვილს ძირითადი საქმე მოთავებული ჰქონდა.

მართლაც სასაცილოა!

საქართველოს პარლამენტი სადაცაა, კაცის კაცზე ქორწინებას დააკანონებს და ეს ობოლდებული ე. წ. დირიჟორის ინტელიგენცია ბლავილით ეძებს ზვიად გამსახურდიას დროინდელ საეჭვო რეპუტაციის მქონე პიროვნებებს, რათა ვაცად, წინამძღოლად დაიყენონ და ამითი როგორმე ფონს გავიდნენ! როგორმე საკუთარი შთამომავლების წინ, სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ნაჭამი ამოარწყინონ და იმ ქვეყანაში „პირმართალი“ გაემგზავრონ!

სწორედ მათი დამსახურებაა, საქართველო რომ კინალამ ხერხემალშია გადაშტურებული, რადგან დირიჟორმა მოახერხა მათი გარყვნა-გათახსირება! მაგრამ...

ახალი ენერჯის გამოქმენა შეიქნა საჭირო!

დირიჟორმა სააკაშვილი აბრეშუმის პარკში გამოხვეული ჩამოგვიყვანა! აქ, ჩვენში დააფრთიანეს! აქეს და ადიდეს!

გზა გაუხსნეს!

საკაშვილი მალაღია ფიზიკურად! ვაშა! – ბლავის მოსახლეობა! სააკაშვილი უცხო ენები იცის! ვაშა! – ბლავის მოსახლეობა! სააკაშვილი ქართული კაცია! ვაშა! – ბლავის მოსახლეობა! სააკაშვილი ეროვნულია, ნაციონალია!

ვაშა! – გაჰკვივის მოსახლეობა! სააკაშვილი დაქორწინებულია ჰოლანდიელზე!

ვაშა! – ჭყვივის მოსახლეობა! სააკაშვილი ახალგაზრდაა!

ვაშა! – ნივის მოსახლეობა! სააკაშვილი მეორე დავით აღმაშენებელია!

ვაშა! – ნივის და ჰკვივის მოსახლეობა!

საკაშვილი გადაგვარჩენს!

ვაშა!

საკაშვილი დაიბრუნებს აფხაზეთსამაჩაბლოს!

ვაშა!

ვაშა!

ვაშა!

ბოლო კი... როგორც ჩანს, ყოველთვის არაა კეთილი!

„ლიტერატურული საქართველოს“ გაცემის განახლებამ, რაც სასახარლო მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში, სურვილი აღმიძრა გავგარძელო ჩემი წერილების სერია ქართული ენის წერიტ პროდუქციაში გავრცელებულ გრამატიკულ დარღვევათა შესახებ. მკითხველს შევხსენებ, რომ ამ სერიის პირველი სამი წერილი გამოქვეყნდა „ლიტერატურული საქართველოს“ 2006 წლის 3 ნომბრისა და 2007 წლის 16 მარტისა და 13 ივლისის ნომრებში. ისინი ეხებოდა როგორც პრაქტიკულ სწორმეტყველებას, ისე მისგან

# წერის მაღალი კულტურისათვის წერილი მეოთხე



გადახრების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. მას შემდეგ განვიხილავთ ენის სინთეზის პრობლემას არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, უფრო გამწვავდა. ურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილ მცდარ ენობრივ ფორმათა ჩემული კოლექცია სულ უფრო მდიდრდება რაოდენობრივად და თვისობრივადაც. არც უკვე მითითებულ დარღვევათა სიხშირის შემცირება შემიმჩნევა. ამდენად, ზოგ მათგანს განმეორებით შევხები ცდომილებათა უფრო მკვეთრად წარმოჩენისა და მათი ენობრივი სტრუქტურის უფრო ღრმად გახსნის მიზნით. ადრეც მითქვამს და გავიმეორებ: როგორც მხატვრულ, ისე მეცნიერულ თუ, უბრალოდ, საკომუნიკაციო უფროსად, სტრუქტურულ ტექსტებშიც მეტყველების სრულყოფილება მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და, ამდენად, დიდად სასურველიცაა.

მას ასე – თვალის მიგაპყროთ ქართულ ნაბეჭდ პროდუქციას. გარკვეული მიზეზით, კვლავაც არ დავასახელებ მოყვანილ ნიმუშთა შემცველ გამოცემებს, თუმცა და ჩემს ამონაწერებში ისინი ზუსტად და სრულად მაქვს აღწერილი.

ერთ-ერთი სახელმძღვანელო რომანის თარგმანში ასეთი წინადადება შემხვდა: „ისე უბურღავდა პასტორი ტვინს, თითქოსდა ცდილობდა ბიჭისთვის მართლწერის წესები დაემახსოვრებინა“. თითქოსდა ყველაფერი რიგზეა, ანუ თუ აქ რაიმე უზუსტობაა, იგი ისე მიკროსკოპულია და უმნიშვნელო, რომ შემჩნევაც არ ღირს. მაგრამ ასე სულაც არაა! მართლაცაა, რა არის ნათქვამი ტექსტში? რა სურდა, რის მიღწევას ცდილობდა ავტორი? იმისას, რომ ბიჭს მართლწერის წესები დამახსოვრებოდა, ანუ მას (ბიჭს) ისინი დაემახსოვრებინა. „და განა სწორედ ეს არ წერიაო?“ – გაიფიქრებს მკითხველი. არა! ტექსტში არის არა „... ბიჭს დაემახსოვრებინა“, არამედ „... ბიჭისთვის დაემახსოვრებინა“! პირველ შემთხვევაში უბრალო ოპორიანი ზმნაა (მას ის), თანაც მოქმედი პირი ბიჭია, მეორეში კი ზმნის ფორმა დამატებით შეიცავს (უნდა შეიცავდეს!) მითითებას მესამე პირზე, რომელიც ბიჭზე შემოქმედებით მისგან რაღაც კონკრეტული ქმედების განხორციელების (მართლწერის წესების დამახსოვრების) მიღწევას ცდილობს. მაგრამ განა შესაძლებელია ზმნის ერთი და იგივე ფორმა „დაემახსოვრებინა“ ერთდროულად ოპორიანობის პოტენციალსაც ფლობდეს და სამპირიანობისასაც? როგორც ჩანს, რაღაც ისე არაა, როგორც გვგონია!

დროა წარმოვაჩინოთ, რისი თქმაც გვსურს. ჩემი აზრით, ფრაზა „... ბიჭისთვის მართლწერის წესები დაემახსოვრებინა“ არ გამოხატავს იმას, რისი თქმაც მწერალს სურდა. იგი, საერთოდ, არაფერს არ გამოხატავს, ანუ არაა ქართული მეტყველების სწორი ფორმა. სწორი ფორმაა: „... ბიჭისთვის მართლწერის წესები დაემახსოვრებინებინა“. ანუ: ზმნაში ასოთა ჯგუფი „ებინ“ ორჯერ უნდა შედიოდეს! რატომ? იმიტომ, რომ რომანის ფრაზაში იგულისხმება არა უშუალო კონტაქტის შემთხვევა, როცა ბიჭი თვითონ იმასსოვრებდა, არამედ უშუალო კონტაქტის სახით, ამდენად მეორე თურმეობითის წარმოებისას („დაემახსოვრებინა“) მასში დამატებით ჩნდება არა უშუალოთი კონტაქტის მანარმოებელი „ებინ“, არამედ მხოლოდ „ინ“ ჯგუფი. ამიტომ აქ ჯერ კიდევ უშუალო კონტაქტია ( მოქმედი პირი თვითონ იმასსოვრებს), და მინიშნებაც კი არაა სხვა პირზე მოქმედების გადატანის შესახებ. ამიტომ, თუ ამგვარი გადატანა გვსურს, ანუ თუ უშუალოთი კონტაქტის ფორმას ვაგებთ, ბოლოს მოყვანილ ფორმაში უნდა ჩავამატოთ მეორე „ებინ“ და ასე მივიღებთ ფორმას „დაემახსოვრებინებინა“. ასე მოხდება „ებ“ თემის ნიშნის სხვა ზმნებშიც: „ინყვებს“; „ამთავრებს“, „ასრულებს“, და სხვა, სახელდობრ, „დაენყვებიან“, „დაემთავრებიან“, „დაესრულებიან“ და სხვა.

და ბოლოს: თავში მოტანილი წინადადება („ისე უბურღავდა პასტორი ტვინს, თითქოსდა ცდილობდა ბიჭისთვის მართლწერის წესები დაემახსოვრებინა“) რაღაც აზრს სწორად გამოსახავს, ოღონდ არა იმას, რისი თქმაც სურდა მწერალს, არამედ შემდეგ: „... თითქოსდა პასტორი თვითონვე ცდილობდა მართლწერის წესების დამახსოვრებას, ოღონდ არა საკუთარი თავისთვის, არამედ ბიჭის ინტერესებისათვის“. ეს კი, დამეთანხმებით, სულ სხვა რამაა და არ ასახავს ავტორის სათქმელს.

ოღონდ აქ კიდევ ერთი ნიუანსია, რაც ქართული ენის გრამატიკის სირთულეს ამჟღავნებს, და მასზეც ღირს შეჩერება. სახელდობრ, არსებობს სხვადასხვა შინაარსთა გამომსახველი ფორმები: „იმასსოვრებს“ და „ამასსოვრებს“, „დამასსოვრებს“ და „დაამასსოვრებს“ და სხვა. ამ წყვილთა პირველი წევრები ოპორიანი ზმნებია (იმასსოვრებს ის მას, დამასსოვრებს მან ის), მეორე წევრები კი სამპირიანები (ამასსოვრებს ის მას მას, დაამასსოვრებს მან მას ის). თუ საქმე გვაქვს ზმნასთან „ამასსოვრებს“, მაშინ წყვეტილი გვექნება „დაამასსოვრებს“ (მან მას ის), მეორე თურმეობითი კი – „დაემასსოვრებინა“ (მას მისთვის ის), და ეს უკვე უშუალოთი კონტაქტის ფორმაა (იგულისხმება: „ბიჭისთვის დაემახსოვრებინა“). მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ზმნა „იმასსოვრებს“ მეორე თურმეობითის უშუალო კონტაქტის ფორმას ამავე სახით ანარმოებს („დაემასსოვრებინა“), და სწორედ ეს გარემოება ქმნის ორზოვნებას. მართლაც, კონტექსტის გარეშე სრულიად შეუძლებელია გავარკვიოთ, თუ პასტორის რომელ მცდელობას გამოსახავს მეორე თურმეობითის ფორმა „დაემასსოვრებინა“: იმას, რომ ეს წესები თვითონ მას დახსომებოდა, თუ იმას, რომ ეს წესები მას ბიჭის მეხსიერებაში გაემყარებინა. სხვათადას რომ ვთქვათ, ტექსტიდან არ ჩანს, ფორმა „დაემასსოვრებინა“ უშუალო კონტაქტს გამოსახავს თუ უშუალოთის. აქედან გამომდინარე, ამ წერილის დასაწყისშივე მოყვანილი წინადადება შეიძლება არც ჩაეთვალოს შეცდომად მთარგმნელს (ოღონდ მეორე ნიუანსიც ანგარიშგასაწევია: „ამასსოვრებს“ უფრო ბუნებრივია ვინმართ იმ აზრით, რომ „ის მას ამასსოვრებს საკუთარ თავს“, და არა რაიმე სხვა საგანს). მაგრამ მეორე თურმეობითის წარმოებაში რომ მოგვერც ცდებიან (აკლებენ „ებინ“ ჯგუფს), ამაში ნამდვილად დავრწმუნებულვარ სხვა ზმნების შემთხვევაშიც. მაგალითად, შემიმჩნევა ფორმები: „რომ გამეკეთა“ („რომ გამეკეთებინა“-ს ნაცვლად), „არ მიხდოდა მარტო დამეტოვო“ („დამეტოვებინა“-ს მაგიერ) და სხვა. ასე, რომ განხილული მაგალითი არაერთგვარად, რაღაცნაირად ტიპობრივია და მასზე შეჩერება საჭირო იყო.

2. გაზეთის ტექსტიდან ამოვიღეთ: „ჩვენ ვცდილობთ მაქსიმალურად ჩავერეთოდ, როგორც შეგვიძლია“. ძალიან საინტერესო, კურიოზული მაგალითია. საერთოდ, ორი, ერთმანეთის მსგავსი შეცდომა შემიმჩნევა ქართულ ბეჭდვით ტექსტებში. ერთი მხრივ, ძალიან ხშირად (განსაკუთრებით) დასასრული მი-4 გვ.

►► მე-3 გვერდიდან.

რებით მე-19-ე ს-ის ნაწილებში ვითარებით ბრუნვაში „ად“ დაბოლოების ნაცვლად იყენებდნენ „ათ“-ს (ნიმუში: „კარგათ“ ნაცვლად „კარგად“-ისა), მეორე მხრივ კი, თუმცა გაცილებით იშვიათად, ზმნის მეორე კავშირებითის ფორმაში („გავაკეთოთ“, „დავწეროთ“), მრავლობითი რიცხვის მანარმობელი „თ“-ს ნაცვლად წერენ „დ“-ს. ასეა ამ მაგალითშიც: უნდა იყოს არა „ჩავევროთ“, არამედ „ჩავევროთ“. თუ შეცდომის დაშვების მიზეზის ფსიქოლოგიურ ახსნას მოვიხილოთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ: შეცდომის ავტორს მოეჩვენა, თითქოს ეს შემთხვევა იდენტურია სახელის ვითარებით ბრუნვის შემთხვევისა. ეს ძალზე ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ სხვა არავითარი ახსნა არ არსებობს. ხოლო ამგვარი კუროზი რომ არც ძალიან იშვიათია, ამაში დაგარწმუნებთ უახლესი ნიმუშით: „გთხოვთ, გავკვიტოთ ეს იმედი საქმით და ამასთანავე...“.

3. ადრეც მივუთითე, რომ ხშირად, ნაცვლად სიტყვებისა: „რათა“ ან „რომ“ იყენებენ სიტყვას „რადგან“. ეს კი გაუმართლებელია! სიტყვა „რათა“ მიუთითებს მოქმედების მიზანს, ანუ ორიენტირებულია მომავალზე, იმაზე, რაც მერე იქნება, ჯერ კი მხოლოდ წინ გველის. „რადგან“ კი მიანიშნებს იმ მიზეზს, რის გამოც ჩავდივართ მოქმედებას, ე.ი. ეს სიტყვა ორიენტირებულია მოქმედების მომენტისათვის უკვე არსებულ რაღაც რეალობაზე, ანუ, არსებითად, წარსულზე. აი ნიმუშიც გავხილავთ:

„შევედი პოლიტიკაში, რადგან „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვიბრძოლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის“. სიტყვა „რადგან“ აქ უადგილო, შეუსაბამოა – უნდა იყოს „რათა“ ან „იმისათვის, რომ“, ვინაიდან მოყვანილ წინადადებაში მითითებულია მოქმედების მიზანი, ანუ ის, რისი მიღწევაც სურს მოსაუბრეს პოლიტიკაში შესვლით. მიზეზი კი ნახსენები არაა. ეს კია, ძალიან სათუთ ცნობრივ მოვლენასთან გვაქვს აქ საქმე! ცხადია, „პოლიტიკაში შესვლის“ მიზეზიც იარსებებდა – ისე ამ ნაბიჯს მოსაუბრე არ გადადგამდა. ბოლოს და ბოლოს, შეგვიძლია მიზანი მიზეზად ციფიჩნით (ის, რომ ვინმეს აქვს განწყობა – იბრძოლოს ქვეყნის კეთილდღეობისთვის, საკმარისი საფუძველია ანუ საკმარისი მიზეზია იმისა, რომ მან გადადგას ასეთი ნაბიჯი – „შევიდეს პოლიტიკაში“). მაგრამ კამათი ხომ არის არსის კი არა, არამედ მისი ენობრივი გამოხატვის ფორმების შესახებ! ეს მეორე მიდგომა კი, ანუ მოქმედების მიზეზის მითითება, რაც აუცილებლად სიტყვა „რადგან“-ის გამოყენებამდე მიგვიყვანდა, შეიძლება განხორციელდეს, ვთქვათ, ასე: „შევედი პოლიტიკაში, რადგან მსურს „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ვიბრძოლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის“. აქ უკვე მიზეზია წამოყვანილი წინ, თანაც უადგილად გამოკვეთილად. თავდაპირველი წინადადება კი ნამდვილად მცდარია, და საკვირველია, რომ მსგავს შეცდომებს ხშირად უშვებენ განათლებული პიროვნებებიც კი!

4. განვიხილოთ ასეთი მაგალითიც: „ბატონო სოზარ, ახალმა პარლამენტმა ნება იბოძა და თქვენს მოხსენებას მოუსმინა“. ესეც გავრცელებული შეცდომაა: ერთმანეთში ურევენ ორ იდიომურ გამოთქმას – „ნება მიბოძეთ“ და „კეთილი ინებეთ“. პირველი ამბავი მალაფარდოვანია – იგი წარმოადგენს მიმართვის ზრდილობიან, მონივნითი ფორმას, თანაც გულისხმობს მოქმედებას ერთი პირისაგან მეორეზე (მან, ვისაც მოსაუბრე მიმართავს, რაღაცის ნება უნდა დართოს ფრაზის წარმომქმედელს). მეორე კი უფრო მკაცრი, მომთხონი, შეიძლება დატუქსავითაცაა და გულისხმობს, რომ მან, ვისაც მიმართავენ ამ ფრაზით („კეთილი ინებეთ“), არა ვინმე სხვა, არამედ სწორედ საკუთარი თავი უნდა აიძულოს და შეასრულოს რაღაც მოქმედება. კერძოდ, მოყვანილ ფრაზაში ის ნიუანსია ჩადებული, რომ ძველი პარლამენტი ხშირად არც კი თვლიდა საჭიროდ სახალხო დამცველის მოხსენების მოსმენას, ახალმა კი ვეღარ გაბედა ამ საკითხის იგნორირება, ანუ შეასრულა თავისი პირდაპირი მოვალეობა – კეთილი ინება და მოუსმინა. სწორედ „კეთილი ინება“ უნდა ეწეროს ზემოთყვანილ წინადადებაშიც და არა გაუგებარი „ნება იბოძა“ – მოსმენის უფლება ხომ პარლამენტს ისედაც ყოველთვის ჰქონდა, მეტიც – ევალეობა კიდევ მოესმინა, ამიტომ ამ მოქმედებისთვის არავითარი „ნების ბოძება“ სხვისგან თუ თავისივე თავისაგან სრულებით არ სჭირდებოდა. ვგონებ, ნათელია.

5. საყურადღებოა შემდეგი ნიმუშიც: „ამ დროს გამოიარა ასევე გლუხურად ჩაცმულმა და მიესალმა მშრომელს: გაგიმარჯოს, ძია კაცო, რას იქმ, მოხმარება ხომ არაფერში გინდაო?“ (ამ საკმაოდ ძველ ტექსტში აღწერილია ხალხთან ბიძინა ივანიშვილის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი). აქ შეცდომა იმაშია, რომ როცა ორი პირი ერთმანეთს ესალმება შეხვედრისას, პირველი მიმართავს ფორმით: „გამარჯობა“, მეორე კი პასუხობს: „გამარჯობა“, რაც გულისხმობს შინაარსს: „ღმერთმა გაგიმარჯოს“. ზემო წინადადება სწორი მხოლოდ მაშინ იქნებოდა, მშრომელს რომ გამოეყო და მის მისალმებაზე ეპასუხა ბ-ნ ბიძინას მოყვანილი ფორმით (ისიც ხომ აშკარაა – როცა მისალმებაში მონაწილე ორი პირიდან ერთ-ერთი ფიქსირებულ ადგილზეა – დგას, მუშაობს და ა.შ., მეორე კი მასთან მივა ან გვერდით ჩაუვლის, სწორედ ეს მეორე ესალმება პირველად, დამხედური კი მხოლოდ საპასუხო სალაშს აძლევს!). მაგრამ ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ასე არ მოხდარა – სწორედ ბ. ივანიშვილმა გამოიარა, ამიტომაც პირველი ის მიესალმებოდა და ეტყობა: „გამარჯობა, ძია კაცო...“. აქ მხოლოდ ის შეიძლება შემახსენონ, რომ „გამარჯობა“-ს ზოგჯერ „გამარჯობა“-ითვე პასუხობენ. მაგრამ ეს ვერ აუქმებს ჩემს შენიშვნას. ერთადერთი შემთხვევა, როცა თავიდანვე ითქმის „გამარჯობა“, ესაა სადღეგრძელო, რაც სრულიად სხვა რამეა და განხილულ მაგალითს არ უკავშირდება: იგი დალოცვაა და არა დილოციის დასაწყისი, ამიტომ, დილოციისაგან განსხვავებით, პასუხსაც თითქმის არ მოითხოვს.

6. ნიმუში: „მეტიც, ჩვენ რომ ვიმღერეთ, იმავე საღამოსვე გააკეთეს განცხადებები ჩვენმა კოლეგა-მუსიკოსებმა“ უკვე სხვა ნიუანსია. ვფიქრობ, იმის ხაზგასმე-ლად, რომ სიმღერა და განცხადებები ერთ-სა და იმავე საღამოს შესრულდა, სრულიად საკმარისი იყო „ვე“ ნაწილის დართვა ერთ-ერთ სიტყვაზე, რითაც მიიღებოდა „იმ საღამოსვე“ ან „იმავე საღამოს“. იგივეობის ორმაგი გახაზვა კი („იმავე საღამოს“) არა მარტო არააუცილებელი, არამედ ლამის საერთოდ დაუშვებელი მოჩანს. თუმცა ამისი მხოლოდ შეგრძნებაა შესაძლებელი, დამტკიცება კი არა, ამიტომ აქ შევჩერდები.

7. შემდეგ მაგალითში კი უკვე აშკარა კუროზია და მე ვერაფრით ვერ ავხსნი, როგორ შეიძლება მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ჟურნალისტს ასეთი რამ დამართოს (რედაქციებმა კი მშვიდად უტყვირონ ამას და არ აღკვეთონ ქართული ენის დამახინჯება). მართლაც, წერია: „... ლენინგრადიდან კვალდაკვალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გადმოჰყავდნენ ლენინგრადელები“. მხოლოდ უცხოელმა, რომელმაც სადმე ამოიკითხა, რომ „ნენ“ დაბოლოება ქართულში ზმნის ნამყოს მრავლობით რიცხვს აწარმოებს, შეიძლება ვერ გაითვალისწინოს, რომ ეს ამ დანიშნულების მხოლოდ ერთ-ერთი დაბოლოებაა და არა ერთადერთი, ამიტომ დანეროს „გადმოჰყავდნენ“. სინამდვილეში კი ამგვარი ფორმა ამ ზმნას საერთოდ არ გააჩნია. უნდა ეწეროს „გადმოჰყავდათ“. „ათ“ დაბოლოება სულაც არ იხმარება იშვიათად – აი, თუნდაც: „სწყურდათ“, „შოიდათ“, „უნდადათ“, „ჩქვნივობდათ“ და სხვა. მეტი კომენტარები აქ საჭირო არაა.

8. ზოგჯერ ერთადერთი უადგილო სიტყვის ჩასმით წინადადება დაუმთავრებელი და, ამდენად, გაუგებარი ხდება. აი საუცხოო ნიმუში: „ფაშისტურმა გერმანიამ, რომელმაც, როგორც იცხადებდა, სადღესასწაულო მარშით გაიარა მთელი დასავლეთი ევროპა და სერიოზული დანაკარგი სწორედ სერბულ შენაერთებთან ბრძოლაში განიცადა“. ავტორს სურდა ეთქვა, რომ გერმანელები მხოლოდ სერბებთან დაზარალებულ სერიოზულად. მაგრამ როცა მან ჩანაბტა უადგილო სიტყვა „რომელმაც“, ამით ეს გრცელი წინადადება რთული ქვეყნობილი წინადადების მხოლოდ ერთ ნაწილად იქცა და ამიტომ დაუსრულებელი სახე მიიღო. მართლაც, ყველაფერი, რაც მოსდევს ორსიტყველს: „ფაშისტურმა გერმანიამ“, მხოლოდ ერთგვარი განსაზღვრებაა ამ „ფაშისტური გერმანიისა“ და მეტი არაფერი. ამიტომ მკითხველი ელის აზრის დასრულებას და იმის შეტყობას, თუ რა გააკეთა მანამდე უძლეველმა და მხოლოდ სერბებთან დანაკარგგანცდილმა გერმანიამ, ოღონდ ელის ამაოდ, რადგან ავტორს უკვე ნერტილი აქვს დასმული. შეადარეთ: წინადადებაში „კაცი, რომელმაც დააკარგა ცხოვრების საზრისი, თავს იკლავს“ ბოლო ორი სიტყვა რომ ამოვადოთ და ისე დავსვათ ნერტილი, განა დასრულებული წინადადება შეგვჩრბა ხელთ? ცხადია, არა! განსახილველ წინადადებაში კი ეს აბსურდი გამოიწვია ზედმეტმა სიტყვამ „რომელმაც“ – უმისოდ ყველაფერი ნათელი იქნებოდა. თუმცა არის მეორე ვარიანტიც: სიტყვა „რომელმაც“ დარჩეს წინადადება-

ში, მაგრამ ამოვადეს კიდევ უფრო აშკარად ზედმეტი სიტყვა „და“. შეიძლება ითქვას, ეს უფრო ზუსტი მიდგომაა. მაშინ (ნაკითხით თვითონვე!) რჩება ასეთი აზრი: „გერმანიამ, რომელმაც ადვილად გადათქვა ევროპა, შედარებით მარცხი სწორედ სერბებთან განიცადა“. შეცდომა კი იმან გამოიწვია, რომ ავტორმა არ „მოუსმინა“ თავის წინადადებას, თვალს ვერ გააღვენა მას ბოლომდე და ამიტომ ვერ მიხვდა, რომ ორი სიტყვის – „რომელმაც“ და „და“ – ერთდროულმა გამოყენებამ წინადადება დაუსრულებელი გახადა. ასეთი რამ ბევრ გრძელ წინადადებაში შემხვედრია.

9. შემდეგი მაგალითის შეცდომას კი მხოლოდ ის მიხვდება, ვინც კარგად იცის ნელთალრიცხვის პრობლემა. ისტორიული ჟანრის ბრწყინვალე თხზულებაში ამოვიკითხე: „დღე დათქმული აჯანყებისა – 25 მარტი (7 აპრილი) 1625 წლისა, დღესასწაული – ხარება“. ტექსტი გიორგი სააკაძის მხედართმთავრულ ხელოვნებას ეძღვნება და თითქოს საიდან უნდა გაჩენილიყო მასში რაიმე უზუსტობა? ენობრივი ლაფუსი აქ არცაა, სამაგიეროდ არის ფაქტობრივი უზუსტობა. კერძოდ, თარიღი მოყვანილია ორივე სტილით – ძველითა და ახლით. პირველი – იულიუსის კალენდარია, რომელიც ჩვ. წ-მდე 46 წელს შემოიღო რომის იმპერატორმა იულიუსმა, მეორე კი – გრიგორიუსის კალენდარი, რომელიც 1582 წელს რომის პაპმა გრიგოლ XIII-მ დაამკვიდრა და რომელიც იულიუსის ნელთალრიცხვის ერთგვარი დაზუსტებაა. ყველამ იცის, რომ ახალი სტილი 13 დღით უსწრებს ძველ სტილს, ანუ ნებისმიერ ისტორიულ თუ ბიოგრაფიულ ძველსტილოვან თარიღს 13 დღე უნდა დაემატოს, რათა მისივე ახალსტილისეული თარიღი მივიღოთ. მაგრამ ეს ასე მხოლოდ თანამედროვე ეპოქაშია, სახელდობრ კი 1900 წლის 29 თებერვლიდან 2100 წლის 29 თებერვლამდე. სხვა ეპოქებში კი სიტუაცია სხვაგვარია. საქმე ისაა, რომ ახალი სტილი უფრო სწრაფი ნელთალრიცხვა, ვიდრე ძველი სტილი (ამიტომეცა იგი მასზე უფრო ზუსტი!). მისი წინსწრება ძველი სტილის მიმართ დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება. ამაზე ბევრგან დამინერია და აქ მხოლოდ შევახსენებ მკითხველს, რომ ძველი სტილით ნაკიანია ანუ 29 თებერვალს შეიცავს 4-ის ჯერადი ყველა წელიწადი, ახლით კი ამბავან მარტივ (365-წლიან) წლებადაა გადაქცეული 4-ის არაჯერად საუკუნეთა ბოლო წლები, მაგალითად, 1700, 1800, 1900, 2100, 2200 და ა.შ. აქედან კი ჩანს, რომ პაპის რეფორმიდან 1700 წლამდე სტილთა სხვაობა 10 დღე იყო, 1700 წლის მარტიდან იგი გახდა 11 დღე, 1800 წლის მარტიდან – 12 დღე, 1900 წლიდან – 13 დღე, 2100 წლიდან გახდება 14 დღე და ა.შ. ამ ცხრილის შესაბამისად, 1625 წელს ახალი სტილი ძველ სტილს 10 დღით უსწრებდა და არა 13-ით, ამიტომ ამ წლის 25 მარტს ახალი სტილით 4 აპრილი იყო და არა 7 აპრილი. ტექსტიც ამის შესაბამისად უნდა გასწრდეს. ამგვარი უზუსტო ქრონოლოგია ძალიან ხშირად გვხვდება, ამიტომ მივიჩნიე საჭიროდ მასზე ყურადღების გამახვილება.

ამჯერად ამით შემოვიხაზვდეთ. ■

რა აუცილებელია, გოეთესავით დიდი იყო, რომ თავი „საბოლოო ინსტანციად“ მიგაჩნდეს. არადა, ხომ მშვენივრად ვიცნობთ ასეთი მწერლების მოსაწყენ და უმასშტაბო ნიგნებს და მათ ავტორებს, უაზროდ გაფუყულებს, თავი რომ დაურწმუნებიათ, „საბოლოო ინსტანციას“ წარმოვადგენო. მათ მალლა აღარავინ არის, ლამის ღმერთსაც ჩაენაცვლონ თავიანთი უზადრუკი არსებობით. მაგრამ გოეთე გოეთეა, შეუვალი და უნივერსალური და რაც ეპატიება იუპიტერს – არ ეპატიება საბჭოური კონიუნქტურის ნეხზე ამოცენებელი გორგებს. ნაპოლეონიც კი გოეთეს მკითხველი და თაყვანისმცემელი იყო. მან ზეპირად იცოდა გოეთეს ზოგიერთი ნაწარმოები და, მის მიერ დაპყრობილ გერმანიაში რომ შეხვდა პოეტს, შესთავაზა კიდევ, ზოგიერთი ცვლილება შეეტანა ერთ-ერთ ხელნაწერში („ვერტერის ვნებანი“).

თუ მცირე პარალელს გავავლებთ საბჭოთა ცეკას მდივნებსა და ნაპოლეონს

# უკიდურესობათა თანაარსებობა

შორის და მათ ერუდიციაზე ვისაუბრებთ – გოეთეს ნამდვილად გაუმართლა, თუმცა მისი შემოქმედების მკითხველი და თაყვანისმცემელი იმავდროულად გერმანიის დამპყრობელიც იყო. მოდი, თავი დავანებოთ ასეთ ღმირისმომგვრელ პარალელებს და მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ. რამდენად მისაღებია მალტე ლაურიდს ბრიგესთვის (რილკეს რომანის პერსონაჟი) ის გარემოება, რომ გოეთე თვითონაა „საბოლოო ინსტანცია“?! ვიდრე ამ და სხვა საკითხებზე ვისაუბრებთ, მოვიძიებ არაერთ წიგნს და ცალკეულ ციტატებს, ერთმანეთთან დავა-

**ბივი ალხაზიშვილი**

კავშირებ იმ მოსაზრებებს, ხანგრძლივმა ფიქრმა რომ დააღაგა და განსაზღვრულ ლოგიკას დაუმორჩილა, გავიმეორებ საყოველთაოდ აღიარებულ შეხედულებას: თითქმის ყველა გერმანულენოვანი მწერალი, ცხადია, სხვებიც, გოეთეს განსაკუთრებული კრძალვით და რდიით მოიხსენიებს. კრძალვის მიზეზი ცნობილია. მოვეხმინოთ რილკეს: „ვკითხულობ „გოეთეს მიმონერას ერთ ზაგუნთან“, ამ ძლიერ, მის საწინააღმდეგო საბუთს, რომელიც ყველა ჩემს ეჭვს ადასტურებს.

ხომ გესმის, მის უნივერსალურ პიროვნებას ჩრდილს კი არ ვაყენებ, მხოლოდ უმაღლესი საზომით ვუდგები. მალტე ლაურიდსმა ამის თაობაზე შენიშნა: „გოეთე და ბეტინე: აქ იბადება სიყვარული, შეუდრეკელი, ეპოქის საკადრისი და უფლებამოსილი, როგორც მოქცევა ზღვისა, როგორც დამდეგი წელიწადი. გოეთეს კი ის ერთადერთი ჟესტი ვერ უპოვია, საკუთარ თავზე რომ აამაღლებდა და ამ სიყვარულის იქითკენ უჩვენებდა და მას, საითაც იგი მიიღობის (გოეთე თვითონ რჩება „საბოლოო ინსტანციად“)“ (რაინერ მარია რილკე – „წერილები“, „მერანი“, 2002 წ., თარგმნეს ნანა გოგოლაშვილმა და დალი ფანჯიკიძემ).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ გოეთეზე საუბრისას რილკე იშვლელს თავისივე რომანის პერსონაჟის, მალტე ლაურიდს ბრიგეს მოსაზრებას, რომელიც დაასკვნის, რომ ამ სიყვარულში გოეთე ვერ ამაღლდა საკუთარ თავზე და

► იგი (გოეთე) რჩება „საბოლოო ინსტანციად“.

რილკე, იქვე, კლარა რილკესადმი გაგზავნილ სხვა წერილში, თითქოს განავრცობს გოეთეს ცნობილ სენტენციას: „შეზღუდულ ვითარებაში გამოავლენს თავს ოსტატი...“ და აღნიშნავს, რომ „რაც უფრო მცირეა არჩევანი, მით ნაკლებად ეპატიება შემოქმედს თუნდაც უმნიშვნელო არსებას ზურგი შეაქციოს; რადგან ერთი ასეთი უარყოფაც კმარა, რათა ღვთის წყალობა მოაკლდეს და ცოდვილი გახდეს“. შეუძლებელია, არ გამახსენდეს რილკეს ლექსიდან დაახლოებით ასეთი სტრიქონი: „რატომ მეხება ყველაფერი, საკვირველია?“

რილკე, გოეთესგან განსხვავებით, არ არის უმაღლესი ინსტანცია, იგი შემკრები ყოველივესი, რაც მის სულს ეხება, და ცდილობს, ზურგი არ შეაქციოს თუნდაც უმნიშვნელო არსებას, რადგან შიშობს, რომ ერთი ასეთი უარყოფაც საკმარისი იქნება, რათა „ცოდვილი გახდეს“ და „ღვთის წყალობა მოაკლდეს“.

თავგანწირვა საჭირო საკუთარი თავის დასაძლევად. იგი იხსენებს, როგორ უყვარდა სეზანს ბოდლერის ლექსი „ლემი“, რომელიც ზეპირად იცოდა.

ბოდლერის „ლემის“ თემატიკა, ვფიქრობ, ერთი აპოკრიფიდან იღებს სათავეს, რომელიც მოთხრობილია, თუ როგორ ჩაუარა რამდენიმე მონაფის თანხლებით მიმავალმა იესო ქრისტემ მკვდარ ძაღლს, ყველამ თვალი აარიდა ამ საშინელ სანახაობას, აყროლებული ლემის სუნსაც განერიდნენ, ქრისტემ კი – ნახეთ, რა ლამაზი კბილები აქვსო, თქვა და ინტერესით დააცქერდა მას.

საყურადღებოა ბოდლერის თავგანწირვა, აჯობოს მშვენიერების სტერეოტიპს და იქ ეძებოს იგი, რასაც ყველა თვალს არიდებს და გაურბის. ამაზრუნ სურათს ბოდლერი საშიში სითამამით და ოსტატობით აღწერს, თვალს უსწორებს შეუმკრთალი და, რაიმე ნაწილს კი არ გამოყოფს, როგორც მშვენიერების ნიმუშს, იგი ცდილობს გვაგრძობინოს, ცხვირწინ აგვიფრიალოს მთელი სისასტიკე წარმავლობისა და ლემის ამაზრუნობა საოცარი მეტაფორებით გაგვიმძაფროს. ვინ უწყის, რატომ იცოდა სეზანმა ეს ლექსი ზეპირად, სიკვდილამდე რომ ხშირად იმეორებდა ხოლმე. აქ იძვრება სიკვდილის შიში და უფრო სიკვდილის შიშთან შეგუების ან, იქნება, სიკვდილისთვის თვალის გასწორების მცდელობა. მხოლოდ ასეთი თავგანწირვა საკმარისი არ იქნებოდა, რომ არა ბოდლერის „ლემის“ საშიში ელვარება და ფინალური სტროფები:

არც შენ აცდებდა ასე მძორად ქცევა და გახრწნა, დრომ ბოლოს ესეც უნდა გაგემოს, ჩემი ბუნების მზეს და ჩემი თვალების ვარსკვლავს, ჩემს უძღვებ ვნებას და ჩემს ანგელოზს!

დაიხ, სინაზის დედოფალო, რა ვქნათ, ასეა, წესს ავიგებენ ტირილით შობილს, ზედ გადავივლის ბალახი და ახასხასდება, მოგეკიდება საფლავში ობი.

დაიხ, ძვირფასო! მატლს უთხარი, მაგ შენს მშვენიერებას რომ დააძღვება უსასტიკესი, რომ იავარქმნილ სიყვარულის გადამრჩენელად მე დავრჩი, როცა შენ მტვრად იქეცი! (ბოდლერი „ლემი“ – თარგმნა გივი გეგეჭკორმა) ნაღვლიანია „სიყვარულის გადამრჩენელის“ მისია და, რა თქმა უნდა, ქარიზმულია ბოდლერის სულისკვეთება: რომ იავარქმნილ სიყვარულის გადამრჩენელად მე დავრჩი, როცა შენ მტვრად იქეცი! მოულოდნელი და დამზაფრავია: „ცა იმ ჩონჩხს ისე დაჰყურებდა მზეზე გადახსნილს, ვით გაზაფხულზე გადაშლილ ყვავილს...“

მუდამ ცოცხალია სიკვდილის შიში, იგი ზურგს უკანაა და თვალწინ არის, ის ყველგან არის და, რაც მთავარია, შენში, ყოველ ნაბიჯსა და მოძრაობაშია ჩამალული; შეიძლება თვალი აარიდო, შეეცადო დაივიწყო, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ბოდლერს არ სურს, სიკვდილთან ბრძოლა წააგოს – აქედანაა მისი უსასტიკესი ამბოხი, სიკვდილისთვის თვალში ჩახედვის თავგანწირული სურვილი და ამაზრუნე სურათების ფეიერვერკი და უეცარი ფინალი:

რომ იავარქმნილი სიყვარულის გადამრჩენელად მე დავრჩი, როცა შენ მტვრად იქეცი!

რადგან ძაღლის ლემის იგავსა და ბოდლერის „ლემზე“ ჩამოვარდა საუბარი, შეუძლებელია მკითხველს არ გავაცნო ინგებორგ ბახმანის ერთი ლექსი, მისი სიკვდილის შემდეგ რომ გამოქვეყნდა. ინგებორგ ბახმანის პოეზიისთვის „დამახასიათებელია უღრმესი გულწრფელობა და უკიდურესი გულახდილობა“. სიცოცხლეში ბახმანმა ეს ლექსი არ დაბეჭდა, სიკვდილის მერე კი აღმოაჩინეს მის ხელნაწერებში და საჭიროდ მიიჩნის გამოქვეყნებინათ. თუმცა ლექსი „სუნი“ („სუნები“) იმდენად ინტიმურია, რომ, თუ არა მისი მეორე მხარე, ანუ მთავარი არსი, არც მე შევუდგებოდი ამ ლექსის ზოგიერთი სტრიქონის ქართულად გადმონერას:

მე ყოველთვის მიყვარდა სუნები: ოფლის სუნი, დილის ამონაორთქლის, ექსკრემენტისაც კი, სხეულთა სუნი მატარებელში ან საწოლში ხანგრძლივი რყევის შემდეგ. მხოლოდ ჩემი სუნია წყეული,

ჩვეულებისამებრ აბა ზანა სამჯერ დღეში, მაგრამ თვის ბოლოს გამიძრბინა, როგორც გვამს. მენანება ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე მეტად მენანება – სუნი. ყველაზე მეტად მენანება, რომ ჩემი სუნი საზიზღარია. ასე იბადება სიძულვილი; შურისძიება, წყევლა იბადება ასე.

(ინგებორგ ბახმანი, „სუნები“) „ბახმანმა ამ ლექსს სრულიად შეგნებულად აუკრძალა ყოფილიყო ლამაზი. ზედმეტ სილამაზეს შეიძლება ნაეშალო კიდევ ლექსის აზრი“ (ელიზავეტა სოკოლოვა, „ი. ლ.“ 2, 2003 წ.). ამ მეტად ინტიმურ და ტრაგიკულ ლექსში უხერხულ სიტყვათა და უსიამოვნო შეგრძნებათა ფონზე უცნაურად ანათებს განცდათა შორის ყველაზე უფრო ადამიანური განცდა სინანულისა. სინანულის პირველწყარო გარდაუვალი სიბერის შეგრძნებაა, რასაც ვერ შეგუებია ბახმანი და აღიარებს, რომ „ასე იბადება სიძულვილი, შურისძიება, წყევლა...“

როგორ განსხვავდება ბახმანისეული სიბერის აღქმა ჰერმან ჰესეს ერთი მინიატურისგან, იმ მოხუცი ცოლ-ქმრისგან, მორჩილებით რომ ერწყმიან დარჩენილ დროს და ამ დროში აღმოაჩენენ მანამდე არარსებულ სიბრძნეს, რომ ყველა ასაკს აქვს თავისებური სილამაზე და ხიზლი.

მსოფლმხედველობრივი სხვაობა, ორპოლუსიანი უკიდურესობანი ნებას არ მძღვეს, ერთი მოვიწონო ან მეორე დავიწუნო, რადგან ორივე შემთხვევაში იკვეთება ადამიანური ტრაგედია და ეს ტრაგედია ორივეგან სხვადასხვა კუთხით არის დანახული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სადაც იბადება სიძულვილი, შურისძიება და წყევლა – იქ უკვე აღარ არის ღმერთი და მერყევი რწმენა ან, იქნებ, მცირედმორწმუნეობა მხოლოდ ამბოხის შანსს იძლევა. თუმცა ამ ამბოხებაშიც ჩნდება რაღაც ისეთი, რაც დგომისა და დაუშლადობის სხეულის სიყვარულს უარყოფას ცდილობს ან, უბრალოდ, ადამიანური სისუსტის ამსახველია. ამგვარი ამო მცდელობა ინგევს თანაგრძობას და სინანულს.

ნეტარი ავგუსტინე კი გაიმეორებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას: „საწუთროს სიყვარული შენი ლალატია“, ხოლო პასკალი დასძენს: „კაცის მგრძობელობა ყოველგვარი წვრილმანის მიმართ და მისი სრული უგრძობელობა ყოველივე დიადის მიმართ – სულის უცნაური გახრწნილობის ნიშანია“.

ისევ ნეტარი ავგუსტინე: „უყურე, უფალო, შენი ჩვეული მოთმინებით უყურე, რა გულმოდგინედ ცდილობენ ადამიანის ძენი მკაცრად დაიცვან ის წესები, ასობსა და მარცვლებს რომ ეხება; წესები, რომლებიც თავიანთი მასწავლებლისგან შეითვისეს და როგორ უგულვებლყოფენ სულის ხსნის იმ მარადიულ აღთქმას, შენგან რომ მიუღიათ“.

ციტირებულ ტექსტებს შორის ხიდეების აშენებას არ ვაპირებ, ვცდილობ, ადგილი დავტოვო იმ მინიშნებებისთვის, რომლებიც შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ იმას კი ადასტურებს, რომ უღვთოდ დარჩენილი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საყრდენს ვერ პოულობს, მხოლოდ ამბოხის გზას ირჩევს და ეს ამბოხი ღვთისა და, შესაბამისად, საკუთარი თავის წინააღმდეგ მიუმართავს. ამგვარი თავგანწირვა ისხამს საშიშ და მიმზიდველ ნაყოფს, რომელმაც უკვე შეძლო ეუნწყებინა კაცობრიობისათვის, რომ მას „ღმერთი მოუკვდა“.

„ხორცს სულის საპირისპიროდ სურს და სულს ხორცის საპირისპიროდ“. ამ ორ სურვილს შორის არსებულ მარადიულ დაპირისპირებაში უმეტესწილად „ხორციელი სურვილი“ იმარჯვებს. ბახმანის ლექსი „სუნი“ სწორედ სხეულებრივ დარღვევა აგებული, მაგრამ ეს დარღვი იმდენად ადამიანურია, რომ თანაგრძობას მაინც ინვეს. თუმცა ამ ლექსში, როგორც ბოდლერის ლექსში „ლემი“ – აპოკრიფული იგავიდან შემოღწეული ლემის სუნი მაინც იგრძნობა და მარადიული დარდი ადამიანის წარმავლობაზე ახალი კუთხით წარმოჩნდება. მშვენიერების სტერეოტიპის დაძლევა „ბოროტების ყვავილებით“ დიდ ხანს გაგრძელდებოდა ახალ-ახალი ნაირსახეობებით. თუმცა, თანამედროვე ხელოვნება და ლიტერატურა ზედმეტად გაერთო ალტერნატიული მშვენიერების შექმნით და თვითონ იქცა სტერეოტიპად, ზოგჯერ შტამბად, დედური ესთეტიკის აუცილებელ პირობად, მთავარ ატრიბუტად და ჩნდება ეჭვი, რომ მარადიული წრებრუნვა, ალბათ, ახალ იდეებს შესთავაზებს კაცობრიობას და ეს ახალი იქნება გადავიწყებული ან, იქნებ, დაწუნებული ძველი, რადგან სხვა გამოსავალი, სხვა გასაღწევი ბუნებაში არ არსებობს.

წვალობს სხეული. ნაკითხულია ყველა წიგნი და ყველა წერილი... მალარმეს ამ სტრიქონებს ვინმე პოსტმოდერნისტი პოეტი ასე გადაწერდა: ლაღობს სხეული. დაწერილია ყველა წიგნი და ყველა წერილი...

აქცენტების გადატანა ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა, ნაკითხულის ხელახლა, სხვაგვარად ნაკითხვას შემოგვთავაზებდა და სემანტიკის შეცვლა ავტორობის უფლებასაც მოგვანიჭებდა.

იქნებ „დაწერილია ყველა წიგნი და ყველა წერილი“, მაგრამ რაღაც მაინც დარჩა დასანერი და ეს რაღაც, ვინ იცის, იქნებ დაწერილს აღემატება?!

აი, რა უთქვამს ბეთპოვენს ბეტიმე არნიმისთვის: „მე მეგობარი არა მყავს. იძულებული ვარ, საკუთარ თავთან განმარტოებულმა ვიცხოვრო; ოღონდ მშვენიერად ვიცი, რომ ღმერთი ჩემთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სხვა ვინმე ჩემი ხელობის ადამიანთან. ღმერთთან ურთიერთობის არ მემოინა. მას ყოველწამიერ ვწვდები და ვაცნობიერებ. არც ჩემი მუსიკის გამო გამჩენია შიში, მას შეუძლია ცუდი ბედი ხვდეს წილად; ვისაც ჩემი მუსიკა თავისას გააგებინებს, იგი განთავისუფლდება ყველა იმ უბადრუკობისაგან, რითაც სხვები მიათრევენ თავიანთ სიცოცხლეს“.

სხვაა ღმერთთან „გაშინაურებული“ ბეთპოვენის ტრაგედია და სხვაა უღმერთოდ დარჩენილი შემოქმედის ესთეტიკა.

რილკეს თქმით, როდენს ძალიან უყვარდა ბეთპოვენის ზემოთ ციტირებული ნაზრევის მოსმენა, „კარგად იცოდა მათი ფასი“; როდენს მიაჩნდა, რომ „ყოველ საგანს შეუძლია ამაღლდეს სქესობრიობაზე და გრძობამოჭარბებულმა სულიერების სფეროს მიაშუროს, მის ზემოთ კი მხოლოდ ღმერთია, სადაც სულიერად ამაღლებულებმა შეიძლება სარეცელი გაიზიარონ“. მაგრამ ქალი, მისი აზრით, ამის მიღმა და ამ ყოველივეს ქვემოთ რჩება. იგი, სხვა საგნებისგან განსხვავებით, უფრო მაღალ მატერიებში არ განზავდება: მას მხოლოდ დაკმაყოფილება აინტერესებს და დაკმაყოფილება კიდეც. ამიტომაც არის მამაკაცისთვის ქალი რაღაც საკვების, რაღაც სასმელის მსგავსი, მამაკაცს დროდადრო ძარღვებში რომ დაუვლის ხოლმე: ეს ღვინოა, რომლისაც როდენს სწამს.

ძნელია, დარწმუნდე იმაში, რომ, რასაც ქალში ეძებ, ვერასოდეს იპოვი. ალბათ, ამიტომ ეძლევიან სიყვარულს, თითქოს ძალუძთ სხეულებრივად ახსნან, რა არის სიყვარული სინამდვილეში, ან შეძლონ წუთიერად იმის მოხელთება, რასაც სიყვარული ჰქვია. ხორციელი წვდომის შემდეგ უფრო ასკეცდება სიყვარულის მხოლოდ სხეულებრივი გზით მიუწვდომლობის რაღაც ნაკლები შეგრძნება, რათა თავიდან ისევ და ისევ ჩვეული ხერხით ეძიო იმის დასტური, რასაც სიყვარულის მოუხელთებლობა ჰქვია. და, რადგან ადამიანი არ არის უნივერსალური, რადგან იგი ღვთაებრივისა და ცხოველურის ჯამია, იძულებულია ხვედრის დაემორჩილოს ან აუჯანყდეს. შემოქმედს „შეუძლია ამაღლდეს სქესობრიობაზე და გრძობამოჭარბებულმა სულიერების სფეროს მიამშროს“. მსგავსი სუბლიმაცია ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მერე ისევ ის ქალი მოგვწყურდება, როდენმა რომ საუკეთესო ღვინოსთან გააიგივა.

ჩაკეტილი წრე აგრძელებს თავის არსებობას და ღვთაებრიობის ხარისხში აყვანილი სიყვარული, თუ მას ადამიანს გამოვაკლებთ, სულერთია, შემოქმედი იქნება იგი თუ არა, მხოლოდ აბსტრაქტულ თეორიად იარსებებს. შემოქმედისთვის კი პრობლემა რჩება უცნაური სენტენცია, რომ „ყველა უნდა იყვარდეს, რომ სიყვარული დაძლიო უფრო მაღალი ხარისხის სიყვარულით, ამისთვის კი მხოლოდ თავგანწირვა არ არის საკმარისი“. გაიხსენეთ კორკეგორის თავგადასავალი. უყვარდა და არ იქორწინა. უყვარდა და არ შეხებია, პირიქით, განერიდა გაცეცხულ გულისსწორს და, როგორც ზოგიერთი თქობს, „სიყვარული გადაარჩინა“. პრიმიტიულად მოაზროვნეთათვის სიყვარულის ამგვარად გადარჩენა სასაცილოა და დაუჯერებელი, მაგრამ მსგავსი მაგალითები განა ჩვენს ბავშვურ სასიყვარულო თავგადასავლებში არ არსებობს?! რაღაც უმანკო, ფიზიკურად განუხორციელებელი სიყვარული, როცა ჯერ კიდევ არ გვისმის, რას ნიშნავს დამდაბლებს სულიერი, დარჩება რაღაც ხელუხლებელი, უნივერსალურს მიმგანებელი, თითქმის უსქესო და, შესაბამისად, ხორციელი ვნების გარეშე არსებული.

ასე რომ, ადამიანი მხოლოდ „ლემი“ არ არის და არც საკუთარი სხეულის უსიამოვნო სუნზე, სიბერის სუნზე დანაღვლიანებული არსება, იგი ამავედროულად, ან იქნებ უპირველესად, „იავარქმნილი სიყვარულის გადამრჩენელად“ არსებობს. „თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ“ (გალატელთა მიმართ, V, 25).

რა მანძილია მაინც „საბოლოო ინსტანციასა“ (ვიმეორებ ლაურიდს ბრიგეს სიტყვებს გოეთეზე) და „ლემის“ ავტორს (ბოდლერი) შორის?! ალბათ, ღირს დაფიქრება. რილკე ერთ-ერთ წერილში კატეგორიულად უკრძალავს ადრესატს მის პერსონაჟთან – მალტე ლაურიდს ბრიგესთან გაიგივებას. თვითონ რილკე ლაურიდის ნააზრევის ციტირებას ახდენს, თითქოს იგი დამოუკიდებლად არსებულ ადამიანს ეკუთვნოდეს და რილკესთან არაფერი ჰქონდა საერთო. ■

მშვიდობა და აღორძინება  
„ბედნიერი სვანეთის ერთობილ ხევს“

# სვანეთის საბრძოლო ღირსეულობა „ლომი“



მკვლევარ-მეცნიერთა მიერ სვანეთში მოძიებული რამდენიმე დროშა – „წმინდა დროშები“, რომლებიც სხვადასხვა საზოგადოებას ეკუთვნოდა და საყდრებში ინახებოდა ( უმგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი, ლატალი, ლაშხეთი და სხვ.). ერთ-ერთი დროშა „ლემი“ XV საუკუნის ტარით ჩვენამდე მოღწეული და ის ბოლო ხანებში ინახებოდა მესტიის საზოგადოების წმ. გიორგის საყდარში (ლახვამში), ეს დროშა აღწერილი აქვს სვანური ეთნოგრაფიის გამომჩენილ მკვლევარს, მეცნიერ ვერა ბარდაველიძეს:

დროშას აქვს გრძელი ტარი, ბუნს თავზე წამოცმული აქვს ვერცხლის შუბი ოქროთი მოვარაყებული, შუბის ერთ მხარეზე გამოსახულია სოფ. ლატალის წმ. იონა და უღვირის მთავარანგელოზი, თავზე აწერია „ მთავარ-ანგელოზი უღვირისა“, მეორე მხარეს გამოსახულია სეტის წმ. გიორგი და ცხრამეტსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა... „ლომი“ და „ბედნიერი სვანეთის ერთობილ ხევი“. დროშა ყვითელი აბრეშუმისაა. ლომის თავზე და ტორებზე ნაჭრით გამოსახულია ჯვრები, მხეცის პირი ღიაა, რომ მოძრაობისას შაერთი გაიბეროს და ურჩხულის ფორმა მიიღოს. მხეცის სიგრძე 1.25 მეტრია, კუდიანად – 2,24 მეტრი. მკვლევარები ამ დროშას ურჩხულისნაირი შტანდარტების ტიპს მიაკუთვნებენ. როგორც ისტორიიდან ვიცით, ასეთი შტანდარტები დაფიქსირებულია პართლებთან, სკვითებთან, სარმატებთან ( II ს.). რომაელებთან ( III ს.), სასანიანთა მმართველებთან ( IV ს.) და შუა სუკუნის ბიზანტიასთან.

XIV ს. II ნახევარში დაწერილ სრულიად სვანეთის ხევის ქვეყნის სამაგრობელ ტექსტში არის ასეთი აბზაცი: „რად ლომი და მოლაშქერ მოვიდეს, რომელიცა ხევი ანუ სოფელი არ მოჰყვეს მისითა აბჯრითა, იმ ხევსა და სოფელსა მიუხდეთ ჩვენ, ერთობილ ხევი.“

სეტის წმ. გიორგის საყდართან დაკავშირებით ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს 1860 წელს აქვს აღწერა: „შუბი თითქმის 3-ნახევარი არმინის, ვერცხლის ბოლოთი, მასზე არის გამოსახულება და წარწერა: „ღმერთმა შეიფაროს ერთობილ ბედნიერი ლომის ხეობა მისი დროშების ხორუგვი, ჩვენი აღმატებულების სახელზე შემოსწირა გრიგორი კოპაძემ.“

ქართული ისტორიული საბუთებით (XIV ს.) მელომეა „ბედნიერი სვანეთის ხევის“ მახვი და ლაშქრობისას მედროშეც ის უნდა ყოფილიყო, სვანეთის ხევის საზღვრები ერთხანს უმგულთან დალევრამდე ვრცელდებოდა (ლაღვერი – ნასოფლარი ფარსა და ლახამულას შორის). მახვი და მელომე არჩევითი თანამდებობები იყო. ასე, მაგალითად, XIV საუკუნის საბუთებში, რომელიც შედგენილია „ბედნიერი სვანეთის ერთობილ ხევის“ სახელით, უფროსად, მელომედ დასახლებულია ბენდან ვახტანგის (პ. ინგოროყვა, გვ. 6). ყველა სვანურ საყდარს ჰყავდა თავისი მრევლი – ისინი საყდრის კაცებად იწოდებოდნენ.

წმ. გიორგის მრევლის „მოლჯგრააგები“ ერქვათ. მესტიის (სეტის) სახელმწიფოში ცნობილი იყო ოთხი ასეთი გვარი: ფალიანი (სეტელი), მჭედლიანი (მჭედანი), რატანი, ნიგურანი. მათგან უძველესად ფალიანები ითვლებოდა და სეტის ჯგრააგიც ამ გვარის სალოცავ ნარმოადგენდა, ლომის მპყრობელიც ისინი ყოფილან, შემდგომში ფალიანების შვიწროების შედეგად „ლეღჯგრააგ თავის“ ნაცვლად ყოფილა „მოკილ“, რომელსაც მჭედლიანების გვარიდან ირჩევდნენ, ხოლო ლომის მპყრობელი გამხდარან ჯაფარაძეები (ჯაფარიანები), გამხდარან, რომლებიც „ლეღჯგრააგის“ თემში არ შედიოდნენ. ეს ამბავი მას შემდეგ მოხდარა, რაც ვინმე იმხანათ ჯაფარიძეს „ლემი“ შეუკერავს და შეუწირავს წმ. გიორგის საყდრისთვის, ეს საბაბად გამოუყენებიათ ჯაფარაძეებს (ჯაფარიანებს) ლომის მპყრობლობის ხელში ჩასაგდებად. „მოლჯგრააგებს“ ევალებოდათ წმ. გიორგის სახელზე დღეობები გადაეხადათ ზაფხულშიც და შემოდგომითაც; ზაფხულში იხდებდნენ „ჰული-შობას“, რომელიც პეტრე-პავლობის მარხვამდე ერთი კვირიდან დაიწყო იმართებოდა. ამ დროს ტარდებოდა დროშაინი დოლი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. დრო-

შა გამოჰქონდათ კვირა დღეს; აქ მთელი ხევი იკრიბებოდა, მხედრებს დოლის დასანყებად დანიშნული ადგილი ჰქონიათ; თუ დოლი მედროშე გაიმარჯვებდა, ეს ხევისთვის სასიკეთოდ მიიჩნედა. „ჰული-შობა“ უმგულში შხარასთან ენგურის დაგუბების და დიდი ტრაგედიის აღსანიშნავი დღეობა იყო (ნიშნავს: „ჰოლ“ – მყინვარი, „ჰოლომ“ – მყინვარის სტიქია).

არსებობს დროშა „ლემის“ წარმოშობის რამდენიმე ვერსია: ერთ-ერთი ვერსიით, ეს დროშა სოფ. ხალდეს მცხოვრებ ყოფილა და იქიდან ჩაჰქონდათ დოლზე. ლეგენდის მიხედვით, 1204 წ. ზაფხულში საქართველოში უამიანობა ყოფილა; ამ დროს სვანეთში გამგზავრებულია თამარ მეფე. მის ამაღლო შედგოდა ჰანდრო ორბელიანი (რომელიც თითქოს ლენჯერში დასახლებულა და გულედანის გვარი მიუღია – ჰანდრაშა); მეფისთვის საზეიმო შეხვედრა მოუწყვიათ უმგულის საზოგადოებაში და შემდეგ სოფ. ხალდემი. ნადიმზე ხალდეს მოძღვარს სტუმრებისთვის უამბნია ჩრდილო კავკასიიდან ქაშაგათა შემოსევისა და სოფ. ლენჯერის აოხრების შესახებ – მაშინ შეკრებილა ზემო სვანეთის ლაშქარი, ხალდედან ჩამოუტანიათ „ლემის“ დროშა და ქაშაგები სასტიკად დაუშრცხებიათ. ქაშაგებზე გამარჯვების წლისთვის აღსანიშნავად ზემო სვანეთის ხევი ლენჯერში შეკრებილა, ხოლო „ლემის“ დროშა გამარჯვების წლისთავზე დაბრუნებია ხალდეს (ხალდეს საეკლესიო მოძღვრის ჩანაწერებიდან ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილისთვის ლეგენდა მიუწოდებია თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტს, ნიჟარაძეს 1934 წ. სათაურით „არიან თუ არა ორბელიანები სვანეთში?“, (ჩანაწერის დედანი არ ჩანს, არის ამონაწერი).

ხალხურ მთქმელთა ნაწილის აზრით, დროშა თათრებისთვის ნაურთმევიანათ ბრძოლის დროს, ერთი გადმოცემით, თვითონ თამარ მეფეს შეუკერავს და საყდრისთვის შეუწირავს; სხვა ვერსიით – დროშა სვანებისთვის ნაყოფიერებისა და მოსავლის ქალ-ღვთაებას „ლამარის“ ჩაუბრუნებია.

სვანეთში გავრცელებული რწმენით, დროშაზე ლომი კი არა, მგელია გამოსახული. ლომს იმიტომ უწოდებენ, რომ მგელი მასავით ძლიერი და ძლევა მოსილია. როგორც ვიცით, მგლის გამოსახულება ამშვენებდა ვახტანგ I-ის მუზარადს, რის გამოც სპარსელებმა გორგასალი შეარქვეს. „გამომევა წინაი მგელი და უკანაი ლომი“. სვანურ ეთნოგრაფიულ მასალებში მგლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებაა, მას მიაწერდნენ ზებუნებრივ ძალასა და ჭკუა-საზრიალობას, მაგიურობას. ამასთან ერთად, ის მიაჩნდათ ადამიანის მფარველად – მგლის ეშვის ავგაროზი მავნე სულებისა და ავი თვალისგან იცავდა ადამიანებს. ასაკოვან ხალხს სჯეროდა, რომ მგელმა შურისძიება იცოდა. მგლის მოკვლაზე ტაბუ იყო დადებული, რაც ცხოველთა სამყაროსთან ტოტემურ-ნათესაური კავშირის გაგებად მიაჩნდათ. მონადირე ხელს არ ახლებდა მგელს – თუ შემთხვევით შემოაკვდებოდა ვინმეს,

ქუდმობილი წარდგებოდა მის წინაშე და პატიებას ითხოვდა წმ. გიორგისგან, რადგან მგელი წმ. გიორგის მწვერად (წავარ) ითვლებოდა. ტოტემური გადმონათია მგლის ტყავის ტანისამოსის ტარებაც.

იყო გამონაკლისიც, როცა, ვთქვათ, ცოფიან მგელს მოკლავდნენ; მგლის მკვლელი პროცესიის თანხლებით, ლატანის წვერზე მიმაგრებული მგლის ტყავით სიმღერით შემოუვლიდა სოფელს, მცხოვრებლები წინამძღოლს თოფის წამალს აძლევდნენ. ამ პროცესს აშანგლოს (სამგლოს) ეძახდნენ. ეს პროცესი ტოტემური ცხოველის სანესო მოკვლად არის მიჩნეული.

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დროშა ტოტემურ სამყაროს უკავშირდება და ტოტემურ ხეს გულისხმობს, სვანური დროშა კი ტოტემურ მგელს გამოხატავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს კოლხურ-კობანური არქეოლოგიური ბრინჯაოს ტულეებისა და ბალთების მოკაზმული ლობაში წარმოდგენილი ფანტასტიკური ცხოველები. ეს ცხოველები ზოგს წყლის გველეშაპად, ზოგს ძალღ-მგლად მიაჩნია; ეს უკანასკნელი, მკვლევართა აზრით, იბერ-კოლხთა ტოტემი და ღვთაება იყო (ი. მერჩანინოვი). შ. ამირანაშვილის აზრით, დაწყებული ბრინჯაოს კულტურით VI საუკუნემდე ეს ცხოველი მგლის, კოლხების ტომობრივი ტოტემის გამოსახულებას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ, ძვ. წ. აღ. X საუკუნეში ძველ ალექსანდრის ნახსენებია ლომი: „გააკეთა მეფე სოლომონმა სპილოს ძვლისაგან დიდი ტახტი და ხალასი ოქროთი დაფარა. ექვსი საფეხური ჰქონდა ტახტს მიდგმული, საჯდომის ორევე მხარეს სანიდაყვეები ჰქონდა, ხოლო სანიდაყვეებს თითო ლომი ედგა გვერდით, ექვს საფეხურზე, აქეთ-იქით, სხვა თორმეტი ლომი იდგა“.

აპოლონიოს როდოსელის ცნობით, ქფასის იცავდა ქალღმერთი ფასიანეს ქანდაკება, რომელსაც წინ ლომები ეწვნენ. როგორც წარმართობაში, ისე ქრისტიანობაში ძალის დემონისტრიების სიმბოლოებია: წყალში – ვეშაპი, ხმელეთზე – ლომი, ჰაერში – არწივი, სამივეს კრებითი საბრძოლო სიმბოლოური გამოხატულება იყო გველეშაპი|ურჩხული, რომელმაც შემოაღწია ქრისტიანობაშიც და გეოგრაფიული გარემოდან გამომდინარე – ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი, ძაღლი, მწვერანი და სხვა. შემდგომშიც გვხვდება სახელმწიფოთა სიმბოლოებზე ვახუშტი ბატონიშვილის რუკების მიხედვით, შუა საუკუნეების სვანეთის გერბზე დათვია გამოსახული. ორი ლომია გერბზე-სამეფო კვართიანი (საქართველოსი).

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, მგელზე შექმნილი მითები ქართველი ტომების საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის სარწმუნოებრივ იდეოლოგიას უკავშირდება. მგლები ანთროპომორფულ, ასტრალურ ღვთაებებს ემორჩილებოდნენ. მითულურსა და გუდამაყრელებში მგელი საღმრთო ცხოველად მიიჩნეოდა და მას ასტრალურ ფერებს აკუთვნებდნენ – თეთრი, წითელი,

ლურჯი. ხევსურების რწმენით, მგლები „იასაულები“, მხოლოდ მათი პანთეონის თავღვთაება მორიგე ღმერთს ჰყავდა; იგი „იასაულებს“ ღვთაება კვირიას წინამძღოლობით მიუსევდა ხოლმე ხევსურებს დასარბევად, ყალნის ასაღებად ან ხორციელის მოსაკლავად. ამასთან, სხვა ხევსურულ ღვთაებებთან მგლები ძალღებად გადაქცეულან. ხევსურული ღვთაება კვირიას ანალოგია სვანეთში მგლების ყმუილის სახელწოდება – კვირია. როგორც აღმოსავლეთ მთიანეთში, ისე სვანეთშიც ღვთაებების ძალღებს მწვერები ერქვა, საბრძოლო პროცესში მწვერანი იმ წყების ანთროპომორფულ სულებს ემიჯნებოდნენ, რომლებსაც ანაც სათემო ღვთაების, ჩვენამდე „ლაშქარის“ სახელწოდებით მოღწეული მხედრობა შედგებოდა. ლაშქარნი ღვთაების შეიარაღებული ძალა იყო. მწვერანი და ლაშქარნი მტრის წინააღმდეგ ერთობლივად იბრძოდნენ. მათზე ითქმობა სადიდებელი ქრისტიანულ მთავარ-ანგელოზ მიხეილს სახელით – ოლონდ – მიქელად, ისე როგორც სვანები ამბობენ – „მიქელ-თარინგ ხელ“.

რაჭაში, სოფ. ფუტყეთის კვარაცხეის მთავარ კოშკს ეწოდება „ლომის კოშკი“, ფუსტის რაინდებს ღვთის ლომებად მოიხსენიებდნენ და მათი საბრძოლო დროშა ლომი (ა. გიორგობიანი). ცნობილი სალოცავია ლომისის წმ. გიორგი. მარნეულში არის ადგილი ლომთა გორა. ლომი ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედის სახელია. „ვეფხისტყაოსანში“ ლომი რაინდთა სიმბოლოურ სახელად არის გამოყენებული, ხოლო მზე სადღეოდლო მანდილოსანთა სიმბოლოად:

- „მე ლომი ლომთა დაგისვა შენ მზეთა მზესა“;
- „გვალე შეგყრი ლომო მზესა, თავი მისკე არე, მარე“;
- „მუნ დადგა ლომი ავთანდილ, დაიდგა მცირე კარავი“;
- „გარდახდა და თავყანისცა მას უკადრსა ლომებრ ჯანსა“;
- „შევსთვალე: „დადგე, მიჩვენე, ლომსა ვინ განყენს რომელი“;

როცა ქალის გამეფებაზეა მსჯელობა, მაშინ მანდილოსანიც ლომთან სიმბოლოზდება:

- „ლეკვი ლომისა სწორია, ძო იყოს თუნდა ხვადია“.

ლომი ქართულ ენაში ძალის სიმბოლოა: ლომ-გმირი, ლომგულოვანი, ლომეშაპი, ლომთევი, ლომა – ლონიერი კამეჩი. „უსწავლელი გონიერი მიჯაჭვული ლომიაო“ (ანდაზა).

ლომი სახისმეცველებში ქრისტეს ძალის განსახიერებაა, არწივი – სულწმინდა აღმტაცებელი; ესე იგი, ლომი და არწივი ქრისტეს მწვერება, მგელი – წმ. გიორგის მწვეარი, ძაღლი – მონადირე ადამიანისა. როგორც სვანური ეთნოგრაფიის მკვლევარი ვერა ბარდაველიძე ასკვნის, კოლხურ (კობანურ) ნივთიერ ძველებზე გამოსახული ძაღლები მიეკუთვნებიან საკულტო-მითური ძაღლების მწვერთა წრეს, ხოლო ეს უკანასკნელი მონაცვლეობითი განვითარებით ტოტემური მგლის კულტიდან მომდინარეობენ. ღვთაებათა ლაშქარნი და მწვერანი პარალელურს პოულობს ურარტულ სარწმუნოებაში, მხერკაპუსის წარწერებში (IX ს.ძვ.წ.). ჩამოთვლილ ღვთაებათა შორის დასახლებულია „ღვთაებათა ხალდის მხედრობა“.

ეტრუსკების ნაკვალევად მიაჩნიათ რომში კაპიტოლიუმის ბრინჯაოს ძეგელი და მისი თაყვანისცემა. რომის დამაარსებლის, რომულის გამზრდელი წმინდა ცხოველი (ძვ. წ. V საუკუნე) საბინებისა და ეტრუსკებისთვის ტოტემი უნდა ყოფილიყო. ვენეციაში დგას ქალაქის სიმბოლო – ფრთოსანი ლომი.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, – „ლემი“ ანუ ლომი, მგელი|ძაღლი, მწვეარი საბრძოლო პერიოდის დროშის ტოტემურ- სიმბოლოური გამოხატულება უნდა იყოს.

**ნაპო(გიორგი) კაკრიავილი**  
მკვლევარი-ფილოლოგი



# ჩვენარად, ჩარსულთ, ჩვენარად!

„მასოვკის მოკრძალებული სიბული“...

1963 წელს რუსთაველის თეატრში ბატონმა დოდო ალექსიძემ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, დავით გაჩეჩილაძის „ამირანი“ დადგა. გუზან მჭედელს დიდი აკაკი ხორავა თამაშობდა.

20 წლის ყმანვილი ვიყავი მაშინ, თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი, რომელსაც რამდენიმე თანაკურსელთან ერთად დიდი პატივი მხვდა წილად – „ამირანის“ „მასოვკაში“ დამაყენეს.

პრემიერამ ტაშის გრიალში ჩაიარა, გამოდიან მსახიობები რუსთაველზე, ზოგს ყვავილებით ხვდებიან, ზოგს – ხვევნა-კოცნით, ზოგს – ტა-



შით. მეც ამაყად გამოვდივარ, მართალია „მასოვკის“ არტისტი, ისიც უშტატო, მაგრამ მაინც ამ დასის წევრი.

გაზონთან ჟორჟიკა ყიფიანი დგას და ხელს მიქნევს. აგერ, მეც მყავს გულშემატკივარი, ასე კი არ არის საქმე, მეც მელოდებიან.

ახლა რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის სარეზიდენციოდ ეწყობა – ამერიკის ადრინდელი საელჩო, იმაზე ადრინდელი „გოდიკის“, კიდევ იმაზე ადრინდელი ორბელიანების სასახლე, ყველა დრომ თავისი დალი რომ დაასვა და თავისებურად დატვირთა, იმ შენობის გვერდით „ქიმენდაა“ ახლა, მაშინ პატარა ჰომეოპათიური აფთიაქი იყო და აი იმის დირექტორია ბატონი ჟორა – იგივე ჟორჟიკა, ჩემზე ბევრად უფროსი, პატივცემული კაცი! რასაც ფულს შოულობს, მეგობრებში ხარჯავს, თვითონ დიდი მსმელი არ არის, მაგრამ პურ-მარილი და ეს ფაციფუცი უყვარს დიდად, რუსთაველის თეატრის უფროსი თაობის ცნობილ მსახიობებთან მეგობრობს და ჩვენც ვართ, რა, მიტმანნილები...

მივუახლოვდი... გადავკოცნე...  
– რა მოხდა, ბიჭო? რაშია საქმე?  
– რა იყო, ჟორჟიკა ბიძია? – დავიბენი მე, არ ველოდი ასეთ შეკითხვას.  
– რა იყო? რა შეგემთხვა ასეთი? პანიკო გულშემოყრილი გეიქცა სახლში.

დავმუნჯდი, სულ აღარაფერი მესმის.  
– რა იყო, რა ჩაიდინე ამის ფასი, არც ერთი მსახიობი ხმას რომ არ გცემდა?

– რას ამბობთ, ბატონო ჟორა, ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. – უკან არ ვიხევ მე.

– რა ვიცი, ორი საათი ვუყურებდი სპექტაკლს და კაციშვილისთვის ხმა არ გაგიცია.

ასე დაიწყო და დამთავრდა „მასოვკაში“ ჩემი პირველი გაბრწყინება...

სულ ცოტა ხანში თითქმის ყველა ჩემი თანაკურსელი, ჩემს გარდა, რუსთაველის თეატრში მიიღეს არტისტებად – 60 მანეთი ხელფასით. ნახევარი წელი უსაქმურად დავყავი-ლობდი თეატრის ახლომახლო, სანამ მაშინდელმა კულტურის მინისტრმა თენგიზ ბუაჩიძემ, მის ოჯახს ააშენებს ღმერთი, სპეციალური ბრძანებით არ ჩამრიცხა თეატრის შტატი, მართალია, მეხანძრის შტატი იყო, 40 მანეთი ხელფასით, მაგრამ ეს საიდუმლო დირექტორის, ბულალტრისა და ჩემ გარდა არავინ იცოდა. ორი თუ სამი მთავარი როლი ვითამაშე და, როგორც მაშინ ამბობდნენ და დღეს იმდროინდელი პრესა ადასტურებს, საკმაოდ წარმატებულად... სწორედ ამ დროს ამიყვანა ოთარ იოსელიანმა საკანდელიძის როლზე „გიორგობის-თვეში“.

ექვთიანობა გლახა რამეა, თუმცა მეტ-ნაკლებად ყველას შეიძლება შეუჩნდეს ეს ჭია. მიმა თუმანიშვილს კი მეტისმეტად ჰქონდა მომძლავრებული, არ უყვარდა, როცა მის მსახიობს, მასაც კი, ვინც სხვაზე მეტად უყვარდა, კინოში იღებდნენ. არც ვიცი, ამ მიზეზით თუ სხვა რამის გამო, „მეფე ლირში“ გამომჭიმა „მასოვკაში“. აქეთ „გიორგობისთვის“ გადაღებები წინანდალსა და გურჯაანში და იქით „მასოვკა“ „ლირში“. მეფე ლირს მერე მეც ვითამაშებ, მაგრამ მაშინ სერგო ზაქარიაძე თამაშობდა.

ჰოდა, დღე – გადაღებები კახეთში, მერე კინოსტუდიის „კოლხოზ-


ნიკი“, სალამოს ლირის რეპეტიცია. ლირი – სავარძელში, მე კი, სადღაც მის უკან – უცხო, უჩინო, უუფლებო, „მასოვკა“... ვის სიამოვნებს, ნეტავ, ჩემი აქ დგომა? სისხამ დილით ისევ კახეთში ვარ წასასვლელი....

ნახევარი საუკუნე გავიდა... დაკარგულად მივიჩნევ თუ არა „ნამასოვკარ“ დროს?

არა! ჩემი ცხოვრების ნაწილია და ისეთივე ახლობელი, როგორც შემდეგ ნათამაშები მთავარი როლები. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა უფრო ნათლად მესმის, რომ „მასოვკის“ მსახიობი ისევე საჭირო და მნიშვნელოვანია, როგორც მთავარი როლის შემსრულებელი და, რაც უფრო მტკიცე და მჭიდროა კავშირი მათ შორის, მით უფრო მთლიანია წარმოდგენა, არამედ იმიტომ, რომ სცენაზე, ჟორჟიკა ყიფიანისა არ იყოს, უტყვად დგომა დიდი სკოლაა იმისთვის, ვისაც რამის სწავლა უნდა. ხუმრობაა, ქართული თეატრის კორიფეებთან ერთად სცენაზე დგომა, მათი მოძრაობის – სულის თუ სხეულის – მათი ოსტატობის, საოცარი გარდასახვის უშუალო ხილვა, თითქოს ხელის შეხება, ცოცხალი შემოქმედებით პროცესის მონაწილეობა... და კიდევ მთავარი, ჩვენ, „მასოვკისტებმა“ არა მარტო იმ სპექტაკლების ყველა როლი ვიცოდით ზეპირად, სადაც ვიდექით, არამედ მთელი რეპერტუარი! ამის დასტურად კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ „ნამასოვკარი“ წარსულიდან.

თელავში ვართ... „ბახტრიონი“ უნდა დაიწყო 15 წუთში, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი – ბუხუტი ზაქარიაძე – არ ჩანს, სადღაც რუსეთში გადაღებებზე გაიქცეა და ვერ ჩამოასწრო. სპექტაკლი სტადიონზე უნდა გაიმართოს. სავსეა იქაურობა – რამდენიმე ათასი კაცია მოსული.

სპექტაკლი იშლება, სასტუმროს ჰოლში შეგვკრიბეს ყველანი. სერგო ზაქარიაძე დამნაშავესავით დგას კუთხეში. შემოვიდა დირექტორი, ბა-



გიორგი ხარაბაძე

ტონი დორიან კიტია. სიჩუმეა სამარისებური. პაუზის გარეშე...

– ნადი, ჩაიცი ბუხუტის ჩოხა, დღეს შენ ითამაშებ მის მაგივრად! – მითხრა და გავიდა.

შეუცდომლად გათვალა ყველაფერი, ეს ახალგაზრდა კაცია, მონდომებული, „მასოვკაში“ დგას, წესით, ყველა როლი ზეპირად უნდა იცოდეს... მსახიობის ოსტატობა ახლა, სტადიონზე, გადამწყვეტი არ იქნება, მთავარია, სპექტაკლი არ ჩაიშალოს, სკანდალი თავიდან ავიცილოთ....

არც შემცდარა, იმ სალამოს მაყურებელი ვერაფერს მიხვდა, გულუხვად დაგვაჯილდოვა ტაშით და ნასიამოვნებმა დატოვა სტადიონი....

ასე გადაგვარჩინა „მასოვკაში“ დგომისას ტექსტის თავისთავად ათვისებამ. ასეა, ყველა მთავარი როლის შემსრულებელი ვერ იქნება, ამას სხვა ძალა, ენერგეტიკა, განათლება, ოსტატობა სჭირდება... მაგრამ „მასოვკასაც“ მოფრთხილება და მოფერება უნდა, მიმიხვდით ალბათ, ამჯერად მარტო თეატრის „მასოვკას“ რომ არ ვგულისხმობ, ცხოვრების „მასოვკაზე“ მოგახსენებთ... არამთავარი მოთამაშეების ნახალისებაზე, დაჯილდოებაზე ნაკლებად ვფიქრობთ, ისევ „კინოშნიკებმა“ იმარჯვეს და შემოიღეს „ოსკარი“ და სხვა პრიზები მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელთათვის....

ყველას სჭირდება პატივისცემა და დაფასება იქ, სადაც დგას. ოღონდაც, სადაც დგახარ, მყარად და პატიოსნად უნდა იდგე.



ნათია სოყურაშვილი



„ხელი ხელს“ – ეს არის სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წელს. ის მიზნად ისახავს 18 წელს გადაცილებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საოჯახო ტიპის საცხოვრებელი უზრუნველყოფას, მატერიალური თუ არამატერიალური დახმარების გაწევასა და ყველა იმ პირობის შექმნას, რასაც ისინი საჭიროებენ.

პარასკევს, 13 დეკემბერს, ევროპულ სკოლაში მოეწყო არასამთავრობო ორგანიზაციის „ხელი ხელს“ სახელოსნოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები – სკოლის დირექტორიდან დაწყებული, მოსწავლეებით დამთავრებული – უდიდეს კეთილგანწყობას გამოხატავენ თავიანთი განსაკუთრებული სტუმრების მიმართ.

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაციის „ხელი ხელს“ დამფუძნებელი მაია მიშინაშვილი:

– ქალბატონო მაია, რას წარმოადგენს ზოგადად თქვენი ორგანიზაცია?

– ჩვენი ორგანიზაცია საოჯახო ტიპის საცხოვრებლებით უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ოღონდ 18 წლის ზევით. აქ იგულისხმება მათთვის ოჯახური პირობების შექმნა. ამჯერად სულ 3 ოჯახი გვყავს, სამივე გურჯაანში. მათ შორის ყველაზე დიდი ხუთწევრიანია. ყველანაირად ვცდილობთ, მივაჩვიოთ დამოუკიდებლობას. იქიდან გამომდინარე, რომ მათი უმეტესობა იზრდებოდა ჯერ ბავშვთა სახლებში, შემდეგ კი პანსიონებში, არ ჰქონიათ სახლში ცხოვრების გამოცდილება.

– საიდან გაჩნდა მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა?

– ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობას რომ გადავხედოთ, ძალიან ცოტაა ასეთი დაწესებულება, ყოველ შემთხვევაში, საჭიროებს ვერ აკმაყოფილებენ. მით უმეტეს, პრაქტიკულად არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას გაუწევს 18 წელს გადაცილებულ პირებს. ჩვენ გვინდოდა მათთვის შეგვექმნა უფრო ბუნებრივი, უფრო ოჯახური გარემო.

– რა პრინციპით შეარჩიეთ ოჯახები?

– ძალიან ბევრი კრიტერიუმი გვქონდა. პირველ რიგში, დავდიოდით შესაბამის ინსტიტუციებში, ვუხსნიდით, რას ემსახურებოდა ჩვენი პროექტი, ვმსჯელობდით, როგორ უნდა ყოფილიყო იქაურობა მონყობილი. არ უნდა მომხდარიყო განვითარების ხარისხის შეფერხება, ეტლით მოსარგებლებისთვის გვეჭირდებოდა ადაპტირებული სახლები. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებდით მათ სურვილებს. ჩემი სახლიც დროებით დავუთმე მათ, სანამ ქვეყანა მსგავს ორგანიზაციებს ალტერნატიულ ვარიანტს შესთავაზებს. ჩვენ სწორედ ეს გვინდოდა: შეგვექმნა პრეცედენტი, დაგვემტკიცებინა, რომ ამ ადამიანებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება.

– რამდენად გამოსდით დამოუკიდებლად ცხოვრება?

– ეს მთელი პროცესია. წარმოიდგინეთ, ბევრ მათგანს აქამდე არ გაუკეთებია სადღილი, არ დაულაგებია სახლი, თავიანთთვის არ უყიდიან ტანსაცმელი. ნელ-ნელა იწყებენ საკუთარი თავის იმედად ცხოვრებას. სადაცამის აუცილებლობაა, იმ ოჯახებში გვყავს დამხმარებელიც, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მათ გვერდით არიან და ყველაფერში ეხმარებიან. სხვათა შორის,

გვაქვს ერთი ოჯახი, რომელიც მაქსიმალურად დამოუკიდებელია – ცდილობენ მარტო გაუმკლავდნენ საქმეს, რადგან აქვთ განსხვავებული უნარები და შესაბამისი მზაობა ამისთვის.

– როგორც ვხედავთ, საკუთარი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვაზე მოვიდნენ ეს ადამიანები დღეს. როგორ მოხდა, რომ გამოფენა სწორედ ევროპულ სკოლაში ჩატარდა?

– დავინწყით იქიდან, რომ ამ ადამიანებში გამძაფრებულია თვითრეალიზაციის მოთხოვნილება – მათ უნდათ მუშაობა. ამიტომ, მათი სურვილიდან

თვე. თვითონ ბავშვები ვაგროვებთ საკვებ პროდუქტებს და შემდეგ ვუნაწილებთ საპატრიარქოს, ბავშვთა სახლებს, მოხუცთა თავშესაფრებს. ეს უკვე ტრადიციაა.

– რას უსურვებდით ამ ადამიანებს?

– სიკეთეს. მათ ძალიან გაუმართლათ, რომ აქვთ საცხოვრებელი, ტანსაცმელი და საკვები. მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი არიან. მთავარია, დავანახოთ, რომ ჩვენ ისინი გვჭირდება.

მარინა მოდებაძე, ორგანიზაციის

# ღიას, მათ შუშქლიათ



გამომდინარე, შევეუქმენით სახელოსნო. დილით რომ ადგებიან და ისაუბრებენ, შეუძლიათ აქ მოვიდნენ, რამდენიმე საათი გაატარონ, თან ისწავლონ, თან იმუშაონ. აკეთებენ იმას, რაც უნდათ. რაც შეეხება ევროპულ სკოლას, მასწავლებლებს, თორნიკე თევზაძეს, დაეხმარა იდეა და ჩვენი ორგანიზაციის ღია კარის დღეებში ამ სკოლიდან გურჯაანში ესტუმრნენ ჩვენს სახელოსნოს, გაიცნეს ერთმანეთი, ერთად დაამზადეს ნივთები. ორივე მხარისთვის სახალისო და დატვირთული დღე გამოვიდა. მაშინ გაჩნდა იდეა, ჩამოგვეტანა ხელნაკეთი და მოგვეწყობა გამოფენა-გაყიდვა. აქ ჩამოსულეებს ევროპული სკოლის მოსწავლეებმა თავიანთი დამზადებული ტკბილეულობა და თქვა დაგვახვედრეს. ასე რომ, ერთობლივი გამოფენა გამოგვივიდა. შემოსული თანხა ისევ ჩვენს ბენეფიციარებს მოხმარდება.

– რას გვეტყვიან სამომავლო გეგმის შესახებ?

– უახლოეს მომავალში კვლავ ვგეგმავთ გამოფენა-გაყიდვების ორგანიზებას, შემდეგ შევეცდებით ვებგვერდზე განვათავსოთ ნამუშევრები – ეს შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იქნება. შორეულ მომავალს რაც შეეხება, თბილისში გვინდა მსგავსი საოჯახო ტიპის საცხოვრებლების მოწყობა. აქ მუშაობის დანების მეტი საშუალებაა.

საუბარს განვაგრძობთ ევროპული სკოლის მოსწავლესთან, გამოფენა-გაყიდვის ერთ-ერთ ორგანიზატორთან ალექსანდრე გიორგაძესთან:

– საიდან გაჩნდა ამ ორგანიზაციის დახმარების სურვილი?

– წლებია, რაც ჩვენი სკოლა საქველმოქმედო ღონისძიებებში აქტიურად არის ჩართული. განსაკუთრებით დატვირთულია ხოლმე დეკემბრის

„ხელი ხელს“ სახლების მენეჯერი:

– როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლა თქვენმა ორგანიზაციამ?

– პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, უდავოდ წარმატებული პროექტია. ოჯახურ გარემოში ეს ახალგაზრდები იხვეწებიან, ემსგავსებიან საზოგადოების სხვა წევრებს. ჩვენი მიზანიც ეს არის – მოიშალოს ზღვარი, სხვაობა. საზოგადოების მხრიდან არ უნდა მოდიოდეს ნეგატიური დამოკიდებულება. მათი შესაძლებლობები შეუზღუდავია – ეს უნდა ვაჩვენოთ ყველას. თუნდაც მეცდომები მოუვიდეთ, მთავარია, ჰქონდეთ არჩევანის საშუალება.

– როგორ წარმოგიდგენიათ პროექტის განვითარება?

– დასაქმება ყველაზე მთავარია ამ შემთხვევაში. როცა მუშაობენ, ჩვენი ბენეფიციარები ბედნიერები არიან. შემოსავალი, პენსია აქვთ, მაგრამ თვითონ შრომის პროცესი უდიდეს სიხარულს ანიჭებთ. თუკი ვინმე ისეთი იფიქრებს მათ დასაქმებაზე, ვისაც ეს ხელეწიფება, მაშინ მიზანი მიღწეული იქნება.

დათო ნადირაძე, ორგანიზაციის „ხელი ხელს“ პიარმენეჯერი:

– როგორც ვიცით, თქვენმა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა 2011 წელს დაიწყო. თავიდანვე მათთან ერთად იყავით?

– კი, ორგანიზაციის დაფუძნებიდან მოხალისედ ვმუშაობდი სახელოსნოს გახსნამდე, ახლაც ხშირად ვმუშაობ მათთან ერთად.

– როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა თავი სრულყოფილ წევრებად იგრძნონ?

– ალბათ, უნდა ვაღიაროთ ისინი საზოგადოების სრულყოფილებიან წევრებად და შევეშვათ იმის თქმას, რომ

„შეზღუდულები“ არიან, რომ უნდა „შევიცოდოთ“ და ა.შ. ეს ყველაზე დამამცირებელია. უნდა ვაღიაროთ, რომ დიას, მათ შეუძლიათ.

უბრალოდ, უნდა მივიღოთ განსხვავებული ადამიანები. ყველას რალაც „გვაკლია“. რაც ყველაზე მთავარია, უნდა შევექმნათ სწორი საცხოვრებელი გარემო, სადაც ექნებათ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

– რამდენად დიდია ამ საქმეში სახელწიფოს როლი?

– სახელწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია. სახელწიფომ რომ მიმართოს პოლიტიკა მსგავსი ჰუმანური პროექტებისკენ, რომლის დახმარებითაც ეს ადამიანები რეალიზებას შეძლებენ და თავს საზოგადოების სრულყოფილ წევრებად იგრძნობენ, გაცილებით მალე დაეუახლოვდებიან ევროპულ სტანდარტებს.

– რას უსურვებდით მათ?

– გამბედაობას. ბევრი მათგანი იმდენად ჩაიკეტა, რომ დამოუკიდებლობის სურვილი დაკარგა. ზოგი ოცნებასაც ვერ ბედავს, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა. უნდა გაბედონ, რომ ჩვენ ერთად შევძლოთ შრომა და ცხოვრება.

თამარ ბითაევა, ორგანიზაციის „ხელი ხელს“ ერთ-ერთი ბენეფიციარი:

– რამდენი ხანია, რაც ამ ორგანიზაციაში ხართ და რამდენად კარგად გრძნობთ აქ თავს?

– კარგად გრძნობ თავს; ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ მოვედი და ჩემი გაკეთებული ნივთები გავყიდე. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ.

– რამდენად მოგწონთ სახელოსნოში მუშაობა?

– ბედნიერი ვარ ხოლმე იქ, გულს ვაყოლებ.

– რას ისურვებდით?

– საახალწლო ნატვრა? უფრო დიდი ოჯახი, მინდა, მყავდეს, სადაც ყველანი ერთად ვიცხოვრებთ.

და ბოლოს: რას ნიშნავს შშმ-თა ადვოკატირება:

- მინდა საკუთარი ოჯახი
  - მინდა, ვიცხოვრო საზოგადოებაში;
  - მინდა, მივიღო გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად;
  - მინდა, მქონდეს სამუშაო;
  - მინდა, მქონდეს ხმის უფლება;
  - მინდა ის, რაც შენც გინდა.
- დროა, მივცეთ მათ ამის საშუალება.





**უფლის შეცდომა**

მე ქულა ღრუბლის ნამი რძედ შევსვი,  
ვისმინე გულის რიტმული ფეთქვა,  
მთრთოლვარ ხელებით ვარსკვლავებს შევწვდი  
და ლექსადა ვთქვი, რაც უნდა მეთქვა.  
მე ბნელი ღამე თეთრ აკვანს მიწნევს,  
ჩემი ნათლია არის უფალი,  
თეთრ სუდარაში ოქროს მზე მიწნევს,  
დგას მთვარე, მინის ჭირისუფალი.  
აჟღერდა ვალსი და ცეკვა ლექსთა,  
ტრიალებს რითმა – ოქროს თმიანი,  
უფალი სწორედ იმაში შეცდა,  
რომ პოეტად შვა ადამიანი.

**თეთრი ღამეები**

ძველებურად, იმ ქარიან ღამეში,  
როცა მთვარე გადმოაფენს ჭილობებს,  
მომინდება თეთრ ღამეში თარეში,  
გამთელეზულს კვლავ გავიხსნი ჭრილობებს.  
მთვარე როცა მკრთალად გზას გამინათებს,  
– ტირიფებო, დამითვალეთ ნამები,  
დილა სანამ ნარინჯისფრად ინათებს,  
ჩამოვჯდები ქვაზე განანამები.  
ვიცი, ღამე ისევ ისე დადგება,  
სანამ ქარი ნაგუბარებს დაღევს,  
ჩემი ლანდი ცივი ქვიდან ადგება  
და დაინყებს თეთრ ღამეში თარეშს.

**ღამის ზღაპარი**

მთებთან ბანაკი დასცეს ნისლებმა,  
ხევში ჩანჩქერებს გასდგა ზღართანი...  
ყოველი ღამე ასე იწყება,  
ასე დავიწყებ მეც ეს ზღაპარი.

გულჯაგრიანმა მთებმა ჩაბუქნეს,  
წყაროში მთვარე გადახტა თავით,  
ნამმა ლურჯ იებს პირი დაბანა  
კლდემ კალთებიდან ჩაბერტყა ზვავი.

ქარი ძუნძულით ჩაუყვავა ხევებს,  
ნორჩმა ფოთლებმა დაუკრეს ტაში,  
ნაბანავები იცვლიდა ფერებს –  
მთვარე დახტოდა წყალიდან წყალში.

თანდათან ღამე უფრო გაბაცდა,  
მთვარემ მოისხა თეთრი საბანი...  
ღამის ზღაპარი ასე დამთავრდა,  
შემდეგ იწყება დილის ზღაპარი.

**კაფე**

კაფე, სინათლის მბჟუტავი ფეთქვა,  
გავსილა კუპე კვამლით რძისფერით,  
მე, ქალიშვილო, დღეს უნდა მეთქვა,  
რომ თქვენ გიხდებათ კაბა ცისფერი.  
ხელში სასმისი შემომატყუდება,  
ოჰ, ქალიშვილო, ნულარ მანამებ,  
მუსიკის რიტმი კედლებს აწყდება,  
შენ თვალს ნაბავ და ხრი წამწამებს.  
მენიუ შიშველ მუხლებზე გიდევის,  
თქვი, რას ინებებ, ოლონდ მითხარი,  
ეთამაშები ლამბაქის კიდეს,  
ყავას მოსვამ და მოდის მკითხავიც...  
და ასე იწყებს, რომ რიცხვი შვიდი  
ამოგივიდა, ბედი გეხსნება,  
და გეუბნება, რომ მალე მშვიდი,  
პოეტი ბიჭი სადღაც შეგხვდება.

ხელში ვუკუჭავ, არ ვიცი, რამდენს,  
რომ ჩემს მაგივრად გითხრა ყოველი,  
ახლა, ძვირფასო, პატივი დამდე,  
შენგან მე ბოლო სიტყვას მოველი.

**ლაბა**

მიჰქრიან ნამები ნამებით, წვალებით,  
ბლავიან ხარები კერპთან გულსაკლავად,  
ცრემლები ცურავენ ღამისფერ თვალეში,  
შენც სასაკლაოზე ნაჰყევ დასაკლავად.  
ბოლოჯერ ახედე ზეცას ლაჟვარდისფერს,  
ჩვენ შენი ცრემლებით ფიალებს ვავსებდით,  
რომ ვერ მოგეშველეთ, ალბათ, გვაპატიებ,  
არ ვართ დამნაშავე ამაში ბავშვები.  
ხატიონის როკვა, სისხლის ოხშივარი...  
ლიმილი სახეზე როგორ აღბეჭდვით...  
რეკდა გულწამლებად კანალხევის ზარი...  
ნიშთან ჩემი ღამა სიკვდილს დაენია.

**უიმედობა**

უდაბურება, მდუმარება, უიმედობა,  
გადალლა სულის და ტკივილი დალილი  
ძვლების,  
ვგრძნობ, ბოდმის ყლაპვა, სულის ტანჯვა უკვე  
მეყოფა;

ვგრძნობ, რომ მივიღვარ,  
ვგრძნობ, რომ გტოვებთ,  
და ვგრძნობ, რომ ვკვდები.  
რა არ ვიხილე, რა არ ვზომე, რაღა არ მესმა,  
რამ არ დამტანჯა, რამ არ მომკლა ათასჯერ  
მკვდარი.

სუნთქვა ჩაკეტა სიბინძურემ, მოყვასის გესლმა,  
ფეხქვეშ მინის ცვლამ გამიჩინა დარდი და ბზარი.  
ერთთურთის ხოცვა სულ არ არის სიმტკიცე ერის,  
არ მიყვარს ფლიდი და არ მიყვარს კაცი ორპირი.  
ვილაცა ტირის და ვილაცა მის ჯიბრზე მღერის,  
რომ მოუნამლოს, მოუსწრაფოს ნუთისოფელი.

იმღერე, ჰერი, მტრის საამოდ, მტირალის  
ჯიბრზე,  
მას ნუ დალანდავ, რომ ქვეყანა თავზე გენგრევა,  
ხელით შეეხე სხვათ გამაძღარ, გავსებულ ღიპებს  
და შენც გაძღებ, მათხოვარო! – გული მერევა.  
უდაბურება, მდუმარება, უიმედობა...

**შენ თუ არ მოხვალ...**

ჩაიქვესკნელეს შმაგმა ქარებმა,  
სიცხემ მოშუშა გულის იარა,  
ხევში ზაფხული შემოიპარა  
იმედით სავსე, თვალეზობრილა.  
ქალური ეშხით მინდორზე დაჰფენს  
ლამაზად ნაქსოვ ფერად ხალიჩებს,  
ჩაეხუტება ამ ღამაზ ბალებს  
და ფუნჯით ხატავს შიშველ ქალიშვილს.  
მე ღამაზ ზაფხულს შენს მოსვლას ვარქმევ,  
რომ გჰავხარ ღმერთთა ციურ ზმანებას,  
შენ თუ არ მოხვალ, თვით ეს ზაფხული  
უშენოდ ზაფხულს არ ემგვანება.

**ვინ არის ღმერთი**

დასრულდა უკვე ცხოვრების დრამა,  
ადამიანი ჩაბარდა წარსულს...  
ჰო, ეს წარსულიც ჩარეცხა წყალმა  
და ფერხითთ განძად დაუნყო ავსულს.  
მხოლოდ ღმერთები იბრძვიან ახლა,  
ისევ და ისევ ღმერთნი ღმერთობენ,



**ლევან ცალკელაშვილი**

დაუნიშნიათ პოეტი სარდლად,  
ღიას, პოეტებს იქ აღმერთებენ.  
ჰოდა, ვაჭენებ ფურცელზე კალამს  
და გზას მისწორებს მუზათა ზვავი,  
დღეს თქვენი ღმერთი მომცემდა სალამს,  
რომ დამეხარა მე მისთვის თავი.  
მაგრამ არ გავტყდი, მოვსინჯე მკლავი,  
ძალასთან ერთად, ვუხმე გონებას,  
დავჯაბნე კიდევ ბებერი ღმერთი,  
მაგრამ ახალიც გემშვიდობებათ.

●  
თოლიასავით თეთრი სამოსი...  
თვალში ზურმუხტი აგიციალდა,  
გიმზერ და ვფიქრობ, ნეტა რა მოგდის,  
ნუთუ შენთანაც დამაგვიანდა?  
თრთოლვა ბაგეთა შენფერ იების,  
შეგეკითხები, ნეტავ რა მოგდის?  
ნუხანდელ კოცნას ხომ მჰპატივობდი?  
თუ შეიყვარე ქარი ვერაგი  
და ახლა ნიავს ვერ შეიყვარებ,  
თუ ვერ ვჯობივარ ქარებს ვერაფრით,  
მაგ დალალს მაინც ხომ გიშრიალებ.

**მე ქარი ვარ, შენ კი – ცა**

(თეა ზურაშვილს)  
მაგ შენს ზღვისფერ თვალეში  
ცა რომ ფარდად ჩაეგო,  
დაგესივნენ ქარები,  
რომ ცა მალლა წაელოთ.  
მაგრამ ვერ ქნეს, დასძლიე,  
ცაც ჩამუქდა თვალეში,  
ორ ცაობა არჩიეს  
და ორ ცაში თარეში.  
მე ქარი ვარ, შენ კი – ცა,  
მზე დალალებს გიალებს,  
შენ არა სვამ, მე კი ვსვამ  
ლექსით სავსე ფიალებს.  
ღამე, როცა მთვარე  
მინას ადებს თათებს,  
შენ რომ ხუჭავ თვალეებს,  
მე ღამეებს ვათევ.

„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხლი, სდაც ხვენ ვართ, არის აცადემია,  
ყველა აცადემია, სდაც ხვენ არ ვართ, არის სხლი!



# ჯანგო და ტარანტინოს ახლენილი ოსნება

დავით სარკლაშვილი

კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმი მსოფლიო კინემატოგრაფიას საშობაო საჩუქარით მოეწვინა როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გაგებით, რადგან ჯანგოს პრემიერა სწორედ 25 დეკემბერს შედგა და (საქართველოში კი ორი თვის დაგვიანებით) მსოფლიოში ნამდვილი „ჯანგომანია“ დაიწყო. მეგობარი მწერდა გერმანიიდან, დავილალე ამ ჯანგოებით და ჯონი ქეშებით, ყველგან ამათი პოსტერები როგორ უნდა მხვდებოდეს, დავიჯერო, ამხელა ქვეყანაში ამაზე საინტერესო არაფერი ხდება? შეიძლება ხდება კიდეც, მაგრამ სწორედ ამაშია „ტარანტინო ეფექტი“, რომელიც ჯერ ტრეილერებით, პოსტერებით, რეჟისორის ეპატაჟური ინტერვიუებით იწყება და კინოთეატრებში გრძელდება, ვიდრე Full HD ხარისხით არ განთავსდება Online სივრცეში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ მთავრდება ყველაფერი, პირიქით, როგორც წესი, ხელახლა იწყება ხოლმე.

ამხელა შესავალიც სწორედ იმიტომ დამჭირდა, რომ, თუ ჭკვიან ხალხს და რიტორიკის სახელმძღვანელოს დავუჯერებთ, ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოთ. თუმცა შესავლები, დასასრულები და ერთგვარი ჰარმონიული თანწყობილობები ყველაზე ნაკლებ სწორედ ტარანტინოსთან გამოგვადგება, რომელიც თუ თავში მოუვლის, სულაც ბოლოდან დაიწყებს ფილმს და შუაში დაამთავრებს, გააცოცხლებს მკვდარ პერსონაჟებს და ებრაელის ხელით ჩაცხრილავს მის უდიდებულესობა ფიურერს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჯანგო შედარებით უფრო თანმიმდევრულია – აქვს დასაწყისი, აქვს განვითარება, კულმინაცია და ირონიულ-იგავურ-ეპიკური დასასრული. ცნობილია, რომ ტარანტინო „დასაბამით-განვე“ ეტრფოდა ე.წ. სპაგეტი ვესტერნებს, რომელთა ბუმი სამოციან წლებში დაიწყო და, თუ თვალს გადავაგვლებთ ამ გიჟმაჟი რეჟისორის შემოქმედებას, ვნახავთ, რომ ვესტერნისთვის დამახასიათებელი იარაღის ტრიალი, ბათქაბუთქი, ბევრი სისხლი და კომიკურობამდე მისული ძალადობა ტარანტინოს ფილმების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. როგორც თვითონ აღნიშნავს, ეს ჰიპერძალადობა, უტრირება, გაზვიადება ბოლოს უდებს იმას, რისი უტრირებაც ხდება და სასაცილოს ხდის მას. ვერ უარყოფთ – „ჯანგოში“ ძალიან ბევრი სისხლია და სისხლის შადრევენებად ქცეული ადამიანები. ფილმის ჟანრმაც თავისი ქნა და ტარანტინოს ვნება, გადაელო რაც შეიძლება სასტიკი, სისხლიანი კადრები, სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

რაც შეეხებათ უშუალოდ ფილმის მონაწილეებს, ტარანტინომ მთელი ვარსკვლავები შეკრიბა, კარგად დაამუშავა, შეაგება და იმ სახით შემოგვთავაზა, როგორც თავად სურდა. კრისტოფ ვოლცი, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ტარანტინოს „ბრენდი“, „უსახელო ნაბიჭვრები“ ჰანს ლანდასგან რადიკალურად განსხვავებულ პერსონაჟს თამაშობს და, რომ არა გარეგნობა, ვერც იფიქრებ, რომ ეს ორი გმირი ერთი ადამიანის მიერ არის განსახიერებული. არ მომერიდება და ვიტყვი, ფილმი სამი მსახიობის: კრისტოფ ვოლცის, სა-

მუელ ელ ჯექსონის და ლეონარდო დიკაპრიოს მხრებზე დგას და, თუ პირველი ორი ტარანტინოსთვის ნაცნობი სახეებია, ლეონარდო დიკაპრიო პირველად გახდა ტარანტინოს ტირანის მსხვერპლი. მთავარი როლის შემსრულებელზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, ჩემი აზრით, ნებისმიერ შავკანიან მსახიობს და არამსახიობსაც შეეძლო ჯანგოს როლის შესრულება. ჯემი ფოქსი ვერაფერ ახალს ვერ გვთავაზობს. ამ მოსაზრებას, შესაძლოა, ბევრი არ ეთანხმებოდეს, მაგრამ მაინც იმ აზრზე დავრჩები, რომ ჩემ მიერ დასახელებული სამეული „ქანავს“ ფილმს, ხოლო ოსკაროსანი ჯემი ფოქსი, უბრალოდ, არაფერს აფუჭებს და მადლობა მას ამისთვის. თავდაპირველად ჯანგო უილ სმიტს უნდა ეთამაშა, მაგრამ რიგ მიზეზთა გამო უარი განაცხადა როლზე, ამის შემდეგ ტარანტინოს ორი კანდიდატი დარჩა: კრის ტაკერი და ჯემი ფოქსი. საბედნიეროდ, უპირატესობა ამ უკანასკნელს მიენიჭა და ფილმი გადარჩა, შედარებით გადარჩა, რადგან კრის ტაკერი ნამდვილად გააფუჭებდა ფილმს.

არ შემიძლია ლეონარდო დიკაპრიოზე ცალკე არ ვისაუბრო, იმდენად არაადამიანურად კარგია სამხრეთელი პლანტატორის, კელვინ კენდის როლში. სცენარის მიხედვით, კელვინ კენდი უნდა ყოფილიყო ხანში შესული მამაკაცი, მაგრამ ლეონარდო დიკაპრიოს რჩევით ტარანტინომ იგი ახალგაზრდა პერსონაჟით ჩაანაცვლა, რომელსაც ერთდროულად მიაწვია ის თვისებები, მთლიან სამხრეთულ მორალს რომ ქმნიდა საუკუნუნახევრის წინათ. კელვინ კენდი, რომელიც სიმდიდრით მეოთხე პლანტატორია მთელ სამხრეთში, საინტერესო, ცხოვრების წესისა და ჩვეულებებისგან განსხვავებულ დასკვნას აკეთებს ჯანგოსა და ექიმ კინგ შულცთან (კრისტოფ ვოლცი) საუბარში: მას ღრმად სწამს, რომ წლების შემდეგ შავკანიანები სრულფასოვანი წევრები იქნებიან საზოგადოების. ამას ამბობს პერსონაჟი, რომელიც თავად არის მონათმფლობელობის სიმბოლო ფილმში. პარალელურად ანთროპოლოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს, რითაც ამტკიცებს, რომ შავკანიანები ბუნებით არიან მორჩილებისთვის შექმნილი და აზროვნებისთვის მათ ტვინში ადგილი არ მოიპოვება.


კენდი აქტიურად მონაწილეობს მანდინგოს ბრძოლების ორგანიზებაში და, ასე ვთქვათ, „კაი ფულსაც აკეთებს“ თავისი ზანგი მონების გლადიატორების მსგავსი ბრძოლებით, ხოლო მას, ვინც უარს იტყვის ბრძოლაზე, ისევე იოლად მიუგდება მონადირე ძაღლებს საჭმელად, როგორც ვახშმის შემდეგ მორჩენილ პურის ნაჭერს.

აღსანიშნავია ის, რომ ლეოს არც ამჯერად ელირსა ნომინაცია ოსკარზე, რამაც პირდაპირი თუ არა, ირიბი გავლენა მაინც იქონია მსახიობის გადაწყვეტილებაზე, სამი წლით ჩამოშორებულიყო კინოს. მეორე საკითხია, რამდენად აჯობებდა კრისტოფ ვოლცს ოსკარისთვის ბრძოლაში, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, ლეოს ნომინაცია (სულ მცირე) ეკუთვნოდა.

რაც შეეხება სამოელ ელ ჯექსონის პერსონაჟს, იგი კინოკრიტიკოსებმა (და არამარტო კინოკრიტიკოსებმა) სამართლიანად მონათლეს ანტიბიძია თომად. სტივენნი, რომელიც ყველაზე სამხრეთულ თეთრკანიან რასისტზე უფრო რასისტი შავკანიანია, კიდევ ერთი პარადოქსია ფილმში. სტივენს სიცოცხლის 66 წლის განმავლობაში უამრავი შავკანიანი ჰყავს გამწარებული თავის საყვარელ ბატონთან ერთად და ერთადერთია, ვინც მიიჩნევს, რომ კენდის მამული, რასიზმის, მორალური დეგრადაციის და ბოროტების სიმბოლო, ყოველთვის იარსებებს. მთელ სამხრეთს ჯერ კიდევ არ აქვს გაცნობიერებული, რომ ორ წელიწადში დიდი სამოქალაქო ომი დაიწყო და ჩრდილოელები გამარჯვებენ.

სტივენიც ასევე ვერ აცნობიერებს, რომ სამოქალაქო ომის დასრულებასთან ერთად, მონობაც მოკლე დროში დასრულდება და კენდის მამული, რომელიც ერთი შეხედვით ასე ძლიერად გამოიყურება მთელი თავისი პლანტაციებით, მონებით და იარაღსხმული კოვბოებით, სულ რაღაც რამდენიმე დინამიტის მოქმედებით „ჰაერში აიწევა“

როგორც წესი, ვესტერნებში მონობის თემატიკა ნაკლებად გვხვდება ხოლმე, აქა-იქ შეიძლება გაივლიონ ზანგმა მონებმა, მაგრამ ისიც მხოლოდ სრულყოფილი ფონის შესაქმნელად. „ჯანგო“ უშუალოდ მონობის თემას შეეხება, მაგრამ აქ პირდაპირ არავინ იბრძვის მონობის წინააღმდეგ, თვით ჯანგოც მარტო იმას ცდილობს რომ ცოლი ტყვეობიდან გამოიხსნას და ნაკლებად აინტერესებს სხვა მონების ბედი და თუ აინტერესებს, ინტერესის მიღმა არ მიდის და ჩვენ ნაკლებად ვხვდებით. მიუხედავად ამისა, ყოფილი მონა, რომელიც ზანგისთვის შეუფერებლად ცხენზე ზის, იარაღს ისვრის და თეთრკანიანი დანმაშავებების თავებზე ნადირობს, უკვე არის სხვების მისაბაძი მაგალითი; თუნდაც ის კადრი უნდა აღინიშ-



ნოს ფილმისა, როდესაც თავისუფალი ჯანგო, რომელიც ხელმეორედ ბრუნდება კენდის მამულში ცოლის გამო-სახსნელად, როგორი ამაყი თვალებით უყურებს ერთ-ერთი მონა, თუმცა ვერ ვხედავთ, რომ ცდილობდეს გაღებული გისოსებიდან გაქცევას სხვებთან ერთად.

ექიმი შულცი – ყველაზე კარგი პერსონაჟი მთელ ფილმში. შულცი ყოველთვის მოეძებნება მიზეზი და სასამართლოს მიერ გაცემული ნებართვა ყველა იმ მკვლელობაზე, რომელსაც თავად ჩადის. შულცი, თავებზე მონადირე გერმანელი, ყველას დანტისტად ეცნობა და ერთადერთი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია მთელ ფილმში. შულცისგან განსხვავებით, ჯანგოს და მისი ცოლის აზროვნება ვერ სცდება ელემენტარულ მოთხოვნებს და არ შეუძლიათ გასცდნენ იმ საზღვრებს, რომელშიც მათი გონებაა მოქცეული. მათ მეტს ვერც მოვთხოვთ, ბოლოს და ბოლოს, ყოფილი მონები არიან და მხოლოდ საკუთარ თავისუფლებაზე ზრუნავენ. კინგ შულცი კი ნამდვილად განიცდის ყველაფერს, რაც მის თვალწინ ხდება და ვერაფრით იფიქრებს მონა ზანგის ძაღლებისგან გაჯიჯგვის სცენას. გერმანელი თავისისავე სიამაყეს და იდეებს ეწირება. სიმბოლურად არის, რომ სწორედ თავისუფლად მოაზროვნე პროგრესული ევროპელი შულცი კლავს კელვინ კენდის. საერთოდ, შულცი გვეკვლინება თავისუფლებისთვის მებრძოლ ერთადერთ პიროვნებად, რომელსაც ერთი შეხედვით არაფერი და არავინ აიძულებს, იბრძოდოს სხვის ომში, მონობის წინააღმდეგ – ჯანგოსგან გასხვავებით. საინტერესოა ეპიზოდი, როცა კენდის მამული არფაზე ბეთჰოვენს უკრავენ, შულცი აგრესიულად აჩერებს მუსიკოსს და კატეგორიულად სთხოვს, შეწყვიტოს დაკვრა, რადგან ბეთჰოვენი სამხრეთელი მონათმფლობელის სასახლეში იმდენად საშინელი მოსასმენია გერმანელისთვის, როგორც რიჰარდ ვაგნერის ვალკირია ებრაელებისთვის.

ფილმს იმდენი მიმართულება და მოტივი აქვს, ძნელია თითოეულ ეპიზოდზე მსჯელობის განვრცობის სურვილი არ გაუჩნდეს ადამიანს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ფარგლები და სტატიის დონეზე ამ ყველაფრის ჩატევა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, არის თემები, რომელთაც აუცილებლად უნდა შევეხოთ – თუნდაც კუკლუქს კლანის თემა. კუკლუქს კლანი სამოქალაქო ომის შემდეგ შეიქმნა ამერიკაში და რასისტული აზროვნების იმდენად სერიოზულ იარაღად იქცა, რომ ტარანტინომაც ვერ აუარა გვერდი. ფილმში მოქმედება 1858 წელს ხდება, სამოქალაქო ომამდე ორი წლით ადრე; კუკლუქს კლანი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, მიუხედავად ამისა, რეჟისორმა ვერ მოითმინა და ამ კლანის ერთგვარი ჩანასახი მაინც გვიჩვენა, მაგრამ კომიკური სახით – კლანის წევრები ვერაფერს ხედავენ თავზე ჩამოფხატული ტომრებიდან, თუმცა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მკაცრად გაუსწორდნენ შულცს და ჯანგოს. ამასთან, პირობას დებენ, რომ მომავალში უფრო კარგად აღიჭურვებიან და ტომრებსაც უკეთ შეეჯიფონ. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს გონებაჩაღუნვი ხალხის ბანდა ცუდად ამთავრებს და შულცის გონებაჩაღუნვილობის მსხვერპლი ხდება.

დასასრულს არ შემიძლია არ აღვნიშნო ფილმის მუსიკა და ტარანტინოს ზენიჭიერება ფილმის მუსიკალური გაფორმების მხრივ. იგი იმდენად კარგად გრძნობს, როგორი მუსიკა სჭირდება თითოეულ სცენას, რომ გამიჭირდება მეორე რეჟისორის დასახელება, რომელსაც ეს საქმე ასე კარგად გამოსდის. რამდენიმე თემა თვით ენო მორიკონეს ეკუთვნის, რომელიც ადრეც თანამშრომლობა ტარანტინოსთან. როგორც ირკვევა, მათი „ჯანგო“ ბოლო ერთობლივი ნამუშევარია, რადგან მორიკონეს აღარ სურს მისი ფილმებისთვის მუსიკის დანერა ზედმეტად ბევრი სისხლის და ძალადობის სცენების გამო. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ტარანტინოს ახალ ფილმს, რომელიც კულტურულ ინფორმაციას თუ დავუჯერებთ, მეორე მსოფლიო ომის თემას უნდა შეეხოს და ერთგვარად შეაჯამებს ამ ტრილოგიის პირველ ორ ფილმს: „უსახელო ნაბიჭვრები“ და „ჯანგო“.

ერთი სიტყვით, To be continued... ■



სიზმარი, ეს არის განდევნილი სურვილების, მოთხოვნების შენიღბული ასრულება. ზემოთ ფროიდი

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადამიანები, რომლებსაც ცოტა ძინავთ, უბრალოდ, სუსტები არიან. სიმართლე გითხრათ, ახლაც ასე ვფიქრობ. რატომ? პასუხია – სიზმრები. ისინი სუსტები არიან იმდენად, რამდენადაც არ შეუძლიათ საკუთარი სიზმრების მართვა, რომლებიც მეტწილად არცთუ ისე სასიამოვნო არიან. ადამიანებმა მათ კომპარები დაეარქვიან. საბოლოოდ ყველაფერს შიშამდე მივყავართ. არა აქვს მნიშვნელობა, სასიამოვნო ვსაუბრობთ თუ არა, ყველაფრის მიმართ არსებობს შიში, მარტივი მაგალითისთვის ისიც საკმარისია, რომ „უნდა გვეშინოდეს ღმერთის“ – სრული აბსტრაქცია. ეს ერთადერთია, რისიც არ უნდა

ყველაფერი. მივხვდი, რომ მოვახერხე, შეევქელი რეალურ შეგრძნებამდე დამეყვანა სიზმარი. გადავწყვიტე, ყველაფერი ჩამეწერა, ასე ვთქვათ, დღიური მენარმოებინა. ეს სიგიჟე იყო.

7 თებერვლის ღამე

ხიდზე ვბრუნდები, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩემი მეგობარი გავიცანი. რამდენიმე წუთში ის მოდის, შორიდანვე მიღიმის, ხელს მართმევს და სახლში მივყავარ. დედამისი ისევე უგემო სადილს გვიმზადებს და ისევე კრინტს არ ძრავს. ალბათ, მუნჯია. მეგობარი მეკითხება, ვინ ვარ და საიდან. ვპასუხობ, რომ ავად ვარ და არაფერი მახსოვს. მიღიმის და მეუბნება, რომ ჩვენ ყველა ავად ვართ და ყველას შიში გვჭირს. ამკარად ორაზროვანია. მან საკუთარი თავი არ იგულისხმა. არ ვეპასუხები. უგემო ჩაის ვსვამ და ვიღვიძებ.



უშაქრო

გარეთ საკმაოდ ციოდა და ამინდი შავ-თეთრი ფილმის კადრს გავდა. ერთ-ერთ სადარბაზოსთან შევჩერდი. – 5 წუთს აქ დამელოდე, – მოთხრა გიომ და კორპუსებს შორის თვალს მიეფარა. გიომ ჩემი ბიძაშვილია, ჩემზე რვა წლით უფროსი. დილით დამირეკა და ერთგან გაყოლა მოთხოვა, უარი არ მითქვამს და თბილი ლოგინიდან ნამომდგარი და შემცივებული, თბილ ქურთუკში ჩაფუთილ ფეხებს ვაბაკუნებდი უცხო სადარბაზოსთან. ეზოში რამდენიმე ფეხებგანუნულ მანანწალა ძაღლს მოეწყინა და დროდადრო თუ გაეთამაშებოდნენ ერთმანეთს, ისიც უღიმამოდ. გიომ რამდენიმე წუთში მოვიდა. ხელში ლამაზი, ცისფერთვალეა თოჯინა ეჭირა. – ეს შენ. – მოთხრა და თოჯინა ხელში მომარჩია. გამიკვირდა, თუმცა არაფერი მიკითხავს. სადარბაზოში შევედით და მესამე სართულზე გავჩერდი. კარი ახალგაზრდა ქალმა გაგვიღო, გიომ გადაკოცნა, მოიკითხა, მეც მომესალმა და შინ შეგვიპატიჟა. – დედიკო, დედიკო, ვინ არის? – გავიგონე პატარა გოგონას ხმა გვერდით ოთახიდან, საიდანაც ისეთი სასიამოვნო სითბო გამოდიოდა, რომ გუმანით მივხვდი, ღუმელი ენთო და გამხმარი შეშა ტკაცუნობდა დეკემბრით გაყინულ ოთახში. ქურთუკები გავიხადეთ და თბილ ოთახში შევედით, სადაც პატარა, 3-4 წლის ოქროსკულულებიანი, ლოყებლაყლაყა, ლამაზი გოგონა იჯდა ღუმელთან და ცნობისმოყვარე თვალებით გვათვალისწინებდა. – ნახე მე რა მაქვს? – გავიღვიძე და თოჯინას გამიღილი თმა მხარზე გადავუწიე. სიხარულისგან პატარას სახე გაეხადრა და ჩემთან მოიბრინა. – რა ლამაზიაა. ჩემია? – კი, შენია, – ვუთხარი და ისევე გამეღიმა. თოჯინა გამომართვა და გულზე მიიკრა. – რა უნდა უთხრა? – შეახსენა დედამ. გოგონამ გახარებული თვალებით შემომხედა, მადლობაო, მოთხრა და ცივ ლოყაზე პანანწალა თბილი ტუჩებით მაკოცა. – ჩაის ხომ დალევთ? – შემოგვთავაზა ახალგაზრდა ქალმა. დაუფიქრებლად დავეთანხმე და ქალიც მაშინვე სამზარეულოში გავიდა ჩაის გასაკეთებლად. გიომ უსიტყვოდ იჯდა სავარძელში და ჩემი და პატარა გოგონას თამაშს უყურებდა. – შენ რა გქვია? – ვკითხე პატარას. – მე – ლიზიკო, – მიპასუხა და მორხვად გაიპრანჭა. – შენ? – მე – ლევანი. – ვუთხარი და გაპრანჭული მოძრაობით გავაჯავრე. – დედიკოო, – დედას დაუძახა ლიზიკომ, – დე, ბიძიები რო მოვიდნენ მაიკოც ხო მოვა? უხერხული სიწუმე ჩამოვარდა. დედას ლიზიკოს ნათქვამი არ გაუგონია ან გაიგო და პასუხი არ გასცა. გიომ სავარძელიდან წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და რაღაცას დაუწყო ყურება ცივ ქუჩაში. ოთახის კუთხეში მდგარ პატარა მაგიდაზე სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭის სურათი იდგა. – ლევან, ნავედით, – მოთხრა გიომ და ფანჯარას მოშორდა. – ჩაი უკვე მზადაა, – ოთახში დედა შემოვიდა და ორი ფინჯანი ჩაი შემოიტანა. ცოტა ხანს გავჩერდი. პატარა ლიზიკო ოთახიდან გავიდა, კაცის დიდი, ზამთრის ფეხსაცმელები რის ვაი-ვაგლახით შემოიჭანა და ღუმელთან დააწყა. – დედიკო, მამიკო რო მოვა, თბილ ფეხსაცმელებს დავახვედრებ. – თქვა და გაბრწყინებული თვალებით ახედა დედას. – ჰო, ჩემო პატარავ, ჰო, – პასუხობდა დედა და ბავშვისგან მალულად ცრემლებს ინმენდდა. ნამოსვლისას გიომ მაგიდაზე შეუმჩნეველად ფული დატოვა. გარეთ სიცივეს მოემატებინა და მანანწალა, ფეხებგალუმპულ ძაღლებს უღიმამოდ თამაშის თავიც კი არ ჰქონდათ. – ლევან, ის ბიჭი, სურათზე რომ იყო, ჩემი ბავშვობის მეგობარია, ომში დაიღუპა. – მივხვდი, გიომ. ყელში ბურთგაჩხერილები მივაბიჯებდით ცივ გზაზე და დროდადრო წვიმისგან გაჩენილ გუბებზე გვერდს ვუქცევდით. – ლევან, ჩაი დალიე? – არა, გიომ. ორივეს გვციოდა და გაყინული ცხვირები კაშნებში ჩაგვემალა. – ლევან. – ჰო, გიომ. – ლევან, ჩაი უშაქრო იყო... ზამთარს უკვე დაელო თოვლიანი პირი. ■



ეშინოდეს ადამიანს. თუ გეშინია, მაშასადამე, დამნაშავე ხარ. მე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე მქონდა. მეძინა საკმარისად, შეიძლება ითქვას, საკმარისზე მეტიც და, რაღა თქმა უნდა, ვნახულობდი სიზმრებს. მათ შორის კომპარებსაც, თუმცა მათ ჩემში არასდროს გამოუწვევია შიში. ბოლო დროს აღმოვაჩინე, უფრო სწორად, მეგობრებმა მოთხრეს, რომ ღამით გაუგებარ ენაზე ვსაუბრობდი, ვდებოდი, დავდიოდი. ისიც კი იყო, როდესაც მეორე სართულიდან გადავხტი მძინარე და სრულიად უცნებელი დავბრუნდი საწოლში. ეს არავის უნახავს. ერთია, ცივ მინაზე დახტომისთანავე გამოვფიხილდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ გულიანად უნდა გამეცინა და ასეც მოვიქციე. თუმცა ეს არაა საინტერესო. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ საბოლოოდ ჩემებური გაგებით რეალობამდე დავიყვანე სიზმრის ფენომენი და გავთიშე სხვა დანარჩენი: დრო, სივრცე. წარმოუდგენელი შეგრძნებაა. იქ არ არსებობს ღმერთი, რადგან ის შენ ხარ. ყველაფერი ფილმის გადაღებას ჰგავს, ოღონდ ყველაფერი ბევრად საინტერესოა. მე რუჟისორი ვარ, რომელიც თავისივე გადაღებულ ფილმში თამაშობს მნიშვნელოვან, მაგრამ არამთავარ როლს.

8 თებერვლის ღამე

ყველაფერი რადიკალურად იცვლება. მეგობარი მეუბნება, რომ ხიდის შუაში უნდა წავიდეთ. დედაც თან მოჰყავს. როგორც ჩანს, ხიდსგარეთ ვცხოვრობთ. მანქანით მივდივართ. ძველი, მონგრეული მანქანა ჰყავს ჩემს მეგობარს. ისეთივე ძველი და უბრალო, როგორც ტანისამოსი აცვია. ნელა მიდის. ნისლია ჩამონოლილი და ძნელად ჩანს რაიმე. ხიდის შუაში ბევრი ხალხია, ბევრი მანქანა. ხიდის კიდეებზე ჩამოკიდებულია სკოლა, საავადმყოფო, მაღაზია, სასამართლო. მოულოდნელად უჩინოდან მსუბუქად მანქანა გვეჯახება. ალბათ, ნისლში ვერ შენიშნა კარგად. ვაჩერებთ და გადავდივართ. მოხუცი კაცია – მელიტი და სრული. ბოდიშს გვიხდის და ამბობს, რომ ზარალს აანაზღაურებს. ვგრძნობ, რომ ვიკარგები და სიზმრის მართვა არ შემძლია, თუმცა სულაც არ მაღელვებს, ასე ბევრად საინტერესოა.

9 თებერვლის ღამე

ხიდის შუაში ვბრუნდები. მელიტი, სრული კაცი ისევე იქ დგას და რაღაცას უხსნის ჩემს მეგობარს. ვხედავ, როგორ გადმოდის მანქანიდან დედამისი, ხელში რაღაც უჭირავს, რკინის ნაჭერს ჰგავს. მელიტი კაცთან მიდის და თავში ურტყამს რამდენჯერმე. ვიბნევი, ცუდის შეგრძნება მაქვს. კაცს თავი უსკდება, მაგრამ სისხლი არ მოსდის. ჭრილობას ვხედავ, ღრმადაა ჩასული თავში. საავადმყოფოში მივყავს. ექიმი გვეუბნება, რომ გადარჩება. მე და ჩემი მეგობარი ველოდებით, როდის გაუკერავენ თავს. ვილაც შეგვგრემანი ახალგაზრდა კაცი მოდის, ჩვენთან ჩერდება და გვეკითხება, ვინ ქნა ეს. ამბობს, რომ იმ მელიტი კაცის შვილია. ჩემი მეგობარი ეუბნება, რომ მან ჩაარტყა თავში რკინა.

10 თებერვლის ღამე

ხიდის დასაწყისთან ვბრუნდები და მეგობარს ველოდები. იგვიანებს. მის ნაცვლად ვილაც შავებში ჩაცმული გამხდარი კაცი მოდის და მეუბნება, რომ უნდა წავიდე. გადავიდე ხიდს იქით, სადაც უნდა ვიყო და აღარ დავბრუნდე. არ ვუსმენ და ჩემი მეგობრის სახლისკენ გავრბივარ. მუხლებს ვერ ვგრძნობ და ყოველ ნაბიჯზე ვიქცევი. ვხედავ, ხიდის შუაში გდია და ფართხალებს. ყურებში მინუის მისი ხროტიანი და ვილაცის დამცინავი კივილი დილით მეზობელმა გამაღვიძა, მოთხრა, რომ ყვევროდი. ახლა მხოლოდ დღისით მძინავს, ისიც – რამდენიმე საათით, რადგან დღისით სიზმრებს არ ვნახულობ. როცა ღამით ვიძინებ, ყოველთვის ხიდზე ვბრუნდები, ვგრძნობ, როგორ გავრბივარ, როგორ მეკვეთება მუხლები და გარკვევით მესმის, როგორ მინუის ყურებში ჩემი მეგობრის ხროტიანი და ვილაცის დამცინავი კივილი. ექიმმა სიმშვიდე გამომინერა. ჩემი შეყვარებული კი, რომელსაც არ უყვარს სიტყვა შეყვარებული, მეუბნება, რომ სიზმრისფერი ვარ.

ყველაფერი 6 თებერვალს დაიწყო. ეს ერთადერთი სიზმარი იყო, რომელიც ასე დეტალურად მახსოვს. შეიძლება ითქვას, სიზმრის ხელოვნების შეცნობის ზენიტი მქონდა. მე შევქელი, შემდეგ ღამეებშიც დავბრუნებოდი იმავეს და გამეგრძელებინა. ვბრუნდებოდი იქ, სადაც ყველაფერი მხოლოდ შეგრძნებების დონეზე იყო დაყვანილი. იქ მარტო მაღალი, უსასრულო ხიდი იყო, რომელსაც არ უჩანდა საყრდენის ბოლო, რადგან ხშირი ნისლი განოლილიყო ქვემოთ. ყოველ ორასიოდე მეტრში უშველებელი თალი იყო წამოჭიმული. ყოველთვის მიყვარდა მაღალი ხიდები, თავისებურად მისტიკურობის განცდას რომ გიტოვებენ. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ არ იყო ცა. ხიდის ვინო ბლიკზე მივდიოდი, როცა ახალგაზრდა კაცმა გამაჩერა. ასე 30 წლამდე თუ იქნებოდა. წვერს ატარებდა და ძველმანებში იყო გამოწყობილი. მოთხრა, რომ არაიმქვეყნიურს ვგავდი და ჩემთან მეგობრობა უნდოდა. უცნაური, უფრო სწორად, არაბუნებრივი იყო მისი ქცევა, თუმცა ამავდროულად, არ იყო ხელოვნური. სახლში წამიყვანა. მისი სახლი, როგორც სხვა დანარჩენების, ხიდის კიდეზე იყო ჩამოკიდებული. მე არაფერს ვიმჩნევდი და ისე ვიქცეოდი, როგორც იმ სამყაროს ნაწილი, თუმცა შეგრძნება მქონდა – ჩემი მეგობარი ყველაფერს ხვდებოდა. სახლში დედასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც არასდროს ლაპარაკობდა და ყოველთვის უემოციო სახე ჰქონდა. მოგვიტანა საქმელი, რომელსაც არაფერს გემო არ ჰქონდა. დილით ადრე გამეღვიძა და ველარ დავიძინე. ნანახზე ვფიქრობდი. წარმოუდგენელი იყო ის, რომ ასე დეტალურად მახსოვდა



ტატინა ტოლსტაია

რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ტელენამცვანი. ცნობილი რუსი საბჭოთა მწერლის, ალექსეი ტოლსტოის შვილიშვილი. მოსკოვის მე-14 საერთაშორისო წიგნის ფესტივალის პრემიისა და პრემია „ტრიუმფის“ ლაურეატი. ავტორი რომანისა: «Киса», მოთხრობების კრებულებისა: „დედ“, „ლა-მე“, „თეთრი კედლები“, „მდინარე“...

როდის და როგორ იგრძენით თავი ავტორად?

– წერა რაღაც უცნაურად დაიწყო, თითქოს ჩემდა უნებურად. ამ პროცესს ყოველთვის თავს ვარიდებდი, მაგრამ, ახლა რომ ვუფიქრებდი, ალბათ, ყოველთვის „ვწერდი“. ჩემი თავი ასეა მოწყობილი – სიტყვები უნდა წარმოვთქვა. არა აქვს მნიშვნელობა, ლამაზ პეიზაჟს ვხედავ თუ სასაცილო სცენას: უბრალოდ ყურება არ შემიძლია, აუცილებლად უნდა აღვწერო, ყველაფერს სახელები დავარქვავ. აი, ჩემ წინ მინის ლარნაკია, ლარნაკში – ვარდისფერი ვარდი. მხოლოდ ეს რომ აღვნიშნო, გამოდის, არაფერი მითქვამს. რას ნიშნავს, მაგალითად „ვარდისფერი ლარნაკი“? ვარდისფერი ხომ ათასგვარი შეიძლება იყოს. და საერთოდაც, ეს უკვე იყო. ამიტომ ისე უნდა მოქმედო, რომ ეს ვარდი რეალურ ცხოვრებაშიც და ქალაქშიც არსებობდეს. ადამიანმა ვერც კი უნდა იგრძნოს, რომ ის დაინახა. ისეთი სიტყვები უნდა მოძებნო, რომ ამ ვარდმა ტექსტში იცოცხლოს. და, სანამ არ ფიქრობ, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავ. სახელდების, ვერბალიზაციის სურვილი ყოველთვის მქონდა. სიზარმაცე და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა კი მაკავებდა. შემდეგ კი სერიოზულად მოვიკიდე წერას ხელი. როდესაც მეკითხებოდნენ იმას, რასაც ყველა მწერალს: „როდის დაიწყეთ წერა“, დიდ ხანს ვერ ვხვდებოდი, რა მეპასუხა. მერე მივხვდი, რაც მოხდა. 1982-ში – იმ წელს ბრეჟნევი გარდაიცვალა – ფიოდოროვის კლინიკაში თვალის ოპერაცია გამიკეთეს. ასე ზუსტად იმიტომ მახსოვს, რომ, როდესაც გადახვევაზე მივდიოდი, წუთიერი თუ სამ ან ხუთწუთიერი დუმილით ბრეჟნევის მიაგვს პატივი. სიჩუმე – ბრეჟნევისთვის პატივის მისაგებად; ჩვენ – ავტობუსში, სიცივე, ბევრი ხალხი – ყველა სახვევებითა და ბინტებით, გარშემო გაურკვეველი ბარაკები, სათავსოები; კლინიკა ტრიალ მინდორში, სადაც თვალის ოპერაციებს აკეთებდნენ... დგას ავტობუსი, გარშემო – საბჭოთა კომპარი: ბარაკები ჰორიზონტამდე და ყველა დუმს. რადგან ეს ოფიციალური ღონისძიება იყო, ყველა მანქანა გაჩერდა, პურ-ფუნთუშეულის მაღაზიებში ვაჭრობა შეწყდა, ვილაცის ხელი სამკაულებით გამეშადა საღაროს თავზე. ყველა დუმს. აბსოლუტურად შემზარავი სანახაობა იყო. მაშინ ვიფიქრე, ყველა ერთბაშად, ალბათ, იმიტომ გაჩუმდა, რომ ეპოქა დასრულდა, საშინელი ეპოქა.

ოპერაციის შემდეგ უსაქმრობის სამი თვე დაიწყო: სინათლის ნებისმიერი სხივი თვალს ისე მჭრიდა, რომ სახლში სპეციალური ფარები ჩამოვკიდებ და ორ წვილ შავ სათვალეს ვატარებდი. სამთვიანი გონებრივი სტაგნაცია მქონდა. მხოლოდ მუსიკას ვუსმენდი. შემდეგ თვალები მომირჩა, მხედველობა დამიბრუნდა, გამახსენდა

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ საახალწლო ნომერში არღვევს ტრადიციას და მკითხველს სთავაზობს ნათარგმნ ინტერვიუს. ტატინა ტოლსტაიას, – თანამედროვე რუსული პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედება ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილია. ვფიქრობთ, მწერლის შეხედულებები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ძალიან ორიგინალური და საინტერესოა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის საახალწლოდ ერთგვარი სიურპრიზი შეგვეთავაზებინა. მკითხველის წინაშე წარმოდგენილი ტექსტები სპეცი-

ალურად შევარჩიეთ. გავითვალისწინეთ ქართულენოვან სივრცეში რესპონდენტის შესახებ არსებული ინფორმაციის ნაკლებობა და საჭიროდ ვცანით, არჩევანი შეგვეჩერებინა ვრცელ და ამავდროულად საკმარისად ზოგადი ხასიათის ინტერვიუზე, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიდა მკითხველს როგორც მწერლის ბიოგრაფიის, ასევე მისი შემოქმედების თავისებურებების შესახებ. „ლიტერატურული საქართველო“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ ინტერვიუს თანამედროვე, ცნობილ რუს მწერალ ლუდმილა ულიცაიასთან.

ბავშვობა, მეზობლები, არომატები... ყველაფერი ის, რაც მესხიერებაში დიდი ხნის წინათ გახუნდა და გაფერმკრთალდა, ახლა საოცრად მკაფიო და ცოცხალი იყო. გავიფიქრე: „დავწერ!“ ავიღე კალამი, ქალაქი და დავწერე მოთხრობა. და მაშინვე მივხვდი, რა როგორ უნდა გამეკეთებინა. ამიტომ არ მქონია არანაირი მოსამზადებელი პერიოდი, ჩანახატები, შავი რეკულები... შევუდევდი წერას და დაიწყო ჩემი, ამ მხრივ, საინტერესო და სახალისო ცხოვრება.

როგორ წერთ და რა არის თქვენთვის ლიტერატურა?

– ვწერ ცოტას, ნელა, რადგან ეს მსიამოვნებს და მჭირდება. მაგრამ ასე ხომ ბევრს ვერ დანერ. და ყოველთვის გწყდება გული, რომ შეიძლება რაღაცის თქმა ვერ მოასწრო. ამიტომ აღმოვაჩინე ჩემთვის ძალიან მოსახერხებელი რამ – ჟურნალისტიკა, რომელშიც შენი პიროვნების სხვა მხარე შეგიძლია წარმოაჩინო. ვსარგებლობ ამით და ერთდროულად მწერალიც ვარ და ჟურნალისტიც.

რა დამოკიდებულება გაქვთ დროსთან, რომელშიც ცხოვრობთ?

– დროსთან ყოველთვის უცნაური დამოკიდებულება მქონდა. ციფრები მერევა. რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გარდა, რომლის თარიღი სპეციალურად, საორიენტაციოდ დავიმახსოვრე, 80-იანები ჩემთვის ერთიანია. ჯერ ერთი, წლებს მიყოლებით არ ვიმახსოვრებ, დროის რაღაც სხვა ათვლა მაქვს. გარდა ამისა, ხანდახან მგონია, არა – ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შემდეგ სიცოცხლეში მექნება საშუალება, ავირჩიო, წარსულის რომელი ეპოქაში დავიბადო. სრულიად სერიოზულად ვფიქრობ, რა მოვიგონო საინტერესო საკუთარი თავისთვის. ერთი ჩანაფიქრი უკვე მაქვს: მშვიდად ვიცხოვრო და მოვკვდე მოხუცებული, სასურველია სადღაც 1913 წლისთვის, სანამ ყველაფერი რიგზეა და საშინელი დროება ჯერ არ დამდგარა. არც პირველი მსოფლიო ომი დანწყებულა, არც რევოლუცია... მოვესწრო ვერცხლის საუკუნეს, ყოველივე საკუთარი თვალთვანხი. საინტერესო იქნებოდა იქ აღმოჩენა. კიდევ: ძალიან მინდა მოვხვდე არა ანტიკურ, არამედ ძველ მსოფლიოში. საქმე ის არის, რომ 1200 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველმა მსოფლიომ კრახი განიცადა, დაიგრა ძველი სამეფოები, დაიქცა ხეთები, ტიროსი, სიდონი, განადგურდა კრეტის სასახლეები, მოხდა გლობალური კატაკლიზმი, აპოკალიფსი. მთელი მსოფლიო დაინვა. შემდეგ ორასი წელი იყო მღვრიე წყალი – არაფერ არაფერი იცის; დამწერლობა არ იყო, უფრო სწორად, იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ რაიმე ჩაწერათ, ყველაფერი დაიკარგა, გაქრა. ძალიან მინდა მოვხვდე იქით, ამ წყალგამყოფს მიღმა. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც ახლა თხრობ, ეს ფანტასტიკური ცივილიზაცია იყო, უაღრესად დახვეწილი ხელობითა და ხელოვნებით. უნატიფეს ნივთებს სწორედ იმ ფენებიდან იღებენ. აი იქ მოხვედრა მინდა. ვგრძნობ, მეც იქიდან ვარ წარმოშობით.

სერიოზულად კი, – მიხარია, რომ სწორედ ამ დროში ვცხოვრობ, არა საბჭოთა, ან სტალინურ ეპოქაში. საკმაოდ ახალგაზრდამ ვნახე, რომ რუსეთში შეიძლება სხვანაირად ცხოვრება, არა ისე, როგორც ვცხოვრობდით იქამდე, როდესაც არაფერი იყო ნებადართული. ყველა იმ უმსგავსობის მიუხედავად, რომელიც დღეს ხდება ჩვენს ქვეყანაში და გულს მტკენს, თავისუფლება ქვეყანაში არის. ხოლო, თუ ადამიანმა ერთხელ მაინც შეიგრძნო იგი, აღარაფერზე გაცვლის.

მრავალი კრიტიკოსი თუ გამომცემელი თქვენ რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს გიწოდებთ. რას ფიქრობთ ამგვარ პოპულარობაზე?

– მადლობა, ტკბილი სიტყვა, როგორც იტყვიან, კატასაჟ სიამოვნებს. მე ამ ტერმინებით არც საკუთარ თავზე და არც სხვებზე არ ვმსჯელობ. საუკეთესო არა-საუკეთესო... გამოდის, ძალიან რომ ეცადო, შეიძლება შეადგინო იერარქიული სია: ვინ საუკეთესოა, ვინ მეორე, ვინ მესამე. ეს ხომ უსარგებლოა. მე, გარდა იმისა, რომ ვწერ, მკითხველიც ვარ. ისეთი წიგნები მიყვარს, რომლებიც ჩემში გამოაჩინოს პოულობა. ხშირად ძალიან განსხვავებული ლიტერატურა მჭირდება. ზოგი წიგნი შინაარსის, ზოგი ენის, ზოგი იდეოლოგიის გამო. ყველა ეს მახასიათებელი შეიძლება ერთსა და იმავე ავტორის ნაწარმოებში განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი; ხან ბორცვია, ხანაც – ნაკადული. ზოგი ტექსტი სრულიად მშვენიერია, ზოგიც გვერდით ჩავივლის: არც შენ შეხედავ, არც – ის. ადამიანები ხომ განსხვავებული ვართ და სულს კონფიგურაციაც სხვადასხვაა. კედელს ხან ერთი მხარით ეყუდები, ხანაც – მეორეთი, და ჩემთვის სულერთია, თანამედროვეა მწერალი თუ ძველი. თაროზე წიგნები ანბანის მიხედვით მაქვს დალაგებული. კი, შეიძლება დაფიქრდე კიდევ, ვინ როდის იყო, მაგრამ რა საჭიროა?! როდესაც კითხულობ, თავად იქცევი ტექსტად, ერწყმის მას, თითქოს მაქცია ხდება და არ გადარდება, საუკეთესოა ის თუ არა...

თანამედროვე რუსი მწერლებიდან ვინ მოგწონთ?

– ძალიან მიყვარს ლუდმილა პეტრუშევსკაია. მომწონს პელეგინი. ვიცი, ვილაცები ამბობენ, რომ ის მწერალი არ არის. სისულელეა, ისინი თავად არ არიან მკითხველები! მიყვარს ბორის აკუნინი და მისი ფანდორინული პროექტი. ძალიან მიყვარს. გაოგნებული ვარ, როგორ მოახერხა ამ ძალიან მოუცლელმა ადამიანმა, სხვა სფეროს სპეციალისტმა ორ წელიწადში დაწერა შეიდი ერთიმეორეზე საინტერესო რომანი. დიდი ხნის დავიწყებულ გრძობას აღძრავს ჩემში: კთხულობ და ფიქრობ – რა იქნება შემდეგ? მშვენიერი ენა აქვს, დალაგებული თხრობა, დეტალური აღწერები. ახალი მწერლებიდან ის ჩემთვის ყველაზე ახლოა.

ნელ-ნელა აქა-იქ ჩნდებიან ახალი ვარსკვლავუკები, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რამეს განსაკუთრებულს ვხედავ მათში... არა, ასე ერთბაშად ლიტერატურა არ კვდება. უბრალოდ, ის ახლა იბადება. მე კი ვზივარ და ველოდები, როდის მოიგონებს ვინმე რამეს. ამას წინთ დიდი აურზაური იყო: ვილაცა წლის, საუკუნის თუ ათასწლეულის საუკეთესო მწერალი აღმოჩნდა... ეს ყველაფერი გასაბჭოელო ლიბეტივო არის.

არა! უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არაფერი საკვირველი არ მიპოვნია. ძირითადად ყველაფერი მარცხენა ფეხით არის ნაკეთები. არიან ახალი მწერლები, რომლებსაც აქვთ აზრები, იდეები, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი... გააკეთე ბოლომდე, ვერ ხედავ, ერთი მხრიდან დაინვა, მეორე მხარე უშია. ყველაფრის რიგანად გამართვა საჭირო. ამ მხრივ, პეტრუშევსკაია სრულყოფილია. არც ერთი ბგერა არ არის მის ნაწარმოებებში უადგილო. ზუსტად იცის, რა, სად, როდის... და არასდროს ცდილობს, შემოგაპაროს ნახევარფაბრიკატი.

მაინტერესებს თქვენი აზრი „ქალურ ლიტერატურაზე“: როგორ წერენ ქალები და, საერთოდ, შეიძლება ლიტერატურაში სქესზე საუბარი?

– არ მიყვარს სხვადასხვა თეორიები, რომლებიც ამის შესახებ არსებობს: სქესი, გენდერი... არ მესმის, რას გულისხმობენ „გენდერში“. უფრო სწორად, მესმის, მაგრამ არ მინდა ამაზე ფიქრი. და ფიქრობ, შემოქმედების თვალსაზრისით განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის არ არსებობს. რაც უფრო კარგია ლიტერატურა, მით უფრო იშლება ეს ზღვარი. აი, ავიღოთ ერთი ცხენის ისტორია, ლევ ტოლსტოის მოთხრობა „ხოლმსტომერი“: ხომ ვერ ვიტყვით, რომ ავტორი, ლევ ტოლსტოი, ცხენი იყო? მაგრამ აღწერდა ცხენის განცდებს. მისი გენიალურობა აძლევდა ამის საშუალებას. სწორედ ეს არის ლიტერატურა: თუ პიროვნება მრავალმხრივი, ყოვლისმომცველია, მაშინ ქალი შეიძლება კაცი იყო და, პირიქითაც, კაცი – ქალი. სხვა საქმეა მდარე ლიტერატურა. იქ არსებობს ქალური თემები, მამაკაცური თემები, სქესები არსებობს და ეს ორი სხვადასხვა სამყაროა. საერთოდაც არსებობს სივრცე, სადაც გადაკვეთის წერტილები არ არის. ამიტომ ადამიანები თანაარსებობენ და ერთმანეთს ავსებენ. მწერალი კი, როგორც ნებისმიერი შემოქმედი, უნდა იყოს ყველაგან: ბალნინჯომ გაიბრინა – შენც მისდე. ამ მხრივ, მწერალი პატარა ღმერთია: წელიწადში მოხრილი, ბრუტყინი, ცალი ფეხით კოჭლი, მაგრამ მაინც ღმერთი. ის ქმნის ყველაფერს, სახელებს არქმევს და ბიძგს აძლევს. თუმცა, ფაქტობრივად, არსებობენ მწერლობით დაკავებული კაცი და ქალი, რომლებიც სხვადასხვა ბანაკში არიან.

როგორ მიმდინარეობს თქვენთვის წარმომადგენლის შექმნის ლიტერატურული პროცესი?

– სინამდვილეში ძალიან ბევრი პროცესია. ერთი ვარიანტი ასეთია: თვითონ იქიქება სადღაც თავში. იქმნება რაღაც წარმოდგენა და შემდეგ ვითარდება ხატი, ხშირად ძალიან განსხვავებული მასალისგან. მოდის რაღაც გრძობა, შეგრძნება სიტყვებად, ინტონაციებად, სახეებად დალაგებული ზმანების აუცილებლობისა. ზოგჯერ ცხოვრებისეული ბიძგ: გარკვეული სიტუაცია გეკრობა და შენთან ერთად ცხოვრობს მრავალი წელი, სანამ არ აღწერ. ზოგჯერ შეკვეთა, უფრო სწორად, თხოვნა – დაწერო გარკვეულ თემაზე. ისე, უბრალოდ, ხომ არაფერი ხდება. თუ გთხოვენ, რამე გააკეთო, ესე იგი ეს შენ გჭირდება და მთხოვენელი კი, ასე ვთქვათ, ამ შეკვეთის გამტარი, არის ადამიანი – მოგზავენილი საიდანლაც იქიდან... ამიტომ მის თხოვნას ყურადღებით უნდა მოეკიდო. არის, რა თქმა უნდა, იდიოტური თხოვნებიც. ისეც ხდება, რომ ის, რასაც აკეთებ, თავდაპირველი თხოვნის ფარგლებს აღემატება: შეგეკვეთეს რაღაც წერილმანი ჟურნალისთვის, შენ კი სცდები ჩარჩოებს. აღმოაჩენ, რომ სერიოზული საკითხი ყოფილა. ისეც ხდება, რომ შემკვეთი უხერხულად გრძნობს თავს, ზოგჯერ არც იღებს შეკვეთილ ტექსტს, ან იღებს, მაგრამ შიშით. აი, ვთქვათ, გლამურული ჟურნალები მიკვეთავენ რაიმე თემას, მე კი ვწერ ანტიგლამურულად: მათი სტილი საშინელია და არ მსურს, მივხადო. მაგრამ ზოგჯერ ისინიც ცდილობენ, საკუთარ თავს აჯობონ და გთხოვენ, დაწერო რამე ადამიანური შეკვეთილ თემაზე. მერე კი შემოიკრავენ თავში ხელს: გლამურმა ხომ არ იცის სევდა, ნაოჭები, სიკვდილი... გამოდის კი, რომ სწორედ ეს შეუკვეთეს...

ესაუბრა ქალაქი პიკუსოვა თარგმნა ნიკოლოზ აბლაქაძე

პოეზია



**ნინო ხუთათელაძე**

**ტრიპტიქი**

**იდილია 1.**

შენ სჭრიდი ლიმონს  
და ამოდულდა ღრუბლებში მთვარე,  
ამოშრიალდა ფირფიტადან  
გულის ტკივილი...  
შენ სჭრიდი ლიმონს  
და იყავი უთქმელად მწარე...  
იქ ფერი ფერზე დააკვდა ღამეს;  
არ მაჟრჟოლებლა,  
ის ჟრიალი დაჰქროდა გარეთ,  
ნისლში ყვინთავდა სხივის ხივი  
ერთი ფიორი.

**იდილია 2.**

ქრიზანთემები  
მუქ ლურჯ კაბაზე  
და ალაზანიც ლურჯად დიოდა,  
გაულიმებლად მკაცრი სალამი –  
გზაზე ბებერი გზა მიდიოდა.  
დაბერებული ხელის მტევნები  
ეკიდა ვაზზე, როგორც აკიდო,  
და ამეკიდა თვალზე ცრემლები,  
ვით სიყვარული უაღერსო,  
თუ უპასუხო.

**იდილია 3.**

ახლა კედელი გაინგრევა  
ქარით და ზათქით  
და დადუმდება ყოველივე,  
როგორც ედემი,  
ღამეთა ჩრდილი  
დღეებზე უფრო ნაღდი  
და მკაცრი  
შემოაბინდებს  
სულში და სახლში  
და ოქროს ღამით  
დალოშნის ბგერებს...  
შეძლებისა და არშეძლების  
შესაძლებლობა  
ანყვია ქვაზე,  
არა, უფრო საფლავის ლოდზე,  
შენც დაავლე საშველს ხელი  
და თავს უშველე,  
რადგან იქ მხოლოდ სიმშვიდეა,  
იქ ედემია.

●  
გაილექსა როცა ბინდი,  
შენ გაფრინდი,  
როცა ივლისს შემოქედო ყელზე ქარი –  
საფიქრალი,  
შემიშინდი...  
ახლა გზები დალილია,  
ჩამტყდარია ყველა ხიდი...  
რალა ივლისს შეეფარე,  
რალა ივლისს შეცივიდი...

●  
*მიხეილ ქვლივიძეს*  
ვნერ რალაც ლექსებს არაქართულად,  
იშვიათად ვნერ, არა ყოველთვის  
და წარმართივით,  
თუ წარმართულად  
წარმომიდგება თქვენი პორტრეტი.  
იმას ამბობდით, რაც ვერ თქვა ყველამ:  
„ხშირად პოეტი წააგავს ნარცისს“ –  
უცხო ენაზე ლექსების მწერალს  
უნოდეთ მაშინ უსქესო კაცი...  
მშობლიურს კრძალვით უნდა ეფერო,  
როგორც ხატის წინ დანთებულ სანთელს...  
შემინდეთ ლექსი – ის უელფერო –  
უცხო ენაზე თუ ისევ დამცდეს!

●  
არავის კარზე არ მიმღერია,  
არც სიტყვა მითქვამს  
ჩემდა სარგებად,  
არაფერია, არაფერია  
და არაფერიც მალე თავდება.  
იქნებ არაფერს თავის ფერი აქვს,  
ხან სისხლად ჟონავს,  
ხანაც ხუნდება...  
მაგრამ სიცოცხლე გადამელია  
და არაფერი არ დაბრუნდება,  
არაფერი ნთქავს ღამის ნალვერდალს,  
დღისით ცეკვავს და  
თანაც დაჰმღერის:  
„არაფერია, არაფერია,  
არაფერია ჩემი სახელი!“  
ვისაც არაფრის არ ეშინია,  
აბა, გაუძლოს არაფრის სივრცეს!  
როცა ცხოვრებაც არაფერია  
და არაფერი შიგ სულში გიმზერს.

●  
ო, მაპატიე არდავინყება,  
უსაზღვროება ახლა იწყება...

მოდის ფრთაგაშლილი თეთრი ანგელოზი  
და იმოსება მთვარის ოვალით;  
მანდაც სიყვარულით უნდა ანათებდე,  
სანამ ვარ ცოცხალი!

ო, მაპატიე, რომ მენატრები,  
ვერ შეგანუხებ ჩემი ავდრებით!  
ვერ ავატირებ სულში ყვავილებს,  
მე დავბერდები,  
შენ იყმანვილებ...  
შენ უნდა დარჩე, როგორც სამოთხე,  
სადაც დუმდება ანწყო წყეული,  
სადაც ოცნება ისევ მარცხებს,  
სადაც არ ჰქვია სხეულს სხეული.

ო, მაპატიე არდავინყება,  
უსაზღვროება ახლა იწყება!

●  
*ნოდარ წულეისკირს*  
ცოტამ იცხოვრა მწერალივით  
სუფთად და ლაღად,  
ცოტამ ისხურა  
მწუხარების წვიმის წვეთები...  
თქვენც ალბათ ნახვალთ,  
უფლისმიერ სინათლეს ნახავთ  
და გამოარღვევთ მდუმარებას  
თავგამეტებით.  
თავგამეტებით, მაგრამ წუთით,  
იქნებ – საათით,  
რადგან ყველას წვავს  
საკუთარი დიდების ცეცხლი;  
და ეს დიდებაც  
სატყუარა სულისდგმა არის,  
სხვა არაფერი,  
არაფერი ამაზე მეტი.

თქვენ მიხვდით ამას,  
როცა ტაბუ დაადეთ სათქმელს  
და უთქმელობით ზიდეთ  
თქვენი ტკივილის ტვირთი...  
ო, ვინ რა იცის,  
როგორია, ღამის საბანი  
როცა გხურავს და  
მზისაგან იწვი,  
როცა თვალეში  
ჩაგწურვია უკიდევანო  
დარდი მამულზე  
და სიტყვათა მდუმარე სივრცე...

ცოტამ იცხოვრა მწერალივით  
სუფთად და ლაღად,  
ცოტამ ისხურა  
მწუხარების წვიმის წვეთები...  
თქვენც ალბათ ნახვალთ,  
უფლისმიერ სინათლეს ნახავთ  
და ცოდვილ სულს  
ველარაფრით შეგვეშველებით!

●  
სამარცხვინოა, როცა სიკვდილი  
თვითონ არ გიტევს,  
შენ კი ნებდები,  
და აღარ გხიბლავს ნათელი დილის –  
შემოსაზღვრული ლურჯი კედლებით...  
ცის გალიფრებულ სხეულში სძინავს  
დამარცვლულ ნუხილს ლოცვა-ვედრების  
და აუნერელ ტკივილით გტკივა  
ძირმორყეული თხელი ნეკნები...  
და მეჩვენება, ეს მე კი არა,  
შენ შეგქმნეს ალბათ ჩემი ნეკნიდან.  
როგორც სჩვევია ამ გულს – პეიტარს –  
თავის იმ ერთ ნეკნს გამოგეკიდა,  
სიცოცხლე ჟონავს ლილისფერ დილას,  
ტკივილად ჟონავს გამხმარ ნეკიდან.

**ანდერძი**

*ხალხურ კილოზე*

შემომადინე ნაღველი,  
იქნებ შევსვა და დამათროს,  
შენ, ჩემო გამოსალმებავ,  
ლექსებით სავსე ქალაქად!  
შენ, ჩემო ღამის ფრინველო,  
ვეება ფრთებში გამხვიე  
და მომაცილე ამ ქვეყნის  
სიავს და სიმარტივეს!  
ნეტა, თუ იყო ყოველი,  
ნეტა თუ ისევ გამწირავს –  
ვუსმენდე ამ წუთისოფლის  
და უფრო – გულის სატკივარს –  
ვიტანდე ბრიყვთა სიმულეგს  
და ბოროტებას მავანის,  
(არც კი ვიცოდი, ბედშავმა,  
თუ ვიყავ ამის ამტანი)...  
მე ისევ ნაღველს დავიფენ,  
ფარდადაც ნაღველს დავკიდებ,  
ოღონდ ვიცოდე, შენი მზე  
გასწვდება ათას გაისებს...  
ნეტავ, იცოდე, ქართულო,  
რა მტანჯავს, რა მედარდება,  
ნეტავ, იცოდე, როგორ მწვავს  
ნაღდი სიტყვების ხატება!  
რა თავში ვიხლი დიდებას,  
ლუკმა პურიც კი არ მინდა...  
ხატიდან უნდა მიმზერდე,  
ვინ ჩამოგილო ხატიდან?! –  
უბირ სამყაროს ვუყურებ  
და უმეცრება მაგიჟებს,  
ერთიც და... ქალაქს დავტოვებ,  
სულსაც კი მინით ავივსებ!  
სულით საპყარი შვილების  
ერთი ყვავილიც არ მინდა...  
შენ გვედრები, ქართულო,  
გაუძლო ამდენ ქარიშხალს,  
მე იქაც შენზე ვილოცებ  
იმ დასანავი გაღმიდან!

ზურაბ თორია



მეორე მსოფლიო ომი ხუთი წლის დამთავრებული იქნებოდა გაზაფხულის ერთ მზიან დღეს აფხაზეთში, გალის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, სატვირთო მატარებლის ბოლო ვაგონიდან ნაცრისფერ „ტელეგრაფიკაში“, ნაცრისფერსავე დათბილულ ქუდში, ტილოს შარვალსა და ტალახშემხმარ ჩექმებში გამოწყობილი საშუალო ტანის, მეტად გამხდარი ჩოფურა კაცი რომ გადმოსვს მკერდზე მიკრული წარწერით: „Высадить в Гали“, რომელსაც ხელში მუყაოს მომცრო, ვინ იცის, რა და რა გზებზე ტარებისგან ფორმადაკარგული და ფერგაცლილი ჩემოდანი ეჭირა და გაოგნებული სახით იცქირებოდა ირგვლივ. გამვლელ-გამომვლელები თვალს რომ შეავლებდნენ, სიცილს ვერ იკავებდნენ და მის გარშემო იყრიდნენ თავს.

– ამ ბოლო ხანებში მათხოვრებმა ძალიან კი მოუხშირეს ვითომცდა მატარებლის ჩამორჩენას, ჩვენს ისედაც გაღლეტილ ქალაქს ესენილა აკლდნენ! – მკაცრად შენიშნა ტანმაღალმა, სამხედრო ყაზაზე ჩაცმულმა კაცმა, მკერდზე წარწერამიკრულს მიუახლოვდა, ყურადღებით შეათვალიერა და როცა დარწმუნდა, რომ საქმე მანანალასთან არ ჰქონდა, მხედრულად მისალმების შემდეგ ჰკითხა:

– Скажите, по какой причине вас из поезда высадили?!

მკერდზე წარწერამიკრულმა თვალი კი შეავლო ტანმაღალს, მაგრამ ძარღვიც არ შესტოკებია სახეზე.

– ხედავთ, ვერ მიხვდა, ნამდვილად მატარებელს ჩამორჩენილი გერმანელი ტყვე იქნება, – შენიშნა ჩოფურას ირგვლივ თავშეყრილითაგან ერთ-ერთმა.

– გერმანელი კი არა, ის არ გინდათ ახლა, აგერ, დიხაზურგიდან ვარ, – ხმა ამოიღო ჩოფურამ.

– ეს რა წარწერა მიგიმაგრებიათ, ხალხის ასე დაბნევა არ გეკადრებათ! – უსაყვედურა ტანმაღალმა, ზურგი შეაქცია და წასვლა დააპირა.

– მე კი არ მიქნია ეს, იქ, კალიმის კოლონიაში, რუსული რომ არ ვიცი, იმის გამო შემაბეს, – ჩაესმა მისი ხმა.

– კალიმის კოლონიაში?!. – გაიკვირვა ტანმაღალმა, მიტრიალდა და დააკვირდა, – რის გამო მოხვდით იქ?.. თუმცა ჩვენთან ამისგან არავინაა დაზღვეული, – დაამატა საჩქაროდ და თავისივე ნათქვამით შეცბუნებულმა ჩოფურას მიჩერებულ ხალხს თვალი მოავლო.

– სიმართლე რომ გითხრათ, დღემდე ჩემთვისაც გაუგებარია...

– მოლაღატე იყავი, ალბათ, და იმიტომ! – უღმობლად შეაგება გარშემორტყმულებიდან შავებში გამოწყობილმა, სახეგაქერებულმა ახალგაზრდა ქალმა.

მკერდზე წარწერამიკრულმა ამის მთქმელი თვალით მოძებნა და სევდიანი ხმით მიუგო:

– ცილს ნუ მწამებთ დაია, ქვეყნის დალატი გულში არასოდეს გამივლია... პოლონეთთან ტყვედ ჩავვარდი, ნახევარწელიწადში ბანაკიდან გავიქეცი, თავიდან პოლონელ პარტიზანებს შევეკედლე, მოგვიანებით იტალიელებთან მოვხვდი, ბრძოლით კინაღამ ნახევარი დედამიწა შემოვიარე, მაგრამ, როგორც კი საბჭოთა კავშირის საზღვარს მოვადექი, დამიჭირეს და გადასახლება მომიასჯეს...

– რამდენი წლით? – ჰკითხა ისევ იმ ქალმა.

– ჩვიდმეტი, ხუთწელიწადნახევარში ამნისტია შემეხო...

– ხუთწელიწადნახევარში კალიმის კოლონიაში ორი ღერი რუსული როგორ ვერ დაისწავლე, რომ ეს ყოველად სამარცხვინო წარწერა მკერდზე არ მიეკრათ! – უსაყვედურა ჩოფურას ახლოს მდგომმა კაცმა.

მკერდზე წარწერამიკრული ამჯერად მას მიუბრუნდა, დააკვირდა და შემწყნარებლურად გაუღიმა.

– რუსულის არც ფრონტში წასვლამდე გამეგებოდა რამე და არც ახლა... Стоять! Смирно! Разговорчики! Руки вверх! Шагом марш! Заткнись! Вот жри едренomat!.. და ამისთანებია ვიცი, იტალიური ცოტა მეტი მესმის... სხვა ქვეყნებშიც ვიბრძოდი, მაგრამ მათ ენებს ვერაფერი ვაუგე... რა, ეს დანაშაულია?..

– არა, მაგრამ შენი ქვეყნის მთავარი ენა მაინც უნდა გესწავლა, რომ ასეთ

# Высадить в Гали

უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყავი, – ლმობიერად შენიშნა ტანმაღალმა კაცმა.

– ჩემი ქვეყანა საქართველოა ამხანაგო, და მე ქართულის ცოდნა საკვებით მაკმაყოფილებს...

– ზუსტად მოლაღატესავით ლაპარაკობს, მაინც არ მჯერა, რომ მაგან რუსული არ იცის, აშკარად იტყუება! – დაასკვნა გასრუმორტყმულებში მდგომმა ფართოსახეა ხნიერმა ქალმა.

– ეს რა ხალხი ხართ, ამ კაცს სამშობლოში სული ძლივს ჩამოჰყოლია და რას გაუნყალებთ გული, არ ვიცი?! – თავი გამოიდო ვიღაც ჩაფსკენილმა ახალგაზრდა კაცმა, ჩოფურას მიეჭრა და დიდი ხნის უნახავი ახლომელოვით გულში ჩაიკრა.

ჩოფურას მისი სახე ეუცხოვა.

– რალაც არ მეცნობთ!.. – წამოიწყო.

– არც მე, მაგრამ ჩვენებურ ნაფრონტალ და ნატანჯე კაცს ასე რომ ხვდებიან...

– თქვენ რა, არ გახსოვთ, სულ ახლახან გერმანელმა ფაშისტებმა რა დღეში ჩავყვარეს? ეტყობა, ბელადის სიტყვებიც, მტერთან ფხიზლად იყავითო, მთლად დაგვიწყებიათ. რა გარანტია გაქვთ, რომ ეს კაცი გერმანელები აგენტი არ იქნება! – დაატყდა მათ ლოთის ტიპის შუა ხნის კაცი, – როცა სამშობლოს განსაცდელი ჯერ ისევ ემუქრება, ყველაფერი გულდასმით უნდა შემოწმდეს. აბა, ამხანაგო, დაგვემორჩილე და კომენდატურაში წამოვიყვები, იქ გაარკვევენ მტერი ხარ თუ მოყვარე!

კომენდატურის ხსენებაზე ჩოფურას ირგვლივ თავშეყრილი ადამიანები დაფრთხნენ და წამისუმაღ დაიფანტნენ, სასწაულად თვით ლოთის ტიპიც კი გაქრა უკვალად და ჩოფურა და ჩაფსკენილი ახალგაზრდალა შერჩნენ ერთმანეთს.

– არ გავეცნოთ ერთმანეთს? – ჰკითხა ჩოფურას ჩაფსკენილმა.

– გერა ვარ, აბსანძე.

– მე იროდი ჯანჯღავა, – უპასუხა, ყურადღებით დააკვირდა და ხელი გაუწოდა იროდით ნოდებულმა გერას, – კეთილი და პატიოსანი! მოდი, პირველ რიგში ეს წარწერა მოიხსენი და გადააგდე, თორემ, ხომ ხედავ, ყველა ეჭვის თვალით გიყურებს, ამ დროს ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი გაქვს გამოვლილი, – ურჩია გერას იროდი.

– მოხსნით კი მოვიხსნი, მაგრამ ვერ გადავაგდე! – უპასუხა გერამ, მკერდზე მიმაგრებული წარწერა მოიძრო, გულდასმით ოთხად დაკეცა და ჩემოდანში შეინახა.

– რატომ?! – გაიკვირვა იროდი.

– მჭირდება. – მოკლედ მოჭრა გერამ. ჩაფსკენილმა ჩაძიება განიზრახა, მაგრამ ჩოფურას სახის შეუვალმა გამო-

მეტყველებამ გადააფიქრებინა.

– „Колыма, Колыма, Колыма, дивная планета, десять месяцев зима, а всё остальное лето.“ – ჩაილინასავით იროდიმ, – მითხარი, ნამდვილად ასეა, თუ უფრო მკაცრად გვიხატავენ იქაურობას?

– ჯერ მითარგმნე.

– ნამდვილად სულ არ გესმის რუსული?! – გაიოცა იროდი.

– ხო ვთქვი, ცოტა.

– რანაირად?..

– სიმღერა მითარგმნე-მეთქი! – პასუხს თავი აარიდა გერამ.

იროდი სახეზე დააკვირდა ისევ და მიხვდა, რომ მისი სიჯიუტის დაძლევა არც თუ ისეთი იოლი იქნებოდა და დათმო.

– კალიმა, კალიმა, კალიმა, საოცარი პლანეტა, ათი თვე ზამთარია, ყველა დანარჩენი კი ზაფხულიო...

– ნაღვია... ის ორი თვეც ისეთია, მთლად ზაფხულსაც ვერ დაარქმევ... ის ყინულის ჯოჯოხეთი ნეტა ისე ვის მოეხატრა, რომ სიმღერაც კი გამოუთქვია! –

გაიოცა მოგვიანებით გერამ.

– უყურე შენ, მართლა საშინელება არ ყოფილა? – თავისთვის დაასკვნა იროდი.

ეგონა, რომ ჩოფურა აპყვებოდა და რამეს მოუყვებოდა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, იგი საუბარს არ აგრძელებდა.

– ან რა უნდა ქნა? – თავი შეახსენა იროდიმ ფიქრებში წასულ გერას.

– კომენდატურაში გამოცხადდები და იქ მეტყვიან, რა როგორ იქნება.

იროდიმ გერა კომენდატურამდე მიაცილა, მერე საქმე მოიმიზეზა, შინ მშვიდობით ჩასვლა და ჯანის სიმრთელე უსურვა და დაემშვიდობა.

კომენდატურაში სამი საათის ყურყურის შემდეგ გერა გზაჯვარედინზე იდგა და სოფლისკენ მიმავალ მანქანას ელოდებოდა. ამაო ლოდინით თავგაბეზრებული გზას ფეხით დაადგა. სოფლამდე სალამოხანს ჩააღწია, სოფლის დასაწყისში ცოტა ხნით შეისვენა, ძალა მოიკრიბა და შებინდებამდე თავის კარ-მიდამოს მიადგა.

არემარე გადასხვაფერებული იყო. ოდა ყავრით ახალი გადახურული ჩანდა, სახლის წინ მოხასხასე კონინდარი და შუა მინდორში მდგარი საადრეო მსხლის ხე მოისაკლისა. ეზო გაფართოებინათ, გადაეხნათ და იმ ადგილას, როგორც ჩანდა, სიმინდის დათესვას აპირებდნენ. ჭიშკართა, ახალგათხრილი ჭის გვიმის თავზე, ნიაგი ოწინარზე ჩამოკონინდარულ, გვერდებჩაჭყლელი ვედროს ჭრიალით არწევდა.

კარ-მიდამოს უკაცობა რომ არ დასტყობოდა, გაუხარდა, მაგრამ იქვე ეჭვმა გაჰკრა, ათი წლის განმავლობაში ოჯახმა ჩემი ასავალი-დასავალი რომ არ იცოდა, ვინმე ხომ არ ჩამეზიარაო. რამდენიმე ხანს ორჭოფობდა. მერე ის იყო, ოდის აივანზე ყმანვილი შენიშნა, რომელმაც, როგორც კი ჭიშკართან ატუზულს თვალი მოჰკრა, კიბეზე დაემგა და მისკენ გამოემართა.

– ვინ გნებავს ბიძია? – ჰკითხა შორიდან.

– სახლის პატრონი, – უპასუხა გერამ.

ყმანვილი ჭიშკარს მიუახლოვდა, გერას ყურადღებით დააკვირდა, შემდეგ რატომღაც უკან მიიხედა და სახლს თვალი შეავლო.

– ამ სახლის პატრონი მე ვარ, ბიძია, შემობრძანდით! – ადგილ-მამულის ნამდვილი პატრონი-პატრონის რიხით მიუგო მოგვიანებით და ჭიშკარი შეაღო.

გერა არ გატოკებულა, მაღალ, კეთილანაგ, ხორბლისფერთმიან ყმანვილს თვალყურადაქცეული მიაჩერდა და მასში გაღეულსახიანი ექვსი წლის ბიჭუნას ამოცნობას ლამობდა.

– რა გქვია? – ჰკითხა ბოლოს იმედაცრუებულის ხმით.

– ბასა.

გერას სიხარულმა სუნთქვა შეუკრა, შებარბაცდა და ჭიშკარს მიეყრდნო.

ყმანვილი კაცი თვალს ვერ აცილებდა უცნაურ სტუმარს, წამით გაუელვა, ეტყობა, ჩვეულებრივი მშვიდი მათხოვარია, სახლში შევირბენ, მჭადის ნატეხსა და ცოტა ყველს გამოვუტან, წყალსაც მივანვიდო, მაგრამ მისდა გასაკვირად, სტუმარი არც არაფერს ითხოვდა და დუმდა.

– ბიძია, თუ რამე გნებავთ, დროზე მითხარით, თორემ ხარ-კამეჩი მყავს მისახედი...

– კარგი ბიჭი გაზრდილხარ! – აღტაცება ვერ დაფარა ჭიშკართან მდგომმა.

– თქვენ რა, ჩემი ბავშვობა გახსოვთ?! – ირონია გაკრთა ყმანვილის ხმაში.

– მამა ვარ შენი და აბა რა იქნება! – მიუგო ჭიშკართან მდგომმა.

ყმანვილი გახედა. ყურადღებით დააკვირდა უცხო და მისი სახე ზალაში, კედელზე დაკიდებულ მამის ფოტოსურათს და მახსოვრობაში ჩარჩენილ მის გარეგნობას შეადარა, მაგრამ სიცოცხლით სავსე, ტანბრგვე ვაჟკაცს ვერაფრით მიაშვავს ეს დალეული ჩოფურა.

– თუ მართლა მამაჩემი ხარ, მითხარი რა გქვია! – ჰკითხა დაბნეულმა ბიჭმა.

– გერა ვარ შვილო!

უეცრად ბიჭი სახლისკენ მიტრიალდა და განწირულის ხმით დაიყვირა:

– დედააა!

მის ძახილზე სახლიდან ტანსრული, თავზე თალხთავსაფარწაკრული ქალი გამოიჭრა და ჭიშკრისკენ გამოემშურა.

– რა იყო, რამე ხომ არ მოინიე! – შეიცხადა სირბილით მომავალმა ქალმა, ხოლო როცა მიუახლოვდა და უგნებელი დაინახა, – შენ არ მოისხე მაინცდამაინც, ტყუილბურთლოდ გულს რას მიხეთქავ, არ ვიცი?! – უთქვილა.

ყმანვილმა პასუხად ჭიშკართან ატუზულზე მიანიშნა. ქალმა მის ხელს თვალი გააყოლა, ჭიშკარს იქით მდგომს გახედა და გაირინდა.

– ვინ არის, ან რას მომშტერებია?! – მოურიდებლად იკითხა ცოტა ხანში.

– რა ვიცი, მამაშენი ვარო და!..

ქალი ჭიშკარს იქით მდგომს დააკვირდა. უცებ მოიღვენთა და მკერდზე ხელი იტაცა.

– ნათო, მართლა ისე შევიცვალე რომ?! – გაიკვირვა ჩოფურამ.

– უი, გერა! – შეიცხადა ქალმა. ჯერ შორიდან შეჰყურებდა, მერე მიეჭრა, – ეს რა გატანჯული სახე გაქვს შემოგველე, ისეთი რა გიყვეს იმ გადასაშენებლბებმა, რომ ძლივს გიცანი... რას გერჩოდნენ, ჯარდაგმი ხომ არ გაგატარეს იმ ამოსანყვეტებმა!.. – გაიძახოდა და გაოგნებულ, საძრაობდაკარგულ გერას ხელებსა და სახეს უეკონიდა, – მაგრამ რახან ცოცხალმა ჩამოაღწიე, წმინდა გიორგის მაღლმა, არაფერს ვჩივი!.. – თავს იმშვიდებდა.

იქვე მდგომი ყმანვილკაცი უნდობლად მისჩერებოდა მის წარმოდგენაში ვაჟკაცი შესახედაობის, ზღაპრული დევგმირების სადარი მამის (დედა ასე უხასიათებდა შეიღობს) ნამუსრევს და ვნაფრით ეგულებოდა ამ გალეული, სახიჩარი გარეგნობის უცხო კაცს დედამისი გარს რომ უვლიდა და წარამრა სახესა და ხელებს უეკონიდა.

– ბასა, რა უცხოსავით მოგვშტერებიხარ, ფეხი გამოადგი! – გაუნყრა შვილს ელდანარევი სიხარულით გაოგნებული ქალი.

ერთიანად წამოჭარხლებული ყმანვილი ძლივს დაიძრა ადგილიდან და უხერხულობის განცდა არ ტოვებდა მამად ნოდებულმა ამ მისთვის უცხო კაცმა მკლავები რომ მოჰხვია და გულში ჩაიკრა.

იდგნენ ასე ჩახვეულები ერთხანს. როცა ყმანვილმა ლოყაზე თბილი ცრემლი იგრძნო, თავი გაითავისუფლა, ოდნავ დაიხია, თავით ფეხამდე თვალი შეავლო მის წინ გაშეშებულ კაცს და მასში იერშეცვლილი, მაგრამ ათასგზის ნაოცნებარი მშობლის სახის ნაკვთები და აღნაგობა შეიცნო.

►► – ნამო, შენს დიდი ხნის მონატრულ სახლში შევიდეთ, – დაუყვავა ქალმა გერას, ჭიშკართან მიგდებულ ჩემოდანს დასწვდა, ბასას მიანოდა და ქმარს წინ წაუძღვა.

– ნია სადღა! – იკითხა გერამ და შუა ეზოში შედგა.

– ენაცვალს დედა, თბილისში სწავლობს, შევუთვლი და გახარებული მაშინვე აქეთ გამოქანდება...

– რა მითხარი?! – გაიოცა გერამ.

– გერმანულის მასწავლებელი გახდება მალე.

– გერმანულის?! – ისევ გაიოცა გერამ.

– ჰო, ახლა გერმანულს დიდი ფასი დაელოდა, და მანაც ასე გადაწყვიტა.

– სწორი უქნია... თურმე, მტრის ენა კარგად უნდა იცოდეს, – მიუგო და ეზოში ყურადღებით მიმოიხედა, – კარ-მიდამოსთვის ზრუნვა არ დაგიკლიათ, თუმცა ჩემი დარგული საადრეო მსხალი მოგიჭრიათ და მინდორი გადაგიხნიათ...

– მდინარის გაღმა საყანეს სიშორისა და მოუცვლელობის გამო შექრმა და ეკალ-ბარდმა ისე გადაუარა, ვერ მოვერიეთ და სიმინდის დათესვა აქ გადავწყვიტეთ, საადრეო მსხალი კი შეიდი წლის წინ გახმა. დედაშენმა დაიჩემა, გული მიგრიდნობს, გერას ნამდვილად რაღაც ხიფათში შევთხვია და, ალბათ, ამის ნიშანიაო, მერე ივიშვილა, ჭამა აიკრძალა, ჩანვა და შენზე დარდით დაილია...

გერა შეკრთა, ერთხანს თავდახრილი იდგა.

– როდის იყო ეს? – იკითხა მოგვიანებით.

– ადრე გაზაფხულზე, – მიუგო ქალმა.

– სწორედ მაგ დროს იტალიის ალპებში სიკვდილი დამტრიალებდა, – დაიჩურჩულა.

– იტალიის რაში?! – გაიოცა ქალმა.

– მთებში... მერე სხვაგანაც ვიბრძოდი... ახლა ისეთი დაქანცული ვარ, არც ლაპარაკის თავი მაქვს და არც არაფრის... წინ მთელი ცხოვრება და თანდათან ყველაფერს მოგიყვებით...

ქალი და ყმანვილი სახლში შეუძღვნენ, დატრიალდნენ, სამზადში შუაცეცხლი დაანთეს, სამფეხზე კარდალა შემოდგეს, წყალი გააცხელეს, აბანავეს, დაანაყრეს და საძინებელში, გახამებული თეთრეულით განწყობილ საწოლზე დაანვიცეს.

– რა კარგია შინ... ასეთ სუფთა ლოგინში წოლა ათი წელია არ მღირსებია! – ესლა თქვა, თვალი მილულა და ძილიც მოერიდა.

უთენიაზე ქალმა გააღვიძა, აღერსითა და კოცინით აავსო და როცა დიდი ხნის განუცდელი ლაციტით გული იჯერეს, თავს გადახდენილი ამბების მოყოლა სთხოვა.

გერამ პარტიზანებთან ყოფნის ხანებიდან ორიოდ ეპიზოდს გაიხსენა, ტყვეობისა და გადასახლების აღწერა უმძიმდა და ამ ამბებზე გაკვირთ ილაპარაკა, ხოლო მატარებლიდან საგანგებოდ დაცვამ როგორ ჩამოსვა, მშობლიურ მიწაზე ფეხის პირველად დადგმისას რა განიცადა და პირველივე შემხვედრნი როგორ მოეპყრნენ, დანერვილებით მოუთხრო, მერე კი დაამატა, კომუნდატურაში სამი საათი მკითხავდნენ, შემდეგ კი მკაცრად გამაფრთხილეს, ემანდ ტყვედყოფნის, გადასახლებისა და საერთოდ, ომთან დაკავშირებულ მოვლენათა ირგვლივ ზედმეტი რამ არ დაგცდეს, თორემო!..

– რატომ?! – გაუკვირდა ქალს.

– რა ვიცი... ალყაში მარტო მე კი არა, მთელი შენაერთი მოჰყვა და იძულებით ჩაბარდა. ნახევარ წელიწადში რამდენიმე ტყვე ბანაკიდან გავიქეცი და დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ ჯერ პოლონელ პარტიზანებთან მოვხვდით, შემდეგ კი იტალიის წინააღმდეგობის მებრძოლებს შევეკედლეთ. იქ ვიბრძოდი, სხვაგანაც ხუთჯერ დავიჭერი, მძიმე კანტუზია გადავიტანე, ზურგი და ბეჭები დაზიანებული მქონდა, მარჯვენა მკლავი და ფეხი დამსხვრეული... თანამებრძოლებმა მომიარეს, მაგრამ ახლაც წესიერად ვერ ვიმართები... თურმე, ჩემი დანაშაული ის ყოფილა, რომ ცოცხალი გადავრჩი... ტყვედ რას ბარდებოდი, მაშინვე თავი უნდა მოგეკლაო, მიბრძანეს დაკითხვა-

ზე. რატომ, ტყვედ მარტო მე ხომ არ ჩავვარდნილვარ-მეთქი. ომი რომ იყოს, ამის კითხვას არავინ დაგაცილდა, საველე სასამართლო აქვე გამოგიტანდა განაჩენს და დაგხვეტდნენ, აფსუსია, საბჭოთა კანონი შენისთანებს ასე ლოიალურად რომ ეპყრობაო... ამის შემდეგ იმათ სიტყვის შებრუნებას როგორ შეგებდავდი, ჩემ თავს ვეკითხებოდი, ნეტა ამის ფასი რა დავაშავე-მეთქი... სიცოცხლე არ დამიზოგია... რა მნიშვნელობა აქვს სად ვიბრძოდი, ფაშიზმი ნახევარ დედამინას განადგურებით ემუქრებოდა და სადაც არ ვყოფილიყავი, ასე მგონია, ჩემს ქვეყანას და ოჯახს ვიცავდი...

– შენი ნაამბობიდან ბევრი რამ ვერ გავიგე შემოგველე... მაგრამ იმას კი ვხვდები, რახან ასე გაგაფრთხილეს, იქნება ეს ამბები ბასასაც არ გაუხილო...

– როგორ, სიმართლე შეილსაც დაგუმალო?! – აღშფოთება ვერ დაფარა გერამ.

– სიმალეს რა ჭკუა აქვს, ჯერ კიდევ ბავშვია და თანატოლებთან რომ წამოსცდეს?.. ამბობენ, კომუნდატურას თავისი ხალხი სოფელშიც ჰყავსო...

– ეგ უეჭველია... კარგი... ვეცდები ჩემი არსებობით არავინ შევანუხო...

– მე ეგ არ მითქვამს!.. ჩემი თავი ჯანდაბას, უზრალად, საკუთარ თავს და შეილებს გაუფრთხილდი, – მიუგო ცოლმა და ამ საკითხზე მათ შორის საუბარი ამით დასრულდა.

მზე რომ ამოიწვერა, გერა აივანზე იდგა და სიმწვანეში ჩაფლულ, სამოთხისდარ არე-მიდამოს თვალს ვერ სწყევტდა. სოფლის სიმყუდროვით მოჯადოებული სიჩუმეს აყურადებდა და გამუდმებით ცაში იცქირებოდა.

იმავე საღამოს მისი დაბრუნების აღსანიშნად ეზოში გაშლილ ხალხმრავალ სუფრასთან მეზობლებსა და ნათესავებს ბრძოლის უმნიშვნელო ეპიზოდებს უყვებოდა. ვილაცამ ხუმრობით ჰკითხა, ამ ცაში წარანარა რას იცქირებო. ბომბდამშენების გამოჩენას ვუთვალთვალე, რომ სოფელი გავაფრთხილო და გადავარჩინო, უპასუხა ალაღად. მეზობლებმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და ამის შემდეგ მის ნაამბობს ყასიდად უსმენდნენ. ომგამოვლილთა უმრავლესობა ხშირად რეალობას იყო მოწყვეტილი, ერთმანეთში ტყუილსა და მართალს ურევდა და მსმენელებს უჭირდათ-ხოლომე ჭეშმარიტების დადგენა, თუმცა მათ გამტყუნებას თავგამოდებით არც არავინ ცდილა. ამ ჯოჯოხეთგამოვლილ ხალხს ამგვარ რამეს დიდსულოვნად მიუტყებდნენ, რადგან მათი შინ ცოცხლად დაბრუნება მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომმა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა, უფლის უდიდეს წყალობად მიაჩნდათ.

სოფლის სიმყუდროვითა და ახლობლებთან ურთიერთობით კარგა ხანს ტკბებოდა გერა, შესამჩნევადაც მოიკეთა, ეს იყო, ღამ-ღამობით ბორგვა დასჩემდა. სიმწრის ოფლით გახვითქული გაუგებარ ენაზე ვილაცხებს რაღაცებს მოუწოდებდა, წამოვარდებოდა და ეზოში გაჭრას ცდილობდა. საღონებელში ჩავარდნილი ნათო ღამეებს თეთრად ათენებდა და მის სახელზე ჩუმ-ჩუმად ლოცულობდა.

ამასობაში ქალიშვილიც ჩამოუვიდათ, რამდენიმე დღე დაჰყო სოფელში და მამის უცნაურობებით შემფოთებული ისევ გაუდგა თავის გზას.

გერამ ერთ დღეს შენიშნა, რომ მნახველები და ცნობისმოყვარე ხალხი შემოჭვანტოდა და მამინ მიხვდა, ოჯახსა და სოფელში ყველას თავისი საქმე ჰქონდა და მის სალოლიაოდ და დროის უქმად გასაყვანად არავის სცხებოდა. ერთხანს იხტობარს არ იტყებდა, ვითომ ვერ ამჩნევდა ამას, მაგრამ ნათომ იმარჯვა, ბალახ-მოვლილ ეზოსა და გასამარჯვ ყანაზე ჩამოვადო სხვათა შორის სიტყვა.

გერა თავიდან გონებაგაფანტულად უსმენდა, მაგრამ როცა ქალმა უძილო ღამეები, ბორგვები და გარეთ გაჭრის მცდელობები უხსენა, შეშფოთდა, მის ყოველდღიური ჯაფისგან ფორმადაკარგულ, კალთაში ჩანყობილ მოუხეშავ

ხელებს დახედა, გარუჯულ მკლავებს ააყოლა თვალი და ერთ დროს ნახსა და უმშვენიერეს, ამჯერად კი ადრინდელ მომხიბლველობას მოკლებულ სახეზე შეაჩერა მზერა. ნათქვამის გამო დამორცხვებულ ნათოს თავი ჩაეხარა. როგორც კი ქმრის მზერა იგრძნო, თავი ასწია და თვალი გაუსწორა.

გერამ მის მზერას ვერ გაუძლო. მიხვდა, ქალი ქმრისგან ოჯახის უფროსის მოვალეობის აღსრულებას დიდსულოვნად ელოდა, მაგრამ მოთმინებასაც ჰქონია საზღვარი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ბრძოლების, ტყვეობისა და გადასახლების მოგონებებით გართულს ერთხელაც არ მოსვლია აზრად ოჯახს მეზობლების თქმისამებრ „ბრტყელ-ბრტყელი ზღაპრები და ცაში ცქერა“ რომ ვერ შეინახავდა.

ხმა არ გაუღია. წამოდგა, საძინებელს მიაშურა, გადასახლებიდან ჩამოყოლილი ჩემოდანი ჩამოიღო განჯინიდან, სა-მუშაო ტანსაცმელი ამოალაგა, შიგ ჩარჩენილი რაღაც ქალაქლები და ოთხად გადაკეცილი წარწერა გაზეთში შეახვია, ისევ ჩაანყო, ჩემოდანი დაკეტა, საძინებლის კუთხეში მიდგმული სკივრიდან ჭაბუკობისდროინდელი შავი პალტო, გულისპირზე წერილობითსხმული შავი პერანგი, მონაცრისფრო პიჯაკი, გალიფე შარვალი, ტყავის ქაშარი, აზიურები და სხვა სამოსი ამოაწყო, ტანზე მოისინჯა, დარწმუნდა, ვერც ერთ მათგანს მომავალში ვერ გამოიყენებდა, მაგრამ ცოლს მათ შესანახად ზრუნვა რომ არ დაუკლია, მადლიერებით აივსო, ჩემოდანი სკივრის ძირას ჩადო, გულდასმით დაკეცილი სამოსი ზემოდან დაანყო, სკივრს ბოქლომი დაადო, სუფთა ტანსაცმელი გამოიცვალა და გადასახლებიდან ჩამოყოლილი ხამი ტილოს სამუშაო ხალათში გამოწყობილი ეახლა ნათოს.

იმ დღიდან თოხი, ბარი, წალდი და სახრე ხელიდან არ გაუვლია. თავდასუზოგავად შრომობდა, საქონელს დასდევდა, მდინარის გაღმა საყანე ფართობში შქერი და ეკალ-ბარდები ძირფესვიანად ამოძირკვა, დახნა, დათესა, საბჭელი განაახლა, სამზადი დაარღვია, ახალი დადგა და კაშკაშა ფერად შეღება, ოდა სახლიც უცხო ყაიდაზე გადააკეთა, თუნუქით გადახურა და თეთრად შეღება, ფუტკრის რამდენიმე სკა მოაშენა, ეზოს უკან ლუფი და თხილი დათესა, სახლის წინ, ნაყანეზე, საჩრდილობლად მაგნოლია დარგო, ბასას საიდანლაც პალმის, ყვავილებისა და ბზის ნერგები ჩამოატანინა. როცა წინა ეზოში ჩარიგებული ბზა წამოიზარდა, ღამაზად გაკრიჭა და ვარდები და ტიტები აყვავდნენ, მისი ეზო-მიდამო ედემის ბაღს დაემსგავსა.

გამვლელ-გამომვლელები ცნობის-მოყვარედ ჩერდებოდნენ და გაოცებას ვერ ფარავდნენ კაშკაშად შეღებილი სახლისა და სამზადის, წინა ეზოში სხვადასხვა ჯიშის ყვავილებისა და ნარგავების სიმრავლის გამო. მათი აზრით, კარ-მიდამოს უცხო ყაიდაზე გადაკეთება, ნაირფერი ყვავილებითა და „არაფრის მაქნისი“, უნაყოფო დეკორატიული მცენარეებით ეზოს გადატვირთვა გერას არაპრაქტიკულობასა და უცხო ქვეყნებით გატაცებაზე მეტყველებდა და დაუფარავად კილავდნენ, მაგრამ მათდა გასაოცრად, მის „უცნაურობებს“ ახალგაზრდებს შორის მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა.

საკვირველი ის იყო, როცა კოლმეურნეობაში ყოველი ოჯახიდან დღიური სამუშაოს შესასრულებლად თითო ან ორი ზრდასრული წევრის გასვლა სავალდებულო იყო და დაუმორჩილებელ სოფლის თავკაცები სახნავ-სათესის ჩამორთმევითა და მთელი რიგი აღმკვეთი ღონისძიებებით ემუქრებოდნენ, იგი ერთხელაც არ შეუწუხებიათ. ერთხელ ამის მიზეზით დაინტერესდა. უპასუხეს, ზემოდან ნაბრძანები გვაქვს, შენი წარსულის კაცი შინ იჯდეს, რომ მეზობლებმა, განსაკუთრებით კი მოზარდებმა არაფერში მოგბადონო. ვერაფრით გაარკვია, რატომ იყო მისი წარსული იმდენად საშიში, ან სამარცხვინო, რომ არავინ არ უნდა გაჰკარებოდა. ამიერიდან ამ საკითხზე არავის შეუწუხებია, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რაღაც

გროშების ფასად ეწერსა თუ ჭონჭყომი უმძიმეს სამუშაოზე არ ამწესებდნენ და მადლიერი ყოფილიყო, ვილაცის უსაფუძვლო ეჭვებისა და შრომის უფლების წართმევის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდა სოფელთან კეთილი ურთიერთობა შეენარჩუნებინა, ჭირსა თუ ლხინში გვერდით დასდგომოდა, მეზობლებისთვის ხელი გაემართა, თუმცა მისი მცდელობები ცალმხრივი აღმოჩნდა. მასთან ურთიერთობას აშკარად გაურბოდნენ. თანდათან ყველას ჩამოსცილდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გერას სახლ-კარი ციხე-სიმაგრე ყოფილიყო და შინაპატიმრობამისჯილს გარე სამყაროზე ნებაყოფლობით ეთქვა უარი.

რაც დრო გადიოდა, სოფელს ეს აზრი უმტკიცდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მის ამგვარად ჩამოყალიბებაში თავდაც დიდი წვლილი მიუძღოდათ, უკარებლობის ნიშნად „ნემეცი“ შეარქვეს და თავი მართალი ეგონათ, რადგან სოფელი ასეთ განდგომას არ იყო ჩვეული. მიზეზებს ვერ უღრმავდებოდნენ და არც ჰქონიათ ამის გარკვევის სურვილი, რამეთუ ყოველდღიურ განამანაში მყოფნი უფრო ზედაპირულად აფასებდნენ მოვლენებს და არც ის დასიზმრებიათ, რომ თუმცა უკმაყოფილების შესახებ არასოდეს სიტყვა არ დასცდენია, გერაც არ იყო მათთან მტყუანი. ან როგორ დასცდებოდა, თქვენთვის ის ვერ მიპატივებია, საბრძოლო ეპიზოდების მოყოლას არ მაცლიდით და ღამის მასხრად მიგდებდით, ხოლო როცა ჩემს სანდობაზე მიდგა საქმე, არც ერთ თქვენგანს ჩემს დასაცავად ხმა არ ამოუღიაო...

ასე რომ, სოფელიც და გერაც თავთავიანთთვის იყვნენ, თუმცა უფრო გერა იყო თავისთვის, თორემ, სოფელმა ყოველი მისი ნაბიჯი მთლად ზუსტად თუ არ იცოდა, მის შესახებ რაღაცის დადგენას ცდილობდა მაინც.

წელიწადში რამდენიმეჯერ საგანგებოდ გამოწყობილი გერა ორი ან სამი დღით სოფლიდან მიემგზავრებოდა. მეზობლები ნათოს სად წავიდაო რომ ჰკითხავდნენ, იგი მოკლედ, საქმეზე, პასუხობდა, რასაც ერთი სჯა-ბაასი მოჰყვებოდა, ნახეთ, „ნემეცი“ ეს გულია ქალიც „განემეცაო“, თუმცა ცდებოდნენ, გერა არასოდეს იბარებდა, სად მიემგზავრებოდა. გზიდან დაბრუნებული ცოლს კი უყვებოდა ყველაფერს, მაგრამ ქალი თავს ვალდებულად არ მიიჩნევდა ვინმესთვის ანგარიში ჩაებარებინა. ეს იყო და ეს.

ამასობაში ბასა დაქორწინდა, ნია ქალაქში გათხოვდა, შვილიშვილებმა ხალხის შემატეს გერას ოჯახს და ცხოვრება თითქოს წესითა და რიგით მიედინებოდა, თუმცა მეზობლები ხშირად ხედავდნენ გერას ყანასა და ეზოში თოხის ტარზე დაყრდნობილს, ან მკერდზე მკლავებდაკრებილს და საათობით გარინდულს და მის ზურგს უკან ოხუნჯობდნენ, ამას ომის დამთავრება ჯერ კიდევ ვერ შეუტყვიაო, მაგრამ გერას ზუსტად ახსოვდა ომის დამთავრების დღე, საათი და წუთიც კი, ოღონდ ეს იყო, საბრძოლო მოქმედებების, დაჭრილობა კვების, მეთაურთა მონოდეტებისა თუ გამარჯვებულთა ყიჟინის ექო მუდმივად ედგა ყურში, ამ მოვლენათა კადრები მთელი სიცხადით, კალეიდოსკოპურად უტრიალებდა თვალწინ და სინამდვილეს ჩრდილავდა.

მეზობლების ოხუნჯობები ბასას ყურს მისწვდა და დედას რამდენიმეჯერ მიაწინა გერას გულჩათხრობილობისა და განმარტოების შესახებ, მაგრამ ნათო ვაჟიშვილს მამის საქმეში ჩარევას უშლიდა.

გერამ საბრძოლო წარსულთან დაკავშირებით მხოლოდ ერთადერთხელ და ისიც იძულებით დაარღვია დუმილი. მაშინაც რძლის თხოვნით პირველკლასელი შვილიშვილი უნდა წამოეყვანა სკოლიდან. გაკვეთილების დამთავრებამდე დაადგა სკოლის გზას და ეზოს განაპირას, კუნძუზე ლანდივით მჯოში ელოდებოდა შვილიშვილის გამოჩენას. სანამ ბავშვე-

ის იყო, დგებოდა ავრორას რიჟრაჟი. დარეცილ კიდურზე ჩნდებოდა მირაჟი და სისხლი ფერავდა აისის კაბადონს...

ცა ჰგავდა ფეხმძიმე, თვეში მდგარ ქალბატონს და შობდა ავრორას...

ალიონს ძონისფერს, თრიაქით ნათრობს, მოესხა მენაშული და გრძელი მანტო.

ბურუსი – ბალღამთა და სისხლთა რევანი... ვარსკვლავნი – მაგიურ სიტყვათა ართრონი და ზოდაქოთა უჩინო ფანტომი...

უდაბნო – ვაგინა... და დარან-ბურანში ლვიოდა ცეცხლისფრად

ნითელი ბაგინა!.. სიმყრალეს სისხლისას ამბრად და საკმევლად, ამბრად და საკმევლად სიმყრალეს აკმევდა...

შეშლილი მენი იქ, ცათა სარკმელთან იდგა და გასისხლულ ხელებით ეჭირა თოთო განთიადი – ცის სასონარკვეთა...

ატე გამოეხმოთ ორსულის ამქმევლად, ატე – ნოდებულის კოსმიურ სიგიჟედ, განყოფის ტკივილებს რომ არაფრად მიიჩნევს, იგი მშობიარის მოეხმოთ ამქმევლად...

უცნაურ შუქბინდში, ციმციმში კანდელთა უცხო და უცნობი სხვა დილა გათენდა!..

ხოლო მან, რომელიც სახელით მარად გენათლავს, იმ დილას სულ სხვა და უცხო რამ დაანათლა...

სწორედ მან, რომელმან სახელი დაანათლა, იკივლა: „მარანათა!..“

„ცაო, მარანათა!..“

მაშინ ლიტანიად დაემხო მოგვი და ლაღადყო: „ვიწინა თქვა უფალი მოვიდა, იცრუა!.. ის იყო სიბილა მოცრუე და მხოლოდ რიომი იმედი ორსულის...“

და არვის უხილავს ცით გარდამოსული... ის, ვინაც მივიღეთ უფლად და მესიად, ის იყო მირაჟი და უფლის ფანტომი...

მან ჩვენ მიგვატოვა... ის იყო ფანტომი, ფანტომი სამყაროს კეთილი პატრონის...

ადგა და დაგვტოვა... დაგვაგდო მარტონი...

და, რადგან ის იყო უსახო, ლატენტა, ის დილაც უცხო და სხვაგვარი გათენდა...

და მიუყვებოდა ფილაქანს მინდია. ზმანებაშლილი ფიქრობდა საბავთოს ამ რიბირაბოში, ამ დილა-ბინდიან გულსახენემოს და ავს რამეს აზრობდა.

აქ, უცებ, მწუხრამდგარ ერთ სადარბაზოსთან, პირქუშ და უამურ, ბნელ სადარბაზოსთან მოესმა სუსტი და უმწეო კენესის ხმა... ანაზად უმწეო და სუსტი კენესის ხმა, მოესმა ბინდბანდში უცნაურ დღესისხამს...

ცა აღმოსავლეთის... ნითელი ძახველი... ხანძარი ეკიდა აღსავლის კაბადონს...

და უფსკრულს აღმობდა მგვრგვინავი ძახილი, ძახილი, რომელიც უხმობდა აბანდონს, – უფსკრულის ანგელოზს, – ვულკანის მახვილით, რომ ქვეყნიერების მბრძანებლად დაესვათ...

„უფსკრულის ანგელოზო, მძლევარო აბადონ, აღმართე მახვილი, მახვილი შობის ხანს, განკვეთე რაპირით ციური ბადენი, განგმირე ვობი და გააქრე ვობიშხაც, რომ ბნელმა ჩაჩუქროს ბიკონი ზადენის, ჩირალი ღვთაების, დიდი ორაკულის...“

აქ გველის მჭამელი უეცარ გამობრუნდა. ის იდგა პირქუშ და ბნელ სადარბაზოსთან და კვლავ ის უმწეო, სუსტი ხმა ჩაესმა.

მინდია შედგა და პირჯვარი იწერა. და ბნელში ჩურჩული:

„დაო, ბედისწერავ, მოსულხარ ასთვალა, ასხელა, ასყურა, რომ ნბილში დაცემულს კვლავ ნბილი მასხურო, უკუნში დამნთქა და ჟამიც აღასრულო!..“

სოფელი ერეოი ბრმა და კუზიანი ერთბამ მოასწორო სიან-უსიანი, მეზოგინენი თუ ქარიწი ნარხვეტილინი, ნამუსიანი თუ ნამუსგახედილინი!..

სასჯელად ისიც მყოფნის, რომ აღარ მადირსე ბნელი და შორი გზა დედის ნიაღისკენ...

ბნელი და შორი გზა – გზა განუნიკენ!..“

ო, ცეცხლი ეკიდა აღსავლის კაბადონს და სისხლით მოთხვროდა ბოქვენი ქალბატონს.

აქ გველის მჭამელი კვლავ ცნობას მოეგო. ის იდგა პირქუშ და ბნელ სადარბაზოსთან და კვლავ ის უმწეო კენესის ხმა მოესმა:

„ჰო, მე ვარ ფსიქეა, ფსიქეა, რომელიც ელტვოდა ლამარებს და არა ვარსკვლავებს. ამადაც დავისაჯე... უბრალო ბიკონი, ბიკონი ვარსკვლავისგან რომ ვერ განვასხვავე; რომ ჩამომიტყუა ზეციდან ცისფერმა, ცისფერმა სარკეებმა რომ ჩამომიტყუა...“

ვარსკვლავნი ქრებიან ცად განთიადისას და ციურ ლადანად მოლს ეფინებიან...

ცვარ-ნამი – ცრემლები ციური სომნის და გლოვანი მათზე, ვინც შემორჩათ ხსოვნაში, ჯერაც რომ არ გამ-

# ფსიქეა

(ნანყვეტი „ხოგაის მინდი“-დან)

ქრალან გაცრეცილ ხსოვნიდან, გრემა და ფერმიხდილ ხსოვნიდან...

ვისაც ჯერ არ ფარავს ხავსი და ფიკია და ჯერაც უხმობენ სახელით – „ფსიქეა“,

ვინც მალალ სხეულით და ფრთებით თეთრონით ბნელ სადარბაზოში შარდის და განავლის

ფართხალებს ზინზლსა და ქიქსა და ქიქსას... ფსიქეა – ფრთოსანი პეპელა – ფსიქეა!..

ვისაც კუპიდონის ამბორი ახსოვდა, მინდიას უხმობდა ბნელ სადარბაზოდან...

ის ინვა... თვალეები აღეპყრო ცისკენ. მინდია ნაადგა. გახვედა იქვე. ბაგეებმთროლოარი ამბობდა ფსიქე:

„ვიხილე, გედებს ვით ხოცავდნენ ტბორებში, სისხლიან მორევში, ოდესღაც რომელშიც ნისლი-

ვით ცურავდნენ ქათქათა გედები... და ღამის კოშმარით შეშლილი დედები გლოვობდნენ

ქურისთვის განირულ ყმანვილებს, – მათ დათხრილ თვალეებს და მოკვეთილ ნაწილებს...“

საზორავ-დაბირთა ზვარაკ-შესანიერებს – უმანკო ქალწულთ და უბინო ყმანვილებს...

მონმე ვარ იმისა, სულდაგონჯებულნი ღორებს ვით უყრიდნენ ცრიალა აღმასებს,

თუ როგორ კლავდნენ და უგულოდ მარხავდნენ სისხლიან მითებს და

ლეგენდებს ლამაზებს... პოეტებს შეშლილებს, სამყაროდამსხვერუთ

და ბავშვებს – ჭკუიდან გადამცდარ ბელურათ ერთი და უძირო, ლეგა და ყვითელი,

ლეგა და ყვითელი ატეს ცა ეხურათ... არავის ახსოვდა სხივმოსილ ხარის და ღრუბელთა

ზარქაში და ოქროს წვიმები... და მისტერიებში ქაჯური წირვების

ვხედავდი აწრდილებს უმანკო წირების... ვხედავდი უმწეობას და ამაოებებს,

პოეტებს, ეშაფოტზე ამაველ პოეტებს!.. ვისმენდი მგლოვიარ სიმღერებს გედების და მათ-

თან კვებოდნენ მათი ლეგენდებიც – სიმღერა პირველი და უკანასკნელი, –

ლამაზი სიმღერა თოვლისფერ გედების... ცრემლები – მარგალიტნი წმიდა და ურიოშო და

შავი ასაბია – მგლოვარი დედები... თმავერცხლა დალალების ქარებში გაფენით,

ვუხმობდი თანატოსს, რომ ნება დაერთო, რომ ნება ებოძა კვლავ მზისკენ გაფრენის, საითაც უმანკო

სულეტი მიქრიან, მაგრამ დღეს დაცემულს არ მიღებს წარსული... დღეს ცასაც არ ახსოვს ფსიქეა ქალწული,

ფსიქეა – ცისა და სინათლის ასული!.. ფსიქეა, რომელიც აქ შემოეხეტა ობოროდ და ბუნდო-

ვან და მრუდე სარკიდან, რომელმაც სხეული ჭუჭყიან ზენარივით მიწას და ცას შუა ნისლივით გაჰკიდა

და... ჰიპერიონმაც ალტქმა აღასრულა – სიბილელ მხე-

ვალივით ადგა და დამსაჯა, დამსაჯა უმანკო, წესისებრ ამ ქაჯთა, რომ მერე შვილებს, – კერპთან მლოცვე-

ლების, – მეხილა სისხლი და მეხილა ცრემლები!.. ვისხენებ ახლა შემოილობას, ჰო, იმ დღისეულს, რო-

დესაც დედა მატერიას შევთხოვდი სხეულს, როცა სიმლეგით შეპყრობილი, შეშლილი ატე მიწვიდა ღმით

ავხორცულ სარტყელს და ჩემი სულის შროშანობა – ნაზი და ლურტყი მივეც სიგიჟის ღამეებს და ღამეებს ლუტის...

ჰო, იმ შერისხულ, წყეულ დღიდან ხორცქმნილი ვიქენ, ან ამ დილეგში გამოვკეტე უმანკო ფსიქე...

ახლა ხომ ხედავ, როგორი ვარ? ხომ ხედავ, ვინ ვარ?!

არავის ესმის განწირული ფსიქეას გმინვა. დაცემული და ნაბილწული მყრალი განავლით მეც

შევეურთდი ყველა „არავინს“... გავხდი „არავინს“

ასე ვირჩიე ყოფა ესე შესაზარავი!.. სარეცელს ჩემსას გამოთანგულს ვნებათა შართით


ტოვებდნენ დილით ამქისებულს თესლით და შარდით... მეც დანდობილად მივაშურე ავგიას ბოსელს, ავ-

ხორც მყასბეთ, მექულაბაქეთ, როსკიპებს, ბოზებს, ყოველი ჯურის კომპარაიკოსებს!..

მეც მათი წილი ვინილადე, მათებრი გავხდი... გავიზიარე მათეული ტანჯვის ალაგი, გოდების სკამი და

ლეთას ტახტი...“ და იქ, იმ ყრუ და ბნელ სადარბაზოში კვებოდა ფსიქეა ლამაზი მითივით და მუხლზე დაცემულ ხოგა-

ის მინდიას აღმობდა ჩუმი და უმწეო ქვითინი.



ალექსი ბაბულაია

ჰო, იგი დასტიროდა დაცემულ ფსიქეას, ფსიქეას – გათელილ შროშანს, სამყაროს – სივრცეებმომშლილს, უფსკრულში ჩადგიფულ დრო-ჟამს... და ასე მიმართავდა მინდია ფსიქეს – ქალწულს სიფრიფანა ფრთოსანს:

„ო, შობა შენი – სამყაროთა დღესასწაული! ო, შენი სულთქმა – სიხარული გენიუსების!..“

სინმარის ქვაბი, – სუნთქვა დედა მატერიისა, რასაც უმანკო, უსხეულო, თრთოლით უსმენდი, – ქვე დაუშობიათ...

გალატაკა ქვეყნიერება და გადახუნდა მეცხრე ზეცის მშვენიერებაც. გახუნდა მისი სურათები გაუსახურდა, სამყაროც უმალ დამუნჯდა და უცებ დაყრუვდა...

არც ძახილი და აღარც შესმენა!.. ფლუიდურობამ შეგაშფოთა და შეგაძრწუნა, გაცთუნა მინამ, ნექტარმა და ხორცმა გაცთუნა,

ჯადოქმნილი და მონუსხული მრუდე სარკეთი, უსხეულობის სასონარკვეთით

მიენდე ჩრდილებს ფრია პეპლოსთა, ცოდვილ მინაზე ჩამორეკილ ამ ანგელოზთა იქცე

მსახურად... ყოველივე გაუსახურდა და სამყარომაც კარი დახურა...

გუშინ პირველქმნილ და ღვთაებრივ შუქს თუ გვაფენდა, დღეს უცნაურად მიიხრწნა და უცებ დაბერდა...

აჰა, ან დღენი გლოვის ფერმა, თალხმა მონისლა და გარდაქარდნენ დღენი იგი ჰალკიონისა;

ან არ გაისმის ბარბითის და ხმები წინწილის. დადუმებულან დოლაბებიც უფლის წისქვილის...

აბუეტ ბედს და ბედისწერას ვერვინ ნაუვა, უბედურებას გადაგვიცევს დღესასწაულად...

ჰო, მაპატიე, ვერ გაგიხდი გენია-მცველი და ბნელ მინაზე ვერ დავიცავ შენი რაობა...

დღეს კი ეს ჩუმი სინანული, ტკივილი, ცრემლი არარაობად, მიჩანს მხოლოდ არარაობად!..

ახლა კი ვხედავ, ბოლო ჩემი ესე არს, რაც არს. ყოველი ცეცხლი ტოვებს ოდენ ღველფსა და ნაცარს...

მინად ხარ – მინა არ გდებულობს ცით გარდამოსულს, არ გაგხსნება განგებისგან

კარიბჭე არც ცის... შლეგია იგი, ვინაც ძველი ტაძრის ნაშალით ფიქრობს აგებას ხელახალ ტაძრის...“

ჩამწურებული სადარბაზო. ლანდების რინდი... ჰგოდებდა დამხედ დამხობილი ხოგაის მინდი:

„ო, ეს ტაძარი, ტემენოსი – სიმშვიდის უბე, სადაც ვგალობდი და შენს ბედზე შევთხოვდი უფალს, უფალს – ყველგან და ყველაფერში

და არსად მსუფევს... მაგრამ ძილქუში დამეცა და ჭოჭოქმა მძლია –

ველარ ვიფხილე, ძვირფასო, ველარ, ველარ ვიფხილე და დავილუპეთ!..“

ყანჩამაც იცის ცაში მისი სივრცე და ჟამი, გვრიტმაც, მერცხალმაც, თეთრმა წერომ – თავისი

ბუდე, მაგრამ სულს ჩვენსას – უფლის ტაძრის კარის გასაღებს, – ველარ გამართავ, თუ გაიმრუდებ, ვერ დავიანებ ალაგს წმიდას, საიასა-

ღეს...“ ჩამოჟამული სადარბაზო... ლანდების რინდი...

ჰგოდებდა დამხედ დამხობილი ხოგაის მინდი... ცას ალიონის შელეკოდა სინგურისფერი.

ავრორას მხრებზე წამოესხა ბინდი-ქლამინდი და სამყაროთა აღსასრულზე გლოვობდა მინდი... ■



- როგორც კი გული სევდით ევსება, შოთას აფორიზმს ამბობს რიხიანს, ცდილობს ცხოვრებას ვაჟას წესებით, როგორ გამოსდის, სხვა საკითხია...

მუდამ მომავლის იმედით სავსე, სამშობლო ჩვენი – ლექსთა საუფლო, გინდა ისე თქვი და გინდა ასე, გალაკტიონის ენით საუბრობს.

- გარდაიცვალა კაცი და ცოლმა დატოვა შვილი... სხვისას წავიდა... არ აკარებდა ცივ ნიავს ძმისშვილს, ბავშვს ხელის გულზე ზრდიდა მამიდა.

ვერ მეგობრობდა ბიჭუნა სხვებთან, უცქერდა იმათ თამაშს ეზოდან. ზოგიერთს ჭკუა იმდენი ჰქონდა, ბავშვს ასეთ რამეს ეკითხებოდა:

დედა გიყვარს თუ მამიდა უფრო? თან აფიცებდნენ სიმართლე სთქვიო; და პასუხობდა ბიჭი თავდახრით: მამიდა! დედას გეფიცებო!

**ფიროსმანი**

ალბათ, უბნებს აჭრელებულს ქალაქური ამბებით, ახსოვს ჩემი მოხატული დუქნები და აბრები. ხან უბრალო ტილოს ვრთავდი ჩემეული ფერებით. და ვხატავდი სიყვარულით, მაგრამ სვენებ-სვენებით. ვხატავდი და ნიჭს მიქებდნენ ქამრიანი ბიჭები, ვხატავდი და მარჯვენა ხელს მარცხენათი ვიჭერდი, ვხატავდი და მუდამ შეშლილ დროსთან მსურდა მედავა, ის კი ისევ გარბოდა და უკანმოუხედავად მიჰყვებოდნენ ფატიონებს თბილისური დღეები და ქვითინით აცილებდნენ ძველი მეზურნეები. მაგრამ, გულო, ყველა დროსთან დავრჩით ცამდე მართლები და ღამეებს მიტოვებულ სარდაფში რომ ვათევდით, გახსოვს? ბნელში ფუნჯს მივწვდი და ბედმა სწორედ იმავ დროს მკრა ხელები და ფიცრების სასთუმალზე მიმაგდო.

თავს ამაოდ ვუმტკიცებდი, რომ სიცოცხლე მიყვარდა, ერთი ჭიქა ღვინო მსურდა, ერთად-ერთი ჭიქა და არც არავის ესმოდა და არც უკვირდა გონებას, მარტო ვიყავ, მარტოობა იყო ჩემი ცხოვრება. ბოლოს ვილაც ნაცნობი ხმით მამშვიდებდა შორიდან, ეს სიკვდილის ხმა ყოფილა, ჰოდა, ისიც მოვიდა. ვწევარ ახლა შავ მიწაში, ტანს ვასვენებ სისხლიანს, მერე რა, რომ დღემდე ჩემი საფლავი არ იციან, არ მადარდებს წლების აზრი, სხვა მიზნებით გართული, მთავარია, მკერდზე მიწა რომ მაყრია – ქართული.

- ნერვიულად ვიმტვრევ თითებს, გულს სიმშვიდე აღარ უნდა, გამარჯობა უკვე იმდენ ნაცნობს გაუხელოვნურდა.

რა ხანია უკვე ხანი კაცის ნუხილს აღარ უსმენს... ისევ თვალბდარდიანი ხალხი დაჰყავს ავტობუსებს.

რა გააღლობს ამდენ ცინიზმს?! ვინ იტვირთებს ამდენ ცოდვებს?!

ხალხი ბჭობს და არ იცინის ის, ვინც უნდა იცინოდეს.

არაფერი ხდება თითქოს და გზად, კვლავ რომ წვება ბინდი, ერთი-ორი კაცი იყოს, რომ იცოდეს საით მიდის.

არც მე არ მაქვს რამე საქმე ახლა შენზე ფიქრის გარდა. შევიდოდა კაცი სადმე და ერთ ჭიქას გადაკრავდა.

**შავო მოცხარო**

შენ ვერ გაიგებ, შავო მოცხარო, ვის როგორ კანრავს სული ჯებირებს, ის არც კატა – ყურთან მოფხანო, აკრუტუნდეს და წამონებივრდეს.

იგი ყველასთვის ტკბილიც არ არის და ზოგჯერ სულსაც სული ელევა. ხანდახან ასდის სუნი სამარის, ხან გაზაფხულის აქვს სურნელება.

ახლა არ მიწვავს თვალებს ნაცარი და ამწვანებულ ველზე ნახარებს, გადაგანყდი და ძვლები გამშრალი შენს მკვახე ჩრდილქვეშ წამოვახვავე.

შენ თავზე ქარი ღრუბლებს მიდენის, თუ მზე სხივებად დაგეზოლება, სულ არ გაღელვებს, რომ ამ მინდვრების იქით იწყება სულ სხვა ცხოვრება.

იქ ვერ ეტევა ბევრი სამყოფელს და მათი ვნება ისე დიდია, არ ესმით, მაგრამ იმდენს ლაყობენ, რომ ენა ღამის ზურგზე ჰკიდათ.

შენ კი შრიალე შენ წილ მზიანად, სარგებლობ ქვეყნად ყოფნის უფლებით... სიმართლე რომ ვთქვა, მე შენ კი არა, უბრალოდ, ჩემ თავს ვესაუბრები.

თორემ შენ ნაყოფს კიდე დაისხამ და მარტოობით დალილს ესოდენ, არ გესმის, მაგრამ ჩუმად მაინც ხარ, ეს რამდენს ნიშნავს... ნეტავ, გესმოდეს...

**რა ახლოა...**

ისევ შევხვდით... გულში დათბა... ვდგავარ შენ წინ და ფეხს ვითრევ. არას ამბობ, ჭალარა თმას ისწორებ და იმტვრევ თითებს.

მე კი შენი ცქერით ვტკბები, მონატრება იცის წლებმა... გელიმება და ღანვები ძველებურად გინითლდება.

როგორ მიმიძიშს შენ წინ დგომა, დანანებით დახრა ფრთების. რა ახლოა შემოდგომა, დრო – სიმწვანის შეყვითლების.

- ვფიცავ სიცოცხლეს და შენ თავს ვფიცავ, მე რომ ვნატრობდი, ეს არის ის ცა... მზე წამოადგა თავზე ქვეყანას და ერთი მწარე სილაც კი სტკიცა.

ხან სულ მარტივო და ხანაც რთულო, ნეტა ვიცოდე, რას დარდობ, გულო, ღმერთმა ერთი დღე კიდე გვაჩუქა, რა გაქვს სათქმელი და სანუწუნო.



**ედუარდ უბლაკა**

**სურათი**

შემხვდა ალბომში სურათი ძველი, ჩვენ ვილიმებით წლების სიღრმეიდან. იმ დღეს პირველად ჩაკვიდე ხელი და მენატრები დღემდე იმ დღიდან.

იქვე, შენ გვერდით, ხე რომ ჩანს თუთის, ახლაც შრიალეებს ის ხე უწვებდა. რას არ დავთმობდი, იმ ერთი წუთის სულ ერთი წუთით დასაბრუნებლად.

იყო სიცოცხლე... ვიყავით ერთად და იმდენი რამ გვქონდა საერთო, მე არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, ანდა თუ უნდა მეთქვა საერთოდ.

დღემდე ვიგონებ იმ ღიმილს სათნოს, რა დამავიწყებს ძველ მისამართებს. ხომ არის რაღაც, რასაც ვერ დათმობ და დრო ვერასდროს რომ ვერ წაგართმევს.

ახლა კი ჭიქას კვლავ არყით ვივსებ, თითქოს ვიყუჩებ გახსნილ იარებს და ვაკვირდები საათის ისრებს, ბოლო დროს როგორ ჩქარა ტრიალებს.

**ნიმუ**

მზე აღარ დაეძებს სოფლებს და ქალაქებს... აცივდა. სიცისფრე დასცვივდა ცის ფერს... წვიმს. ნინო თაროზე ძველ წიგნებს ალაგებს და ჩემთან ცხოვრების ერთ დღესაც ითმენს.

ის წასვლას ყოველდღე აპირებს სახლიდან, თუმცა თმა სავსე აქვს ბაჯალლო ვერცხლით. ნინო რომ ცხოვრებას იწყებდეს ახლიდან, კვლავ ჩემთან იცხოვრებს, არაფერს შეცვლის.

**ბოლო დროს**

მამაციც თმობს და ლაჩარიც ბედავს, თავის ნაკლი აქვს ასლსა და დედანს, დღე კარგად ხედავს და ცუდად ესმის, ღამეს კი ესმის და ცუდად ხედავს.

ათასი კითხვა ფეხდაფეხ დამდევს, ვერ ავუდივარ ფიქრებს და ღანდებს, თან ისეთ რამეს ვისმენ და ვხედავ, კვლავ გულს ვუჯერებ – რა უნდა მწამდეს.

მხოლოდღა ჟინი ბალახში წოლის ყოველგვარ სურვილს მიფრთხობს და წონის და თუ არ ვიცი, სად გადის ზღვარი ირეალურს და რეალურს შორის,

იმდენი რამე დამიჯდა ძვირად, ყოველდღე ვეძებ საწოლს და ბინას და რომ ვეგონო ბედს მუდამ ფხიზლად ბოლო დროს მაინც თვალღია მძინავს.

►► მუ-15 გვერდიდან

ბი ეზოში გამოეფინებოდნენ, ორი კაცი შეკამათდა, ერთი ადგილობრივი იყო, ხოლო მეორე სკოლის დარაჯი, ეროვნებით რუსი, ვილაც წყალნაღებული კაცი და ყურადღების ღირსიც არ ჩანდა, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა თანდათან დიდობდა.

– Когда русские за родину кровь проливали, вы напролёт кутили и наживались, а Сталин вас прикрывал и за это всех вас подряд надо расстреливать!.. – ხმას აუწია დარაჯმა.

გერამ იქვე მყოფთ ჰკითხა, რას დიდგულობს ეს კაციო. როცა უთარგმნეს, ადგილიდან წამოიჭრა.

– ვინ მოგახსენა, ამ ომში ყოველი მესამე ქართველი მონაწილეობდა და მათი ნახევარი შინ არ დაბრუნებულა! – შეეპასუხა.

– ეს სულ სტალინის შტუკები იყო... ერთი დამისახველ დიხაზურგელი ვინ იბრუნოდა! – პირზე დაადგა დარაჯი.

– ბევრი. მე თვითონ ნახევარი დედამინა ბრძოლით შემოვიარე!..

– Да ну, не смеши, შენზე ტყვეს, დე-ხერტირობისთვის კალიმა ახეხინესო!

– ტყვეობის გამო, – შეუსწორა გერამ.

– Тем более! პლენად ჩავარდნას გიჯობდა ტავი მოგეკლა და საბრძოლა სალდატის სახელი არ შეგერცხვინა!

– თავის მოკვლა გამოსავალი არაა, ბანაკიდან გავიქეცი და პარტიზანებს შევეურთდი, იტალიის განთავისუფლებისთვის ვიბრძოდი...

– მერე სადაა შენი ნაგრადები?! – ნიშნისმოგებით შეუბღვირა დარაჯმა.

გერა დაიბნა, მაგრამ გონს მალე მოეგო.

– რომელი კომისარი შენ მყავხარ, რომ... ეგლა მაკლია, ახლა ორდენები წარმოგიდგინო! – მიუგო გაცეცხლებულმა.

– რაც არ გაკვს, რა უნდა მიჩვენო? მკვებარა და მატხუარა სუკა ხარ და მეტი არაფერი! – შემოუტია დარაჯმა.

– ვინაა მკვებარა და მატხუარა... შე უჯიშო, შენა! – დაიბრღვინა გერამ, ვეფხვის ნახტომით მოცელა და მუშტები დაუშინა დარაჯს.

სკოლის ეზოში თავშეყრილი ხალხი აიშალა და მიესია გერას, დარაჯის მოსახვედრი მუშტი მრავლად მოხვდათ თვითონაც, ზოგს სახე ჰქონდა დალილავებული, ზოგს თავი გახეთქილი, მაგრამ ცდა არ დაუკლიათ და ცოცხალმკვდარი დარაჯი ძლივს გააგდებინეს ხელიდან.

მთელ სოფელს მაშინვე მოედო ხმა ჩხუბის შესახებ და ადამიანები ერთ აზრამდე მივიდნენ, დარაჯი უჩივლებს და

ნახავთ, ციხეში თუ არ ამოაყოფინოს თავიო. მათდა გასაკვირად, დარაჯს არამცთუ არ უჩივლია, იმ დღიდან უგზოუკვლოდ გადაიკარგა და სოფელმაც მისი არსებობა თანდათან დაივიწყა, გერას ელვისებური ნახტომი და მუშტების ტრიალი კი მწარედ დაამახსოვრდა და ვინაც მასზე უსაფუძვლოდ ოხუნჯობდა-ხოლმე, ამიერიდან ცდილობდა თავი შეეკავებინა და მორიდებოდა...

\*\*\*

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ გერამ ოცდაათი წელი იცოცხლა. ზაფხულის პაპანაქებისას, თავისივე დარგული მაგნოლიის ჩრდილში სახეზე ღიმილმეყინული იპოვა შვილიშვილმა.

დაკრძალვაზე მხოლოდ კარის მეზობლებმა და ნათესავებმა მოიყარეს თავი, ქელეხის სუფრა სანახევროდ ძლივს შეიგსო.

წლისთავი არც იყო გასული, რომ ერთ საღამოს, გერას სახლ-კარს „პობედა“ მიადგა. მძლოლი და რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილე ეზოში ხანდაზმულ უცხოელ ქალბატონსა და ორ ახალგაზრდას შემოუძღვნენ. ერთი თარჯიმანი აღმოჩნდა, მეორე კი იტალიის მთისპირა პატარა ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

კომისრის მოადგილემ გერას ქვრივს გააცნო უცხოელი ქალბატონი. მეორე მსოფლიო ომში იტალიის წინააღმდეგობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, წლების მანძილზე თანამებრძოლები ეძებდნენ გერას და მათი ანდერძის აღსრულება ამ ქალბატონს მოუწიაო, განუმარტა.

უცხოელმა ქალბატონმა, როგორც კი ზალაში ფეხი შედგა და კედელზე გერას სურათი დაინახა, თვალები ცრემლით ავესო და იტალიურად მოჰყვა გაბმულ ლაპარაკს თუ მოთქმას.

– კი, ნამდვილად გერაა, რა ლამაზი ახალგაზრდა იყო, როგორი თავდადებული მებრძოლი, რამდენი წელია ვეძებო, მისმა ოჯახმა და ხალხმა უნდა იცოდეს, როგორი გმირი იყო, ჩვენ ვამაყობთ მისით... – თარგმნიდა მისი მხლებელი.

მოხუცი ქალბატონი გერაზე საუბრობდა დაუსრულებლად. გერას ოჯახის წევრები და უცხოელთა გამოჩენის გამო თავშეყრილი მეზობლები კი მდუმარედ მისჩერებოდნენ ამ ენად გაკრეფილ იტალიელს, რომელმაც ბოლოს რაღაცა იკითხა და დადუმდა.

– სინიორას აინტერესებს, სად არის სიგელი, სადაც ჩამოთვლილია ბატონი გერას დამსახურებები იტალიელი ხალ-

ხისა და ქვეყნის წინაშე, – თარგმნა ქალბატონის მხლებელმა.

– ასეთი სიგელის არსებობა პირველად მესმის! – გაიკვირა გერას ქვრივმა.

– ნუთუ დაკარგა! – თარგმნა იტალიელი ქალბატონის შეცხადება თარჯიმანმა.

გერას ქვრივი ზალიდან გავიდა, რამდენიმე ხანში გაცრეცილი მუყაოს მომცრო ჩემოდანი შემოიტანა, გახსნა, ქალაქში გამოკრული გახუნებული ფურცლები ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო.

იტალიელი ქალბატონი ქალაქის ფურცლას მოჰყვა, საბუთების ამ გროვიდან ოთხად გადაკეცილი ყავისფერი ფურცელი ამოაძვინა და გაშალა. ერთხანს გაოგნებული სახით დაჰყურებდა ფურცელს, მერე თარჯიმანს რაღაცა გადაულაპარაკა, რომელმაც ხმამაღლა წაიკითხა ფრაზა „Высадить в Гали“, მხრები აიჩეჩა და გერას ოჯახის წევრებს გახედა, მაგრამ იმათ თვალი მოარიდეს.

იტალიელ ქალბატონს მუყაოს ქალაქზე დაწერილი ფრაზა რომ უთარგმნეს, ხელების მკვეთრი მოძრაობითა და ტრაგიკული ხმით რაღაცის მტკიცებას მოჰყვა.

– ის ამბობს, სწორედ ამნაირ ქალაქზე იყო სიგელი შედგენილი და მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი არ ემთხვევა, დარწმუნებულია, ქალაქი იგივეა.

ზალაში მყოფი იტალიელი ქალბატონის აკანკალებულ ხელებსა და მაგიდაზე გაშლილ ქალაქზე დაწერილ ნაოჭებით დასერილ, ცრემლიან სახეს თანაგრძნობით შეჰყურებდნენ და დუმდნენ.

მათი დუმილი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგიდას გერას შვიდობდე წლის შვილიშვილი, ქერათმიანი, თვალგამჭრიახი ბიჭუნა რომ არ მიახლოვებოდა. მან ქალაქს დახედა, გადააბრუნა, მერე ნათურის შუქზე გახედა, გადანაკეცზე თხელი ნაწიბური იპოვა, შარვის ჯიბეში მარჯვენა ჩაიყო, პანია ჯაყვა ამოიღო, მისი წვერი ნაწიბურს ფრთხილად უმარჯვა, ფურცელი გაშალა და უცხო ნაწერი მოხუც ქალბატონს მიანოდა.

– Oddio, eccolo, fantastiko! (ღმერთო, აი, ისიც, ფანტასტიკურია!) (იტალ.) – სიხარულით შესძახა მან როგორც კი ნაწერს დახედა, ბიჭი გულში ჩაიკრა, თვალბინი ამოუკოცა, – Viva l'Italia, Georgia, Gera! – (გაუმარჯოს იტალიას, საქართველოს, გერას!) აღტაცებით დაამატა და ფურცელი შემართა, რომელზეც შუაში უცხო ქვეყნის გერბი იყო გამოსახული, ოდნავ ქვემოთ კი ლათინური ასოებით გამოყვანილი ტექსტი და ხელრთვები ჩანდა.

სახეგაბრწყინებული ქალბატონი რა-

ღაცას უხსნიდა მთარგმნელს.

– ეს სწორედ ის, იტალიური წინააღმდეგობის მეთაურთა მიერ შედგენილი და ხელმოწერილი საბუთია, ზედ ამ ქალბატონის ხელმოწერაცაა, – ზალაში მყოფთ ამცნო მთარგმნელმა.

იტალიელი ქალბატონი ხმამაღლა შეუდგა ტექსტის კითხვას.

ოთახში მყოფი თარჯიმანს გაფაციცებით უხმენდნენ. როგორც კი ტექსტის თარგმნა ჩაათავა, ზოგს სიხარულის ყიყინა აღმოხდა, ზოგმაც ტაში შემოჰკრა..

ნათოს არც ხმა დასცდენია და არც ტაში დაუკრავს. ხმაურით ისარგებლა, ოთახიდან გავიდა, სამზადის წინ ჯირკზე დაჯდა, თმა გაიშალა და თითქოს ქმრის გარდაცვალება იმნუთას შეეცყო, შეიცხადა და ხმამაღალი მოთქმით დაიტრია.

მეორე დღეს დიხაზურგელების გარდა რაიონის ცენტრიდან ზღვა ხალხი მიანყდა სოფლის სასაფლაოს. ყვავილებით მოფინეს გერას საფლავი. სასულე ორკესტრი საბრძოლო მარშებს უკრავდა, მოსწავლეებმა წაიკითხეს ბრძოლებში დაღუპულ მეომართათვის მიძღვნილი ლექსები, იმღერეს კიდევ, გამომსვლელი იხსენებდნენ გერას და გასაოცარ თვისებებს მიანერდნენ. ცერემონიის ბოლოს კი სამხედროების ათეულმა ცეცხლსასროლი იარაღის ჯვრით ცა და მიწა შეაზანზარა.

სასაფლაოზე მყოფთაგან თითქმის არავინ დარჩა ისეთი, ვისაც აზრი არ გამოეხატა გერას გმირული წარსულის შესახებ.

ერთადერთი გერას ქვრივი იდგა უცხოთაგანთ ამ აღტყინებული ხალხის მასაში, გაორებული გრძობით უსმენდა სიტყვაზე გამომსვლელს და ვერაფრით უმკლავდებოდა დარდს სოფლისა და ქვეყნის მიერ დაუმსახურებლად უარყოფილი და წლების განმავლობაში განდევნილი დედმამრებსა და ნათესავებს ქმრის გამო. ზოგჯერ ვერც იჯერებდა, რომ ყველაფერი, რაც წინა საღამოს და იმ დღეს მოისმინა და განიცადა, სინამდვილე იყო, მაგრამ როგორც კი შორიხლოს მდგომ იტალიელ ქალბატონს, საფლავის ქვაზე გაშლილ მუყაოს ფურცელს, მასზე გამოყვანილ უცხო ტექსტს და ორ ორდენს (იტალიელი ქალბატონის ჩამოტანილ ჯილდოებს) თვალს შეავლებდა, ეჭვი უქარწყლდებოდა. ეს იყო, გალის რკინიგზის სადგურის ბაქანზე, მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმის მწველი განცდისგან გაოგნებული გერა ედგა გამუდმებით თვალწინ მკერდზე მიკრული წარწერით: „Высадить в Гали!“.

\*\*\*

„მთავრობის პოლიტიკა შინ გვასუსტებს, გვაკარგვინებს ტერიტორიას. ადმინისტრაცია ვერ დგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე, იგი პარტიული ანგარიშის გამსწორებელი უფროა, ვიდრე სახელმწიფოს ცხოვრების აგენტი.“

ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება ისეთი წესით მიდის, რომ შეუძლებელია კატასტროფამდე არ ჩავალწიოთ. ბევრი რამ უთავბოლოდ დაიკარგა... ვალით ცხოვრობს მთელი სახელმწიფო. მრეწველობის საკითხი კიდევ უფრო უნუგეშოა.“

კაცი იფიქრებს, რომ საქმე ჩვენს დუხჭირ დღევანდლობას ეხება, ამ დროს ამონარიდი მოყვანილია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის სპირიდონ კედიას სიტყვიდან, რომელიც მან 1919 წელს დამფუძნებელი კრების მეხუთე თავყრილობაზე წარმოთქვა. მას მერე თითქმის საუკუნეა გასული, მაგრამ ქართველებს ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა, არადა, „გონების სიჩლუნგესაც აქვს საზღვარი, რომლის გადალახვა არაფრით არ შეიძლება“ (პ. ბოლი).

\*\*\*

„ლიტერატურულ საქართველოში“ ნაეკითხე ბატონ ვიქტორ რცხილაძის ფრიად საინტერესო წერილი „რა სარგე-

# ისპორობის პარადოქსები

ბელი აქვს ჩვენთვის პარადოქსის არსებობას?“.

მაშინვე გამახსენდა ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“. მომაქვს ამონარიდი ამ უკვდავი წიგნიდან:

„რატომ ხდება, რომ ყველა ცდილობს თემთა პალატის დეპუტატად მოხვედრას, თუ რაიმე სარგებლობას არ მოეღოს ან ხელფასის ანდა სხვა რაიმე ფულადი ანაზღაურების სახით? თემთა პალატის დეპუტატობის ამ გულით მოსურნეებს ხომ არა აქვთ იმედი თავიანთი ტანჯვა-წვალები და ხარჯები ანაზღაურონ სუსტი და ცოდვილი მეფისა და გათახსირებული მინისტრების ჟინის ხელშეწყობისა და ამისათვის ხალხის ინტერესების მსხვერპლად შეწირვის გზით.“

„მე მოვისურვე ერთ დარბაზში შეკრებილიყო რომის სენატი, ხოლო მის პირისპირ, მეორეში, თანამედროვე პარლამენტი. პირველი გმირებისა და ნახევრადმეგრების კრებულად მეჩვენა, ხოლო მეორე მენვრილიმანების, ავაზაკებისა და ჩხუბისთავების ხროვად.“

რადგან „გულივერის მოგზაურობა“ ვახსენე, თავს ნებას მივცემ და სამ ამონარიდსაც შემოგთავაზებთ:

„მეფის ტახტზე გათახსირებული კაცის გარდა, სხვა ვერაფერ გაძლებს, რადგან დადებითობა, გაბედულება და პირდაპირობა, რასაც ადამიანს სათნოება ანიჭებს, სახელმწიფო საქმეების გამგებლისთვის მხოლოდ მუდმივი დაბრკოლება შეიძლება იყოს.“

...იქნებ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებისა – დაეტოვებინა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა...

„ჩვენი მოსახლეობის აშკარა უმრავლესობა იძულებულია გამუდმებით იშრომოს და გასამრჯელოდ მათხოვრული თანხა მიიღოს, რათა მათი შრომის ნაყოფით თითო-ოროლა არამზადამ ფუფუნებით იცხოვროს.“

„ძლიერნი ამა ქვეყნისანი მკაცრად ადვენებენ თვალ-ყურს პრესას და ისინი მზად არიან არა მარტო თავისებური კუდი გამოაბან ყველაფერს, არამედ პასუხისგებაშიც მისცენ ავტორი.“

შევახსენებთ, რომ „გულივერის მოგზაურობა“ სვიფტმა 1726 წელს გამოაქვეყნა.

თითქმის სამი საუკუნე გავიდა და ჩვენთან ყველაფერი ძველებურად არის.

## მიხილ გვირდნითილი

მარტო ოცნების იმედად ყოფნა არას გვარგებს, გავისხენოთ ბორხესის სიტყვები – „დრო არ ალადგენს იმას, რასაც ჩვენ ვკარგავთ“. აქტიური მოქმედებაა საჭირო!

\*\*\*

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში ჩარლზ ჩაპლინი წერდა:

„პოლიტიკური პერსპექტივები საკმაოდ ცინიკური იყო. ოთხი მილიონი უმუშევარი ჰყავდა ინგლისს და ეს რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ხოლო ლეიბორისტული პარტია იმაზე მეტს თითქმის ვერაფერს სთავაზობდა ხალხს, რასაც კონსერვატორები სთავაზობდნენ.“

მართალია, უმუშევართა რაოდენობით მაშინდელი ინგლისი მნიშვნელოვნად გვისწრებს, სამაგიეროდ, პარტიების რიცხვის მიხედვით საქართველოს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. ერთია მხოლოდ:

„ერთი პარტია მეორეს ყიდის და საბოლოოდ, ყველანი სამშობლოს ყიდიან. სამშობლოს ღალატი პატრიოტიზმის თავისებური ნაირსახეობაა. ოღონდ ხელი მოითბონ“ (რემარკი).

„ლოლიტამ“ ნაბოკოვს სიმდიდრე და სახელი მოუტანა, მაგრამ სკანდალმა, რომელიც მის გამოჩენას მოჰყვა, რომანი გაუგებრობის ბურუსში გაახვიდა, რაც ჯერაც არ გაფანტულა. დღეს, როცა მშვენიერი პატარა ნიმიფა ორმოცი წლის ხდება, დროა ყველას გასაგონად ითქვას, რომ მას უფლება აქვს ჰქონდეს ჩვენი დროის ყველაზე დახვეწილ და რთულ ლიტერატურულ ქმნილებათა შორის დამკვიდრების პრეტენზია, ისე, რომ ამავე დროს სკანდალური წიგნის რეპუტაციაც შეინარჩუნოს.

მაგრამ, ის ფაქტი, რომ მისმა პირველმა მკითხველებმა მხოლოდ ეს უკანასკნელი დაინახეს და არა ის, რაც მის უმთავრეს ღირსებას წარმოადგენს და რაც დღეს ყველა ოდნავ გონებაგახსნილი მკითხველისთვის აშკარა, ფრიალ ყურადსაღები გახლავთ. ამით ერთხელ კიდევ იქნა დემონსტრირებული, რაოდენ ძნელად ლეზულობს სამართლიან შეფასებას ყოველივე ის, რაც ნოვატორულია.

შეგახსენებთ: ოთხმა ამერიკულმა გამომცემლობამ უარი თქვა „ლოლიტას“ ხელნაწერის მიღებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცა ნაბოკოვმა იგი პარიზის გამომცემლობა „ოლიმპია პრესს“, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოსცემდა წიგნებს და ცნობილი იყო მორალურ ნორმათა დარღვევის, უხამსი თხზულებების გამოცემის ბრალდების გამო სასამართლო გარჩევებითა და კონფისკაციებით. მის კატალოგებში იაფფასიანი პორნოგრაფიის გვერდით სრულიად აბსურდულად გამოიყურებოდა ისეთი ჭეშმარიტ ნიჭიერი მწერალთა წიგნები, როგორც ჰენრი მილერი, უილიამ ბეროლი და დონლივი. ნაბოკოვის „ლოლიტამ“ დღის სინათლე პირველად 1955 წელს იხილა, თუმცა ძალიან მალე, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იგი აკრძალულ იქნა. მაგრამ ამ დროის მანძილზე რომანმა მოასწრო და დიდი რაოდენობით გაიყიდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც გ. გრინმა, უწოდა რა წლის ყველაზე საუკეთესო წიგნი, ცხარე კამათის პროვოცირება მოახდინა. „ლოლიტა“ დიდხანს „დანყველილი რომანის“ მარაგანდებით იყო მოსილი, რასაც გარკვეული და არა საყოველთაოდ მიღებული აზრით, იმსახურებდა კიდევ. მხოლოდ 1958 წელს, როცა, როგორც იქნა, გამოჩნდა ამერიკული გამოცემა და მოკლე ხანში უამრავ ენაზე ითარგმნა, რომანმა ნამდვილად დააინტერესა საზოგადოება და მკითხველი წიგნი, რომ იტყვიან, მოშიებული იყო და ცხრა. ერთდროულად ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „ლოლიტა“, რომლის მიღმა სრულიად ახალი შინაარსი იგულისხმებოდა, რაც არაცნობიერად ემანსიპირებულ გოგონა-ქალს, რევოლუციის იმ უნებლიე სიმბოლოს ნიშნავდა, მთელი თანამედროვე ცხოვრების ნიშა და ყაიდას რომ შეეხო. გარკვეულწილად „ლოლიტა“ ამავე დროს სექსუალური ტოლერანტობის ეპოქის პირველი მერცხალი, ერთ-ერთი პირველი ბიძგის მიმცემია, რამაც თავის აპოგეას სამოციანი წლების შუახანებში მიაღწია. ეს იმ დროს, როცა ამერიკელი და დასავლეთეუროპელი ახალგაზრდობა გადაჭრით თავისუფლდება ყოველგვარი ტაბუსგან. „ნიმფულა“ (ვფიქრობ, ეს სიტყვა უკეთესად ჟღერს, ვინაიდან მასში ადგილი არა აქვს ავტორისეული ნეოლოგიზმის – „ნიმფუტკას“ – მანკიერსა და პროვოკაციულ აზროვნებას) არ არის ნაბოკოვის მოგონილი – განა არ არსებობდა ის უწინააღმდეგობა, გამხრნელთა სიზმრებსა თუ უმანკო გოგონების მთრთოლვარე ოცნებებში? მისი სინათლეზე გამოსვლა მორალისა და ზნეობის ევოლუციის მთელი ლოგიკით მზადდებოდა, რომანის დამსახურება კი ის არის, რომ მან გამოიყვანა იგი ბუნდოვანი აჩრდილის მდგომარეობიდან, მოხსნა ნევროზული აკრძალულობის ბორკილი, აღჭურვა მოქალაქეობის უფლებით.

ის ფაქტი, რომ სწორედ ნაბოკოვის რომანმა გამოიწვია ასეთი ხმაური, გავლენა მოახდინა მილიონობით ადამიანზე და თანამედროვე მითოლოგიის ნაწილად იქცა, უკვე გასაოცარია თავისთავად, ვინ

ნიდან ჩვენს საუკუნეში ძნელია იპოვო მერე მწერალი, საკუთარი შემოქმედების პოპულარობითა თუ სხვა საჭირობოტო საკითხებით მასზე ნაკლებ იყოს შეურეველი და რეალობის მიმართ ისეთივე გულცივი არ იყოს.

ვლადიმერ ვლადიმირის ძე ნაბოკოვი დაიბადა 1899 წელს სანკტ-პეტერბურგში, რუსულ არისტოკრატიულ ოჯახში. მამის მხრივ მის პაპას ეკავა იუსტიციის მინისტრის თანამდებობა ორი მეფის დროს, ხოლო მისი მამა ლიბერალი პოლიტიკოსი იყო და იგი მონარქისტებმა ბერლინში მოკლეს. ვლადიმერ ვლადიმირის ძეს მართლაც რომ დიდებული განათლება ჰქონდა მიღებული, იყო პოლიგლოტი,

ლა, რომლებიც ყოველ წიგნს ხელში იმ გამოწვევით იღებენ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა ოდესღაც კოქტოს მისამართით რომ ისროლა: „Eton-nez-moi!“ („აბა, გამაკვირვებ!“).

რომანში ყველაზე ხელმისაწვდომი შრე ჰუმბერტ ჰუმბერტის აღსარებაა. ეს აღსარება სასამართლოს იმ წევრებისადმი მიმართული, რომლებმაც მის მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმე უნდა განიხილონ. იგი ჰყვება, ბავშვობაში, როცა ჯერ ისევ ევროპაში ცხოვრობდა, როგორ იგრძნო ლტოლვა პატარა გოგონების მიმართ, როგორ გადაიზარდა შემდეგ ეს მოუთოკავ ვნებაში, რომლის დაოკების ობიექტსაც მხოლოდ ახალი ინგლისის

# „ლოლიტა“

ზრდიდა ორი ინგლისელი ძიძა, ჰყავდა შვეიცარიელი გუვერნანტი ქალი, ფრანგი აღმზრდელი და ჯერ კიდევ რევოლუციამდე სწავლობდა კემბრიჯში. მაგრამ მალე ოჯახმა რუსეთი დატოვა და გერმანიაში გადასახლდა.

ნაბოკოვმა ყველაზე თამამი წიგნი („უფერული ცეცხლი“) მხოლოდ 1962 წელს გამოსცა, თუმცა „ლოლიტას“ გამოცემამდე მან უკვე მოასწრო თავისი ნაწარმოებების უდიდესი ნაწილის პუბლიკაცია. მართალია, გამოცემული მასალა საკმაოდ მრავალრიცხოვანია – რომანები, ლექსები, პიესები, კრიტიკული ესეები, გოგოლის ბიოგრაფია, თარგმანები რუსულად და რუსულიდან – მაგრამ არც ისე გახმაურებული. თავიდან წერა რუსულად დაიწყო, მერე ფრანგულზე გადავიდა, შემდეგ კი ინგლისურზე. გერმანიის შემდეგ ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდა, მაგრამ საბოლოოდ ამერიკაში დასახლდა. მუშაობდა უნივერსიტეტში მასწავლებლად, ზაფხულის თვეებში კი მთელ დროს თავის უსაყვარლეს გატაცებას, უფრო სწორად, თავის მერე პროფესიას – ენტომოლოგიას, ზუსტად კი ქვეცლფორთიანთა შესწავლას ახმარდა.

„ლოლიტამდე“ დაწერილ ნაწარმოებებს უმეტესწილად „ლოლიტასავე“ დიდი წარმატების წყალობით მრავალრიცხოვან გამოცემლობებში ფართო გზა მიეცა. ეს იყო ჭეშმარიტად „ლიტერატურული“ ნაწარმოებები და ამ უკიდურესი „ლიტერატურულობის“ მიღწევა ნაბოკოვის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთმა – ხორხე ლუის ბორხესმა – შეძლო. „ლიტერატურულს“ მე ვუწოდებ წიგნებს, რომლებიც განსაკუთრებული სიტყვიერი და ინტელექტუალური დახვეწილობით აღინიშნება. ამ წიგნების რიცხვს განეკუთვნება, რა თქმა უნდა, „ლოლიტაც“, მაგრამ ამასთან ერთად მწერლის მთელი შემოქმედების კონტექსტში „ლოლიტა“ წარმოადგენს რაღაც სრულიად ახალს. ამ რომანში ნაბოკოვისთვის ჩვეული, მართლაც რომ ჯოჯოხეთურად ჩახლართული მხატვრული ხერხები შედარებით უბრალო, მაგრამ საოკრად მომხილველი ფაბულითაა შენობული. ეს არის ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აცდუნებს თორმეტი წლის გოგონას – დოლორეს გეისს, ლოს, ლოლიტას – მამინაცვალი, მისადმი ვნებით შეპყრობილი ორმოცი წლის შვეიცარიელი, ვინც ნაწარმოებში პირობითი სახელით – ჰუმბერტ ჰუმბერტით არის შესული.


ყოველი დიდი ნაწარმოები თავის თავში ანტაგონისტური წაკითხვის შესაძლებლობას ფარავს, ეს ის პანდორას ყუთია, სადაც თითოეული მკითხველი თავისთვის ნაირ-ნაირ აზრებს, ფერებს, თემასა და სიუჟეტებსაც კი აღმოაჩენს. ასეა „ლოლიტაც“. ერთი მხრივ, მან შეძლო მოეხილა ყველაზე ზერელე, ზედაპირული მკითხველი, ხოლო მერე მხრივ, იდეისა და ალუზიის უშრეტობისა თუ ფაქტურის სინატიფის გამო თვით ის ყველაზე განაფული ადამიანებიც კი დაიმორჩი-

ერთ პატარა მიყრუებულ ქალაქში – რამზდელში – მიაგნო. აქ ჰუმბერტ ჰუმბერტი ცოლად ირთავს შედარებით უზრუნველყოფილ ქვრივს – შარლოტა გეისს, თუმცა მოსვენებას არ აძლევს გულში ფარულად ჩამარხული მიზანი – დაუახლოვდეს ცოლის ჯერ ისევ მცირეწლოვან ქალიშვილს – ლოლიტას. ნადილის აღსრულებაში ჰუმბერტ ჰუმბერტს ეხმარება შემთხვევა, რომელიც ავტომობილთან არის დაკავშირებული – ავტოკატასტროფაში იღუპება მისი მეუღლე, რის შემდეგაც ობლად დარჩენილი გოგონა მთლიანად მისი მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდება. ამ უზნეო კავშირმა თითქმის ორ წელიწადს გასტანა. ამის შემდეგ ლოლიტა დრამატურგთან და კინოსცენარისტთან – ვინმე კლერ კუილტისთან – ერთად გარბის, მძიმე და ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ჰუმბერტ ჰუმბერტი მას პოულობს და კლავს კინოსცენარისტს, რის გამო სასამართლებს კიდევაც. და აი, სასამართლოს მოლოდინში ჰუმბერტ ჰუმბერტი იწყებს წერას იმისას, რასაც შემდეგ „ლოლიტას“ სახელი დაერქმევა.

თავის სათქმელს იგი სანახევროდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოსცემს, მკითხველს ყალბ კვალზე აყენებს, ლაპარაკობს ირონიულად, გზას ათასნაირად ხლართავს და ყოველივე ამას აკეთებს იხე, როგორც გამოცდილ მთხრობელს, ვინც იმ ხელოვნებას ფლობს, რასაც აუდიტორიის მუდმივ დაძაბულ ცნობის-მოყვარეობაში ყოლის ხელოვნება ჰქვია. მისი ამბავი სკანდალურია, მაგრამ ეს პორნოგრაფია არ არის, არ არის თითქმის არც ეროტიკა. ეროტიკულ სცენებს იგი პორნოგრაფიისთვის აუცილებლად დამახასიათებელი ტკობის გარეშე აღწერს. მისთვის უცხოა ჰედონიზმი – სიამოვნებას იგი თვით თხრობის პროცესითაც კი არ განიცდის. ჰუმბერტ ჰუმბერტი არც გარყვნილია, არც ავბორცი, არც აკვიატებული აზრით შეპყრობილი. მისი ამბავი სკანდალურია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი ამას თავად აღიქვამს ასე და შესაბამისადაც ჰყვება, უწოდებს რა თავის თავს „შემიღილსა“ და „ურჩხულს“ (ეს მისი სიტყვებია). სწორედ გმირის ეს თვითგვემა აძლევს განსაკუთრებულად ავადმყოფურ, ზნეობრივად მიუღებელ ხასიათს ამ ამბავს და არა მსხვერპლის ასაკი – გოგონა ხომ სულ რაღაც ერთი წლითაა შექსპირის ჯულიეტაზე უმცროსი. გმირის დანაშაულს აძლიერებს და მკითხველის თანაგრძობას უკარგავს კიდევ ერთი გარემოება: იგი უსიამოვნო, ქედმაღალი ადამიანის, დაუფარავი სიძულვილით ეკიდება არა მხოლოდ მის ირგვლივ მყოფ ყველა ქალსა და მამაკაცს, არამედ იმ ჯერ ისევ მოზარდ გოგონასაც, ვინც ცეცხლივით აგიზგიზებს მის წარმოსახვას.

დაიხ, რომანი სკანდალური იმის გამო კი არ არის, ვილაც პირქუში ტიპი პატარა ნიმფას რომ აცდუნებს, არამედ იმის გამო, რომ წიგნის ყველა პერსონაჟი სასაცილო თოჯინად არის წარმოსახული, ყველა აბურხად ადებულები და დამცირე-

## მარიო ვარბას ლიოსა



ბულია. ჰუმბერტ ჰუმბერტის მონოლოგი თავიდან ბოლომდე საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა თუ პროფესიული და სხვა სახის საქმიანობის ბოროტი დაცინვა – დანყვეული ფსიქოანალიზით (რომელიც ნაბოკოვისთვის იგივე იყო, რაც ხარისთვის აფრიალებული ნითელი ნაჭერი), დამთავრებული ოჯახითა და ბავშვის აღზრდით. გმირის გესლიანი კალმის ქვეშ ყველა, ვინც კი მის ირგვლივაა, სულელად, პათივმოყვარედ, სასაცილოდ, უხამსად და მოსაწყენ ადამიანად გამოიყურება. არაერთხელ ითქვა – რომანი შეიცავს ამერიკელი საშუალო კლასის დაუნდობელ კრიტიკას, წარმოადგენს სატირას უგემოვნო მოტელეების, ცხოვრების პრიმიტიული ყაიდისა და ამერიკელების ზნეობრივ ფასეულობათა არამდგრადობის შესახებ. ეს არის მხატვრული განაჩენი იმისა, რაც ჰენრი მილერმა „კომფორტაბელურ კომარად“ მონათლა. თავის მხრივ პროფესორი ჰენრი ლევინი განმარტავს, რომ „ლოლიტა“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც მეტაფორა – მასში ასახულია იმ ევროპელის გრძნობები, რომელიც თავიდან მხურვალე სიყვარულით იმსჭვალება ამერიკის შერეობულ შტატების მიმართ, შემდეგ კი, აცნობიერებს რა ამ ქვეყნის უმნიშვნობას, გული უტყდება და იმედი უცრუდება. მაგრამ ვეჭვობ, რომ ნაბოკოს ამ ამბის შეთხზვისას მასში რაიმე სიმბოლური აზრი ჩადო. ჩემი შეხედულებით, ნაბოკოვი, ისევე, როგორც ბორხესი, სკეპტიკოსი იყო, ვისაც სძულს, ვინც არაფრად აგდებს ცხოვრებასა და იმას, რაც ახლავს. ორივე მწერალი – გონებაჭყრეტით აზრთა წყობის სამალავში, წმინდა გამოწვინის მიხედვით შექმნილ წიგნებსა თანამედროვეულნი, ერთსაც და მეორესაც ირონიით აღიქვამს. ქვეყნიერებისგან განრინებულთ, გონების იმ სასწაულებრივი თავშესაქცევების გამო განდგომილთ თავი იქ ამოიქოლეს, სადაც რეალობა სიტყვის ლაბირინთსა და მოციალე სხივებში იკარგება. და ამ ორმა მწერალმა, ვინც ასე ძალიან ჰგავს ერთმანეთს კულტურის აღქმის მანერითა თუ სამწერლო ხელობისადმი თავისი დამოკიდებულებით, შექმნა ღირსშესანიშნავი თხზულებები, რომლებიც არამც და არამც არსებულის კრიტიკა კი არა, ცხოვრებაზე ხორცის ჩამოცილების, აბსტრაქციის ნათელ მირაჟებში სიცოცხლის გაბნევის საშუალებაა.

ესაა „ლოლიტაც“ – რეალობის დახვეწილი, ბაროკული შეცვლა.

მაგრამ ამგვარს ის დაინახავს, ვინც არ გაიხლართება სიუჟეტის სარჩულში, ვინც შეაფასებს რომანის საიდუმლო სიღრმეებს, შეეცდება მისი გამოცანების ამოხსნას, ჩასწვდება ალუზიის დედაარსს, გაარჩევს ერთმანეთისგან პაროდიასა და დაცინვას. რომანი ხელთათმანს ისერის, მკითხველს კი შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს ეს გამოწვევა – მას ხომ წმინდა ფაბულური აღქმაც უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებს... მაგრამ, თუ გარისკავს

►► დასასრული 30-20 გვ.

და სხვაგვარად წაიკითხავს „ლოლიტას“, აღმოაჩენს, რომ ეს ლიტერატურული მიწის ნაკვეთი და ლინგვისტური ფოკუსების უძირო ჭაა. და რომ სწორედ ეს არის რომანის მჭიდრო საკარკასო ბადურა და რომ შეიძლება სწორედ მასში იყოს ის ნამდვილი ამბავი, რისი მოყოლაც ნაბოკოვს სურს, ამბავი, არანაკლებ რთული, ვიდრე ის, რაც მისსავე რომანს – „ლუი-ნის დაცვა“ უდევს საფუძვლად, სადაც ნანარობების გმირი, შემოქმედებული მოჭადრაკე, დაცვის ახალ სისტემას იგონებს; ან ვიდრე „უფერულ ცეცხლში“ მოთხრობილი ამბავია, სადაც მხატვრული ტექსტი პოემის კომენტარებს იმიტირებს, ხოლო დამოუკიდებელი ფაბულა მხოლოდ მთხრობელის წიაღსვლებში იხსნება.

„ლოლიტას“ საიდუმლო განძთა ძიებამ მრავალ ნიგნსა და დისერტაციას მისცა მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხედველობაში იქ თითქმის არასოდეს მიიღება ის იუმორი და სათამაშო სანყისი, რომლის მეშვეობითაც ნაბოკოვს, ისე, როგორც ბორხესს, შეეძლო ერუდიცია (ნამდვილი თუ ფიქტიური) ხელოვნებად ექცია.

რომანის ლინგვისტური ეკვილიბრისტიკა თითქმის ვერ უძლებს თარგმანის გამოცდას. ვთქვათ, ორიგინალში ჩართული ის ფრანგული სიტყვები, თავის თავში კანდიდობას და დაცინვას რომ ატარებს და რომლის აღქმა და გაცნობიერება არცთუ ისე ადვილი საქმეა. ანდა ათასიდან ის ერთი მაგალითი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი იმ კაცის მოსაკლავად ემზადება, ვინც ლოლიტა წაართვა და წასვლის წინ რაღაც უცნაურ ლექსს დეკლამირებს: Reveillez-vous, Laqueue, il est temps de mourir! („გაიღვივდით, ლაგუე, ის დროაა!“ – ფრანგ.)

ვისადმი მიმართული და რას შეეხება იგი?

რა არის ეს – სიტყვასიტყვით მოყვანილი ციტატა თუ პერიფრაზი, რომლის მსგავსიც უამრავია ნიგნში?

რატომ ეძახის მთხრობელი კლერ კუილტის Laqueue-ს? იქნებ ამ სახელის ქვეშ თავადვე იმალება?

არა, ეს ამოცანა თავის მშვენიერ გამოკვლევაში „Keys to Lolita“ პროფესორმა კარლ პროფერმა გადაჭრა. იგი ამბობს, რომ აქ შენიღბულ უხამსობაზეა ლაპარაკი, რომ La queue, ანუ „კუდი“ ფრანგულ არგო ანუ საიდუმლო ენაზე ფალოსს ნიშნავს, ხოლო „მოკვდომა“ „გადმოდვრას“. ასე და ამგვარად, ეს ფრაზა ალგორითა და მასში დანაშაულის შესახებ წინასწარი გაფრთხილებაა მოცემული, დანაშაულისა, რომელიც ჰუმბერტ ჰუმბერტმა უნდა ჩაიდინოს. ამასთან ერთად იხსნება ჩაფიქრებული მკვლელობის მიზეზიც (ანუ კლერ კუილტის ფალოსი, რომელიც დაჰპატრონებია ლოლიტას).

აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი ალუზია და გამოცანა სინამდვილეში სხვა არა არის რა, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის სოლიფისტური თავშესაქცევი და იგი მოვლენათა განვითარებაზე არ ზემოქმედებს. თუმცა არის ისეთი რამ, რაც ფარულად ერთვება მოვლენათა სვლაში. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ყველა ის ცნობა და ნართაული, რომელიც რომანის ყველაზე საინტერესო პერსონაჟს – არა ლოლიტასა და არა მთხრობელს, არამედ კლერ კუილტის შეეხება – დრამატურგს,

მარკიზ დე სადის თავყვანისმცემელს, გარყვნილს, ნარკომანს, ლოთსა და მისივე აღიარებით, ნახევრად იმპოტენტს. მისი გამოჩენა თხრობას კლასიკურიდან აგდება, ზუსტად დოსტოვესკისებურად ახვევს რა თავს ორეულის თემას, იგი მოულოდნელი გზით მიჰყავს. სწორედ კლერ კუილტის გამო იბადება ეჭვი, რომ მთელი ეს ამბავი სხვა არაფერია, თუ არა ჰუმბერტ ჰუმბერტის შიზოიდური წარმოსახვის ნაყოფი, კაცისა, ვინც, როგორც ადრე უკვე ეცნობა მკითხველს, რამდენჯერმე სულით ავადმყოფთა კლინიკებშიც მკურნალობდა. კლერ კუილტი იტაცებს ლოლიტას და კვდება, მაგრამ რომანში იგი სულაც არ არის ამისთვის, მისი გამოჩენა ნიგნში რაღაც განგაშის მაუწყებელი, რაღაც კითხვის შემცველია – იმსახურებს კი ნდობას საყვარელო მთხრობელი?

მაინც ვინ არის ეს უცნაური ტიპი? იგი მატერიალიზდება მხატვრულ რეალობაში, რათა ლოლიტა კლინიკიდან თავისთან – ელფიზონში – წაიყვანოს, მაშინ როცა აქამდე, მთელი იმ რაღაც დროის მანძილზე მხოლოდ ჰუმბერტ ჰუმბერტის დევნის მანიით შეპყრობილ ბუნდოვან სახეთა რიგს წარმოადგენდა. მანქანა, რომელიც ხან გამოჩნდება და ხან გაქრება, ცთომილი აღია, იმ კაცის გაურკვეველი სახეა, რომელმაც გოგონა-ქალთან ეს-ესა ტენისის პარტია დაამთავრა და ახლა სადაღაც შორს, გორაკებს იქით იმალება; მირიადი განაცხადია, რომელთა აზრის გამიფრვა მხოლოდ მთხრობელის ავადმყოფურსა და იჭვინულ გონებას შეუძლია. შემდეგ კი, როცა ჰუმბერტ ჰუმბერტი გაქცეულა დასდევს და ამერიკის მიწაზე საკუთარ მარშრუტებს იმეორებს, როცა თითქოს მაგიურ რიტუალს აღასრულებს და ცდილობს „ნიმფულასთან“ გატარებული ბედნიერების ორი წელი დაიბრუნოს, ყოველ გაჩერებაზე კლერ კუილტის საიდუმლოებით მოცულ კვლას და ბარათებს ხვდება, საიდანაც ირკვევა, რომ ის კაცი ლამის ყოვლისმცოდნეა; რაც შეეხება მთხრობელის ცხოვრებას, აზრებსა და თვისებებს, ისინი თითქოს უზენაეს თანამომანწილეთა მოდგმის ნათესაური კავშირით არიან დაკავშირებული. მაგრამ არის კი აქ ნამდვილად ორ ადამიანზე ლაპარაკი? მათ შორის მსგავსება ხომ გაცილებით დიდია, ვიდრე განსხვავება. ორივე თითქმის ერთი ასაკისაა, ორივეს ერთნაირად დაუფლებია ნიმფულას ვნება ზოგადად, ხოლო კერძოდ – ლოლიტა გეიზის მიმართ; ორივეს უყვარს ლიტერატურა და ორივე ამ საქმის პროფესიონალია (თუმცა არათანაბარი წარმატების მქონე). მაგრამ ყველაზე ნათლად ამ ორი პიროვნების სიმბიოზი თავს მაშინ იჩენს, როცა შორი მანძილიდან თითქმის ჰიპნოზურ პასებს უცვლიან ერთმანეთს, ლოლიტა კი მხოლოდ საბაბს წარმოადგენს. ეს არის დახვეწილი და იდუმალი კავშირი, იგი ცხოვრებას ლიტერატურად აქცევს. ენა ავტორის ჯადოსნური ჯოხია, რომელითაც იგი გეოგრაფიულ სახელებს ეხება და რაღაც ახალ, გამოგონილ ქალაქებად და დაბებად აქცევს, გამოგონილი ამბები ცნობილ ლექსებსა და რომანებს ეხმარება, გამოგონილი გვარები პოეტურ ასოციაციებს იწვევს და ყველაფერი ეს უმკაცრესი შიფრის შესაბამისად ხდება, რომლისთვისაც გასაღების მორგება მხოლოდ ამ ორ ადამიანს ძალუძს.

რომანის კულმინაციურ სცენას ლოლიტასა და ჰუმბერტ ჰუმბერტის სიყვარულის პირველი ღამე არ წარმოადგენს, კულმინაცია კლერ კუილტის აუჩქარებელი, საბოლოო სპექტაკლივით მეტყველი მკვლევლობაა. ეს კი ვულკანის კრატერია, სადაც ჰუმბერტ ჰუმბერტის მთელი ცხოვრებისეული გამოცდილება თავმოყრილი. იმ ვირტუოზის საჩვენებელი გამოსვლაა, ოსტატურად რომ ჟონგლირობს თავისი დრამატიზმი-თა და იუმორით. მხატვრული რეალობის თაობაზე ჩვენს მტკიცე წარმოდგენები ნიგნის ამ ფურცლებზე უცებ კარგავს თავის ურყევობას და ეჭვი გვიპყრობს. მაინც რა ხდება? ჩვენ ნამდვილად ვართ მკვლელსა და მსხვერპლს შორის გამართული საუბრის მოწმენი თუ ეს მხოლოდ მთხრობელის ცნობიერების ავადმყოფური გაორებაა? აკი მალავს თავის თავში ამგვარ შესაძლებლობას რომანის ურთულესი სტრუქტურა – სევდითა და სინდისის ქენჯნით გატეხილი ჰუმბერტ ჰუმბერტი ფსიქიკური და მორალური დაცემის (strictu sensu) პროცესშია, ორადაა გახლეჩილი – თვითგვემით აღსაყვან გონებად (იგი აფიქსირებს მომხდარს და განაჩენი გამოაქვს) და სუსტ, ამაზრზენ სხეულად. სადაც იმ ვნებად დაუსადგურებია, რომელსაც ემორჩილება და რომლისთვისაც ბოლომდე უცხოა როგორც ტკობა, ისე საკუთარი თავის შემწყნარებლობა. იქნებ საკუთარი თავი სძულს, იქნებ საკუთარ თავს კლავს იმ სრულიად ფანტასტიკურ სცენაში, სადაც რომანი, აკეთებს რა დიალექტიკურ ნახტომს, თითქოს შორდება იმ პირობით რეალიზმს, რომლის მიმართაც აქამდე ესოდენ ერთგული იყო, რათა წმინდა გამონაგონის სამყაროში შეეხვედნენ.

ნაბოკოვის რომანების, განსაკუთრებით კი „უფერული ცეცხლის“ არქიტექტურა იმდენად რთულია და თავსატეხი, რომ, ბოლოსა და ბოლოს, ჯაბნის სხვა ყველაფერს. ასეა „ლოლიტაშიც“ – აზრობრივი დატვირთულობისა და შესრულების ოსტატობის წყალობით მისი კონსტრუქცია ძლიერად გამოდის პირველ პლანზე, ფარავს თვით ფაბულასა და ამბავს, ართმევს რა სასიცოცხლო ძალასა და დამოუკიდებლობას. თუმცა კი რომანის შინაარსი, მართალია, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ეწინააღმდეგება ფორმის ზნწოლას – ამ ამბის არსი ხომ ფესვებით ადამიანური ყოფის მარად ცოცხალ საგნებს სწვდება – ვნებასა და ინსტინქტს დამორჩილებულ ფანტაზიას. მაგრამ, რაღაც მომენტში „ლოლიტას“ გმირებს მაინც გამოსდით ცხოვრება, ვინაიდან, მსგავსად ნაბოკოვის სხვა პერსონაჟებისა ან ბორხესისეული გმირებისა, არც ესენი ემსგავსებიან უზენაესი გონით მართულ ჩრდილების თეატრის ფიგურებს.

დაიხ, ლოლიტა გეიზი – დოლი, ლო, ლოლიტა – ორმოცი წლის ასაკშიც უწინდებურად ქორფა, მიუღწეველი, მაცდუნებელი და წარმტაცია, ტუჩებს ისევ ისე ილოკავს ენის წვერით და გულს ისევ ისე უმძიმებს ისეთ ჰუმბერტ ჰუმბერტის მსგავს ჯენტლმენებს, რომლებსაც თავით უყვართ, გულით კი ოცნებობენ.

კრებულისა: მარიო ვარგას ლიოსა, „სიმართლე გამონაგონთა“ (1990).

თარგმანა ლილი მჭედლიშვილა

**გარდაიცვალა...  
იცი, მუხრანი!**

ოცდამეერთე საუკუნეა და ორი ათას ათია ზუსტად, მე არ მიგრძნია აროდეს თავი ასე უძლურად და ასე სუსტად.

ოცდამეერთე საუკუნეა და ორი ათას ათია წელი, ამ ჩემ სისუსტეს და უძლურებას გრძნობს ჩემი გული, წერს ჩემი ხელი.

ეს ყველაფერი ხდება სიზმარში, წინ მიძევს ბნელი ტყე-ღრე უღრანი და ჭოტი ჰკივის, ჰკივის დიდი ხმით: გარდაიცვალა... იცი, მუხრანი!

რა მოხდა, გულო, სულო ობოლო ნუთუ ეს არის სიცრუე ჭოტის? ან რად შეშფოთდი, რად ხარ უძლური საქართველოს თავს ღრუბელი მოდის?

თუ სამშობლოსთვის ძგერს შენი გული, თუკი ჯილაგით ქართველი გქვია, დღეს კიდევ ერთხელ... დღეს მოგხვდებოდა იქ, წინამურში ნასროლი ტყვია,

ქართული ჯიში, ქართული გენი, ვაჟა... ილია... აკაკი... მოთა... გალაკტიონი.. ანა... მურმანი... და დღეს მუხრანი... ვითომ რად ვშფოთავ?!“

საქმე არ არის მხოლოდ სიკვდილში და ამ შფოთვასაც აქვს საფუძველი, სიკვდილის ქართველს არ ეშინია – ჩვენ სხვა დარდი გვაქვს... და ფიქრი მწველი

„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?!“ და ისმის კითხვა მარადიული, პასუხი არ ჩანს და სიტყვაც არ ჩანს, მგოსანის სიტყვა... სიტყვა ღვთიური.

ზეცაში უფალს დაუდგამს ტახტი, მიწად ბატონობს დემონის ხელი, ქართული ციდან შავ ღრუბლის შთანთქმას მუხლმოყრით მხოლოდ უფლისგან ველი.

პარმენ ეპანოიძე

**მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა    ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო დ !**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეოქმედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
კოდი: MIBGGE22  
ანგ. № GE61PC0183600100029708

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.**

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ძ ვ ი რ ფ ა ს ო ა ვ ტ ო რ ე ბ ო !**

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“  
მისამართი: თბილისი, აგლამის ქ. 39  
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი  
**თამაზ ნივნივაძე**

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4  
E-mail: litsaartvelo@yahoo.com  
ტელ.: 292 34 89

**გამოდის პარასკეობით**